

კალაშოვის ექსტრადიციას საქართველო არ მოითხოვს A4



აგორა A5




ნავთობი - ბედნიერება და სიმდიდრე A6

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 11 მაისი, 2006 წელი. №102 (1254)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### საქართველოს პრეზიდენტის ესტონელი სტუმრები და მრჩეველი

*ესტონეთის პრეზიდენტი არნოლდ რუუტელი მეუღლესთან და სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ესტუმრა. ოფიციალური ვიზიტისას რუტელი მოლაპარაკებებს გამართავს ხელისუფლების წარმომადგენლებთან და პატივს მიაგებს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა მემორიალს.*

A2

## სამართალი

### ბადრაგმა ომბუდსმენის უფლება დაარღვია

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა იუსტიციის მინისტრს მიმართვა გაუგზავნა. ომბუდსმენი გია ქავთარაძეს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბაჩო ახალაიას რეკომენდაციას აძლევს და საბადრაგო სამსახურის ორი თანამშრომლის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს.

A4

## რევიუ

### "ზამთრის წიგნი" - გაზაფხულის მოსვლის იმედად

გორში, ლიტერატურული ორკვირეულის ჩარჩოებში, გაიმართა საღამო, რომელიც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ვანო ჩხიკვაძეს მიეძღვნა. ფოლკლორის სარდაფში მწერლის ახალი მოთხრობების კრებულის "ზამთრის წიგნის" განხილვა მოეწყო.

A7

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 11/05 | 12/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | 29 |
| ტყიბული | 26 | 28 |
| სოხუმი | 25 | 26 |
| გორი | 25 | 26 |
| ონი | 22 | 24 |
| ზუგდიდი | 28 | 31 |
| ახმეტა | 28 | 28 |
| გაგრა | 23 | 23 |
| სამტრედია | 28 | 31 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8115 |
| ევრო | 2.3135 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3792 |
| რუბლი | 0.0670 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
აგორა A 5
რევიუ A 6
რევიუ A 7
თვალსაზრისი A 8

# რას გაუზიარებს პოლონეთის თავდაცვის მინისტრი ქართველ კოლეგას?



კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება". სპეციალურად "24 საათისთვის"

*შეკითხვა, თუ რატომ არ ჩამოდის საქართველოში არც ერთი მეგობარი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი, 10 მაისს დღის წესრიგიდან მოიხსნა. პოლონეთის თავდაცვის მინისტრი რადოსლავ სიკორსკი (და არა შიკორსკი, როგორც ზოგიერთი ქართული მედიასაშუალება იტყობინებოდა) ნატო-ს წევრი ქვეყნის პირველი თავდაცვის მინისტრია, ვინც ირაკლი ოქრუაშვილის მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# დსთ - წარსულში, გამაღლებული შეიარაღება - მომავალში

## ვლადიმირ პუტინის "ყოველწლიური გზავნილი"

დიმიტრი ავალიანი

*რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მოლოდინი არ გაამართლა და, სახელმწიფო სათათბიროს წინაშე "ყოველწლიური გზავნილით" გამოსვლისას, მისთვის ჩვეული მკვეთრი, ჟარგონით გაჯერებული პასუხი არ გაუცია არც ერთ ბრალდებაზე, რაც ბოლო პერიოდში რუსეთის მისამართით გაისმა. თავის პროგრამულ გამოსვლაში რუსეთის საგარეო ურთიერთობებში არსებულ პრობლემურ საკითხებს რუსეთის პრეზიდენტი მხოლოდ ირიბად შეეხო. სამაგიეროდ, მის სიტყვაში რუსეთისათვის ზესახელმწიფოს ფუნქციის დაბრუნების ამბიცია ჟღერდა.*

ერთ-ერთი მთავარი ბრალდება რუსეთის მისამართით ენერგომატარებლებით შანტაჟს უკავშირდება. ამ თემას, კერძოდ, აშშ ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი შეეხო. ენერგეტიკაზე საუბრისას პუტინმა რუსეთის მომპოვებელ საწარმოებს კონკურენტუნარიანობა მოუწონა. **"აუცილებელია ახალი პერსპექტიული ბაზრების ათვისება. თუმცა, აუცილებელია სრულად უზრუნველვყოთ შიდა განვითარების მოთხოვნები, ასევე შევასრულოთ ვალდებულებები ჩვენს ტრადიციულ პარტნიორებთან".**

მან აღნიშნა ენერგიის მოიხმარების ეფექტურობის გაუმჯობესების აუცილებლობა. **"დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ასე იქნება შესაძლებელი უზრუნველვყოთ რუსეთის წამყვანი, სტაბილური პოზიცია ენერგეტიკულ ბაზრებზე გრძელვადიან პერსპექტივაში.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვის სთავაზობენ სეპარატისტები აფხაზეთის უძრავ ქონებას?

B

დიანა ჩაჩუა

*აფხაზური ინტერნეტ-საიტი "კომერციული და საცხოვრებელი უძრავი ქონება აფხაზეთში" რუსეთის მოქალაქეებს აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენას სთავაზობს. w.ru-ს მთავარ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია რუსეთის მოქალაქეებს აუწყებს, რომ აღნიშნული საიტი რუსული და აფხაზური კომპანიების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, რუსეთის მოქალაქეებს აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეძენაში დაეხმარება. იქვეა ნათქვამი, რომ საიტის ავტორების საქმიანობას მხარს თავად აფხაზეთის მთავრობა და აფხაზური პარლამენტის დეპუტატები უჭერენ.*



# ქართველი არალეგალი მუშები ერაყში

*ერაყში მაღალანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმების პერსპექტივებზე ხმები წელიწადზე მეტია, რაც ვრცელდება. ამის გამო უამრავ ადამიანს ამ ქვეყანაში დასაქმების სურვილი უჩნდება. ბათუმში ისეთი ფიზიკური და იურიდიული პირებიც მომრავლდნენ, რომლებიც დაინტერესებულ ადამიანებს ერაყში დასაქმებას სთავაზობენ. რამდენიმე დღის წინ ბათუმელი უმუშევრების 400-კაციანი ჯგუფი ერაყში სამუშაოდ თურქეთის მოქალაქეებმა არალეგალურად წაიყვანეს. მათ ნორმალურ სამუშაო პირობებს და გასამრჯელოდ თვეში 450 დოლარის ანაზღაურებას ჰპირდებოდნენ. თუმცა სულ მალე ბათუმში ერაყიდან გამოქცეული 100-მდე კაცი დაბრუნდა. ქართველი სამართალდამცავები ტრეფიკინგის ვერსიას გამორიცხავენ. თურქი შუამავლები კი მიიმალნენ.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

თურქეთის მოქალაქე **ვინმე მემედი** ერაყში სამუშაოდ წამსვლელთა მსურველების შესაგროვებლად ბათუმში გასულ წელს ჩამოვიდა. იგი აქ მცხოვრებ მის თანამემამულეს - **მუსტაფა ქათიქსსა** და მის მეუღლეს - **დოდო ჭინკაძეს** დაუკავშირდა და მუშახელის მოძებნაში დახმარება სთხოვა. ქათიქსსა და ჭინკაძეს ქუთაისის ქუჩაზე რესტორანი ჰქონდათ, ამიტომაც შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება არ გასჭირვებიათ. რესტორანში სამუშაოს მაძიებელთა არმია მალე გამოჩნდა. აუცილებელი გახდა შეედგინათ სპეციალური სიები, რომლის მიხედვითაც ადამიანები ერაყში გაჰყავდათ.

ერაყში წამსვლელთა მსურველები მუსტაფას რიგში ჩაწერისთანავე 50 დოლარს, ამდენივეს კი - გამგზავრების წინ უხდიდნენ. დაუზუსტებელი ინფორმაციით, დამსაქმებელთა ჯგუფმა 400-მდე მოქალაქისგან "მომსახურების" სრული (100 დოლარი) ანაზღაურება, დაახლოებით იგივე რაოდენობის ხალხისგან კი - 50 დოლარის თანხა მიიღო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "ჰუმანიტარული დახმარება" და "დამოუკიდებლობის აღიარება"

გიორგი ასანიშვილი

მაისის ბოლოს პარლამენტი მოისმენს მთავრობის ანგარიშს აფხაზეთში არსებული პოლიტიკური მდგომარეობისა და იქ განთავსებული რუსული სამშვიდობო ძალების მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულების შესახებ. პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის თქმით, საკანონმდებლო ორგანოში ეს ანგარიში უკვე წარდგენილია და მომავალი კვირიდან შესაბამისი კომიტეტები მის განხილვას შეუდგებიან.

ვიდრე აფხაზეთის მიმართულება გააქტიურდება, პარლამენტში სამხრეთ ოსეთის თემატიკაზე მსჯელობენ. კერძოდ, დიდი ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ ვახტანგაშვილი აცხადებს, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სამშვიდობო გეგმა ჩაშლის პირას არის მისული.

**"დემილიტარიზაციის ნაცვლად, ოსი სეპარატისტები და რუსი სამშვიდობოები კიდევ უფრო აძლიერებენ ბლოკ-პოსტებს",** - აღნიშნავს ვახტანგაშვილი.

მისივე თქმით, რეგიონის რეაბილიტაციისთვის ეუთო-ს მიერ გამოყოფილი 2,5 მილიონი ევრო არასამართლიანად განაწილდა. გათვალისწინებული იყო, რომ ამ თანხის ნახევარი სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის რეაბილიტაციას უნდა მოხმარებოდა, მეორე ნახევარი კი ქართულ მხარეს გამოეყენებინა, მაგრამ მოხდა ისე, რომ თანხის 80 პროცენტი სეპარატისტული რეჟიმის გაძლიერებისთვის დაიხარჯა, ქართულ მოსახლეობას კი დახმარების მხოლოდ 20 პროცენტი ერგო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სახელმწიფო მოქალაქის პირისპირ

## რატომ ხოცავენ ადამიანებს?

ია ანთაძე

ბოლო მოვლენების ფონზე განსაკუთრებით აქტუალური გახდა შეკითხვა: სახელმწიფოს მხრიდან ძალის გამოყენება თავსდება თუ არა კანონით განსაზღვრულ ჩარჩოში? დღეს ეს კითხვა უკავშირდება ციხის ამბოხისას და სპეცოპერაციების დროს გარდაცვლილ ადამიანებს. თუმცა, ძალის ადეკვატური გამოყენება, პირველ რიგში, პოლიტიკური საკითხია და მხოლოდ ამის შემდეგ - სამართლებრივი ან კრიმინალური.

ორიოდე კვირის წინ მანქანების საყვირის ხმა საქართველოს რამდენიმე ქალაქში ერთდროულად გაისმა. ეს იყო პროტესტი არა მხოლოდ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის მიმართ, არამედ, ზოგადად, ხელისუფლების ძალისმიერი პოლიტიკის მიმართ, რომელიც ამ მკვლელობამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო.

2004 წლის 2 თებერვალს ჯერ კიდევ ძველმა - შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს არჩეულმა პარლამენტმა - ნაჩქარევად მიიღო საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებსაც ექსპერტები კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ. ცვლილებებმა მკვეთრად გაზარდა პრეზიდენტის ძალაუფლება, ხოლო საგრძნობლად დაასუსტა პარლამენტიც და მთავრობაც. კონსტიტუციის შეცვლა ძველ პარლამენტზე დაყრდნობით მაშინვე შეფასდა, როგორც ძალის უხეში დემონსტრირება.

ძალის წამოჩენა სდევდა თან ჩინოვნიკების დაპატიმრება-გათავისუფლებათა სერიასაც. რამდენიმე გაბედული ადამიანი ხელისუფლებას პროცედურების დაცვისკენ და მეტი გამჭვირვალობისკენ მოუწოდებდა, რადგან ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ძალოვანი მინისტრების ფონდებში მილიონობით დოლარი არა მხოლოდ ჩინოვნიკების, არამედ, ბიზნესმენების ჯიბიდანაც შეედინებოდა. ეს წამოწყება, ძირითადად, ჩრდილოვანი გარიგების ხასიათს ატარებდა, ზოგჯერ კი ღია ძალადობის ფორმას იღებდა.

პარალელურად მთელ ქვეყანაში მიმდინარეობდა კადრების ჩანაცვლების პროცესი, რაც თავიდანვე რეფორმის თანმდევ მოვლენად გამოცხადდა. სამსახურების უმრავლესობაში თანამშრომლები გაათავისუფლეს ობიექტური კრიტერიუმების გარეშე, ერთი ხელის დაკვრით.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "ჰუმანიტარული დახმარება" და "დამოუკიდებლობის აღიარება"

პირველი გვერდიდან

გურამ ვახტანგაშვილის განცხადებით, თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა მიმდინარე წელს გამოყოფილი 14-მილიონიანი გრანტის ათვისების პროცესშიც. ამიტომ დიდი ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი კატეგორიულად მოითხოვს, რომ აღნიშნულ პრობლემაზე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხების შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ იმსჯელოს. გარდა ამისა, როგორც პარლამენტარი აღნიშნავს, სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები, თურმე, აცხადებენ, რომ უცხოური ორგანიზაციების მიერ მათთვის თანხების გამოყოფა სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო აღიარების გამოხატულებას წარმოადგენს.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ეთანხმება გურამ ვახტანგაშვილს, რომ რეგიონის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხების არათანაბრად განაწილება დაუშვებელია და მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

**"ეს თანხები საქართველოს ხელისუფლების მიერ არის მოპოვებული და ამაში სეპარატისტულ მთავრობას არანაირი დამსახურება არ მიუძღვის"**, - დასძენს ნინო ბურჯანაძე.

# ქარიშხალმა კახეთის სამი რაიონი დააზარალა

სამშაბათს საღამოს თავსდამტყდარმა ქარიშხალმა, რომელსაც ძლიერი წვიმა და სეტყვა ერთვოდა თან ყვარლის, ახმეტის და ლაგოდეხის რაიონები სერიოზულად დააზარალა. განსაკუთრებით ზიანი ლაგოდეხის რაიონის სოფელმა გურგენიანმა მიიღო. ქარიშხალმა აქ ათობით საცხოვრებელ ბინას ჭერი ახადა და ფანჯრები ჩამოლეწა. მოვარდნილმა ღვარცოფმა სახლის სარდაფები და მარნებიც დატბორა. სეტყვამ კი სასოფლო სამეურნეო სავარგულები და ათობით ჰექტარი ვაზი მიწასთან გაასწორა. მთლიანადაა მწყობრიდან გამოსული ენერგოსადენები, რის გამოც სოფელს შუქი ამ დრომდე არ მიეწოდება. მოშლილია ასევე წყლის სათავე ნაგებობა, რის გამოც სოფელს მღვრიე სასმელი წყალი მიეწოდება. ქარიშხალმა თავისი კვალი ნინიგორის საშუალო სკოლაშიც დატოვა. სკოლის ეზოში, რომელიც ცოტახნის წინ მშობლების ხელშეწყობით გარემონტდა, ქარმა ნაძვი მოგლიჯა და სპორტდარბაზის ჭერი მთლიანად დააზიანა.

როგორც სოფლის მოსახლეობა ამბობს, სტიქია საღამოს ცხრა საათზე დაიწყო და მთელი ღამის განმავლობაში მძვინვარებდა **"ამ ხნის ქალი ვარ და ასეთი რამე არ მინახავს. იმდენად ძლიერი ქარიშხალი და ჭექა-ქუხილები იყო, რომ მეგონა განკითხვის დღე დგებოდა. სახლის პირველ სართულზე ღვარცოფი შემომივარდა. ბავშვები რომ არ გამგუდვოდა, მეორე სართულზე ავიყვანე. უნდა ითქვას, რომ მთლიანად განადგურებულია სოფელი"**, - ამბობს ნინიგორელი ნათელა ნოზაძე.

ამ დროისთვის ყვარლის, ახმეტის და ლაგოდეხის რაიონების ხელმძღვანელობა სტიქიისგან მიყენებულ ზარალს ითვლის. სანამ ზარალის შედეგები გახდება ცნობილი, რაიონის გამგეობები მოსახლეობას ჭერს სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით შეუკეთებენ.

*24 საათი*

# თავისუფალი სიტყვა

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ნინია კაკაბაძეს. სტუმრები არიან ჟურნალისტები ია ანთაძე და ბადრი კოპლატაძე.*

**ნინია კაკაბაძე:** დღევანდელი ჩვენი საუბრის თემა იქნება, მედიასთან დაკავშირებული საკითხები და პრობლემები. მე მინდა, ასეთი ზოგადი კითხვა დაგისვათ, სინამდვილეში რა არის მედიისა და ჟურნალისტის დანიშნულება?

**ბადრი კოპლატაძე:** პირველ რიგში, მედიის ფუნქციაა ინფორმირება, განათლება და გართობა. ეს არის სამი ძირითადი ფუნქცია, რაც მთელ მსოფლიოში არსებობს. მეორე საკითხია, აღნიშნული ფუნქციებიდან, რომელი უფრო ჭარბობს ქართულ მედიაში.

**ნ.კ.** რამდენად აქვს ჟურნალისტს ამა თუ იმ მოვლენის შეფასების უფლება?

**ია ანთაძე:** ჟურნალისტისთვის საკუთარი აზრის გამოხატვა არსად არავის არ აუკრძალავს, მხოლოდ ერთი რამ არის - სტანდარტი, ფაქტი და კომენტარი მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისგან. ქართული მედიის პრობლემა ის არის, რომ ხშირად ვხვდებით საგაზეთო სტატიებს, სადაც ფაქტი და კომენტარი ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის. ეს ძირითადად რეგიონული გამოცემების პრობლემაა.

**ნ.კ.** ამ შემთხვევაში ფაქტი არის დამახინჯებული?

**ი.ა.** ფაქტი მოტანილია ძალიან ზოგადად, ანუ არ არის კონკრეტული ნიუანსები გადმოცემული პასუხისმგებლობით და ამ ზოგად ფაქტზე არის ჟურნალისტის მოსაზრებები ან სხვისი კომენტარი. ჟურნალისტიკაში ერთი ოქროს წესია, რომ დაუზუსტებელ ფაქტზე საერთოდ არ შეიძლება კომენტარის გაკეთება. საქართველოში კი ამ სიფრთხილეს ჟურნალისტები არ იჩენენ.

**ბ.კ.** ახალი ამბების შემთხვევაში არის უნივერსალური პრინციპი, რომ არ უნდა იყოს კომენტარი. მისი საჭიროებაა, მხოლოდ და მხოლოდ ფაქტისას. მკითხველმა და მაყურებელმა ყოველთვის უნდა იცოდნენ, რას ეცნობა, ფაქტებზე დამყარებულ მასალას თუ ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის პირად მოსაზრებებს.

**ნ.კ.** ამ სტანდარტში ჯდება თუ არა ე.წ. თოქ-შოუები?

**ბ.კ.** თოქ-შოუები არის პრინციპში საავტორო პროგრამები და ბუნებრივია, მათ წამყვანებს შეუძლიათ, რომ საკუთარი აზი გამოთქვან, მაგრამ როგორც კი გადავლენ საინფორმაციოს, ახალი ამბების ფორმატში, იქ უკვე მუშაობს ის წესები, რაც ახალი ამბების წაყვანას შეეხება.

**ნ.კ.** როგორ ფიქრობთ, რა არის მთავარი პრობლემა დღეს ქართულ მედიაში, რომლის დაძლევა უნდა დავიწყოთ?

**ი.ა.** მოდით, თქვენი შეკითხვა გავყოთ ორ ნაწილად. ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა არის სარედაქციო დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი, მაგრამ არ მიმაჩნია სწორად, რომ პრობლემების მოგვარება აქედან დავიწყოთ. მეორე, საიდანაც ნამდვილად შეგვიძლია დავიწყოთ პრობლემის მოგვარება, ეს არის ჟურნალისტების პროფესიონალიზმის საკითხი. ჩვენ სერიოზულად უნდა ვიფიქროთ, თუ რა ფორმებით იქნება კარგი პროფესიული ხარისხის ამაღლება. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ მეორე პრობლემა გადაჯაჭვულია პირველ პრობლემასთან, ანუ თუ ჟურნალისტს არ ექნება დამოუკიდებლობის კარგი ხარისხი და იქნება პროფესიონალიზმი, მას უბრალოდ მოუწევს, რომ დატოვოს მედიასივრცე.

**ნ.კ.** ალბათ, სამუშაო კონტრაქტის შემოღების აუცილებლობაც არის, რომელიც თავისუფლების გარანტი იქნება...

**ბ.კ.** მინდა გითხრათ, რომ ხშირ შემთხვევაში თავისუფლების გარანტი არ შეიძლება იყოს კონტრაქტი.

**ნ.კ.** ქართულ შემთხვევაშიც კი?

**ბ.კ.** შეიძლება ქართულ შემთხვევაშიც.

# ქართველი არალეგალი მუშები ერაყში

პირველი გვერდიდან

ერაყიდან უკანმობრუნებულები იქ გატარებულ დღეებზე საჯაროდ საუბარს გაურბიან. ხელოსანი **ალბერტ მელკონიანი** კი თვლის, რომ მიუღებელი არაფერი ჩაუდენია და იქ გატარებულ სამ დღეს ასე იხსენებს: "თავიდან არც კი გვითხრეს, რომ ერაყში მივდიოდით. ამ ქვეყანაში ჩვენ უვიზოდ გადაგვიყვანეს. პრინციპში ერაყის საბაჟოზე იცოდნენ, რომ საქართველოდან ხალხი ჩადიოდა. არ გავუჩხრეკივართ, პრობლემის გარეშე შევედით. ბაღდადს სამასი, თურქეთის საზღვარს კი - 180 კილომეტრით ვიყავით დაშორებული. მისვლისთანავე ფორმიანმა კაცმა გაგვაფრთხილა, რომ ერთ ადგილზე არ შევკრებილიყავით და არც ხმამაღლა გველაპარაკა. ეს ჰოსპიტლების ქალაქი იყო. საგანგაშო სამუშაო არ გვქონდა - ჰოსპიტალში დაჭრილებთან 12 საათი უნდა გვემუშავა. საცხოვრებელი პირობები კი გაუსაძლისი იყო: 40 სული ერთ ოთახში ვცხოვრობდით - თევზებივით ვიყავით ჩაწყობილი. ძაღლებივით მეთლახზე გვეძინა. არ გვქონდა მაგიდა და სკამი. რასაც გვპირდებოდნენ, ის პირობები არ დაგვხვდა. წყალი არ იყო და საჭმელად სალაფავს გვაძლევდნენ".



*ბათუმელი ალბერტ მელკონიანი, მისივე განცხადებით, ერაყში სამუშაოდ მოტყუებით წაიყვანეს.*

იმ ჯგუფის წევრებისთვის, რომელშიც მელკონიანიც იყო, ერაყში პასპორტები არ წაურთმევიათ, თუმცა ალბერტმა თავდაპირველად, ზედამხედველისგან სახლში დაბრუნების თხოვნაზე უარი მიიღო: "გამოშვების სანაცვლოდ 100 დოლარის სამუშაოს შესრულებას მთხოვდნენ. მე ავუხსენი, რომ საკუთარი სახსრებით ვიყავი ჩასული, სახლში დაბრუნებასაც საკუთარი ხარჯებით ვაპირებდი და თავი დამანებეს. ახლა იქ სულ ცოტა 200 კაცი იქნება დარჩენილი, ზოგს რა გაჭირვება აქვს და ზოგს რა. არიან ისეთები, ვისაც უკან წამოსასვლელი ფული არ ჰქონდა. თვეში 450 დოლარი უნდა გადაეხადათ, თუმცა ჩვენზე ადრე ჩასულებმა გვითხრეს, რომ ორი თვის ხელფასი არ მიუღიათ".

ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ხულოელი ხვიჩა და დათო მელაძეებიც. ისინი სამუშაოდ თურქეთში წავიდნენ და იმ იმედით, რომ იქ მშენებლობაზე იმუშავებდნენ. თურქეთიდან დაბრუნებულები აცხადებენ, რომ მწარედ მოატყუეს: "ჩვენ ხელი მოვაწერეთ კონტრაქტს, რომელიც თურქეთში მშენებლობაზე მუშაობას ითვალისწინებდა. სინამდვილეში ერაყში ჩაგვიყვანეს, იქ საავადმყოფოები უნდა გვეწმინდა და გველაგებინა".

მელაძეების განცხადებით, ერაყში სამუშაოდ ყოველ კვირა 300-350 კაცი ჩაჰყავთ. "ერაყში არსებული ყოფა ვერ ავიტანეთ, სამი დღე ძლივს გავძელით და იქაურობის მიტოვება გადავწყვიტეთ. ერთი ღამე თურქეთისა და ერაყის საზღვარზე, ღია ცის ქვეშ გავათენეთ, ლამის გავიყინეთ... სამი დღის მშივრები ვიყავით, ჯიბეში კაპიკი არ გვედო", - აცხადებენ სამშობლოში დაბრუნებულები. ისინი თურქეთში კვლავ წასვლას, რა თქმა უნდა, აღარ გეგმავენ, თუმცა მათი თქმით, სამი ადამიანი მძევლად არის დატოვებული: "თქვენი ჩამოყვანა გარკვეული თანხა დაგვიჯდა და უნდა ავინაზღაუროთო - გვითხრეს მუსტაფას წარმომადგენლებმა".

აღნიშნულ ფაქტზე ქართველი სამართალდამცავებიც დაინტერესდნენ. სოდ-ში "უცებ" დაადგინეს, რომ მოცემულ შემთხვევაში ტრეფიკინგს ადგილი არა აქვს და საქმე პოლიციას გადაულოცეს. აჭარის 400-მდე მცხოვრების ერაყში არალეგალურად შეყვანის თაობაზე აღძრულ საქმეში კი ზემოთ ხსენებული ორი თურქი მამაკაცი და ერთი ქართველი ქალი ფიგურირებს.

ტრეფიკინგს საქმეს გამომძიებელი, **პოლიციის ბათუმის მესამე ქვეგანყოფილების თანამშრომელი - მანუჩარ კახიძეც** გამორიცხავს: "ხელშეკრულება არ დაუდევთ, მაგრამ პირობები წერილობით განუმარტეს, რაზეც ხალხმა ხელი მოაწერა. ზოგადად, ტურისტული ვიზებით იყვნენ წასულები, თანაც ყველა თავისი ნებით წავიდა. 2-5 დღე იმუშავეს, მაგრამ სამუშაო პირობები არ მოეწონათ (პირობაში საავადმყოფოების, მათ შორის საპირფარეშოების სანდასუფთავება შედიოდა) და დაბრუნდნენ. ხალხი 50 დოლარის - გზის ფულის დაბრუნებას და ორი დღის ნამუშევარს ითხოვს. დამსაქმებელი ფულის ანაზღაურებას არ აპირებს".

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა - ნინო ქაჯაიამ განაცხადა, რომ სამინისტროში ამ ფაქტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ, რადგან მათთვის შესაბამისი წერილით არავის - არც მოქალაქეებსა და არც სამართალდამცავ სტრუქტურებს არ მიუმართავთ. მისი თქმით ამის გაკეთება მხოლოდ შსს პრეროგატივა ყოფილა.

ერაყში, სადაც საომარი მდგომარეობაა და როგორც აღმოჩნდა, არალეგალურად, არაოფიცალური მონაცემებით საქართველოდან ასობით ადამიანი გადადის, ვინ აგებს პასუხს მათ ბედზე? რატომ ვერ ხედავენ სამართალდამცავები აშკარა ტრეფიკინგის კვალს, როცა ადამიანები, ყოველგვარი ხელშეკრულებისა და ვიზის გარეშე გადიან მესამე ქვეყანაში? ამ კითხვებზე პასუხი ჯერ არ ჩანს.

# სახელმწიფო მოქალაქის პირისპირ

პირველი გვერდიდან

თუმცა, შრომის კოდექსში წერია, რომ დაუშვებელია, მუშაკს ვინმემ მოსთხოვოს, თავად დაწეროს განცხადება წასვლის შესახებ, - ეს მაინც მოხდა თითქმის ყველა ორგანიზაციაში, სადაც ახალი ხელმძღვანელი მივიდა.

პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული პოლიტიკის - "ძლიერი სახელმწიფოს" -მომხრეები ამბობდნენ, რომ უმძიმესი პრობლემების გადასაჭრელად ქვეყანას ეფექტური სახელმწიფო მექანიზმები სჭირდებოდა; რომ პრეზიდენტის ძლიერი ხელისუფლება აუცილებელი იყო კორუფციასთან საბრძოლველად, დაუსჯელობის სინდრომის აღმოსაფხვრელად და, რაც ყველაზე მთავარია, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

სწორედ ტერიტორიის გამთლიანება იყო ის ამოცანა, რომლის გადასაჭრელად პრეზიდენტმა საზოგადოებას ალტერნატივის გარეშე შესთავაზა სამთავრობო ვერტიკალის გამტკიცება და მასზე ძალაუფლების კონცენტრაცია. ამ ფორმატში კი ხელის შემშლელი აღმოჩნდა ყველა ინსტიტუტი, რომელსაც უნარი და სურვილი ჰქონდა, დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება. 2004 წლის ზაფხულიდან, თითქმის ყველა საზოგადოებრივ შეკრებაზე იხილებოდა ხელისუფლების ძალისმიერი კურსი, რადგან ამ დროისათვის გამოიკვეთა ერთიანი პოლიტიკა თვითმმართველობის, სასამართლო სისტემის, ბიზნესის მიმართ. თითოეულ მიმართულებას ახლდა ძალაუფლების თავმოყრა ხელისუფლების კენწეროში - ბევრისთვის მიუწვდომელ სივრცეში. შესაბამისად, პრეზიდენტის გარემოცვის მიღმა აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებიც განწყობილი იყვნენ ღია პოლიტიკისთვის, დიალოგისთვის და ჰორიზონტალური ურთიერთობებისთვის.

გადაწყვეტილების მიმღები პირების უკიდურესმა შემცირებამ გამოიწვია მათი გავლენის უკიდურესი ზრდა. ამის შემდეგ კი ერთი ნაბიჯიც აღარ იყო დარჩენილი მათ უკონტროლო გაძლიერებამდე, ესე იგი, სანდრო გირგვლიანის მკვლელობამდე, ციხის ამბოხის ტყვიით ჩახშობამდე თუ ტრაგიკულად დასრულებულ სპეცოპერაციებამდე.

როგორც დრომ დაადასტურა, საკვანძო პრობლემა აღმოჩნდა არა "ნულოვანი ტოლერანტობა კრიმინალების მიმართ", არამედ ქვეყნის გამთლიანების საბაბით უარის თქმა ძალაუფლების გადანაწილებაზე, საზოგადოებასთან დიალოგზე, პროცედურების დაცვაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე. სწორედ ამ არჩევანის შედეგად მივიღეთ ჩრდილოვანი და ძალისმიერი პოლიტიკა, რომელიც იგეგმება ორ ან სამ დახურულ კაბინეტში, ხორციელდება ავტორიტარული მეთოდებით და ხასიათდება ადამიანების მიმართ გულგრილობით.

ის, რაც ახლა საქართველოში ხდება, შესაძლოა, ხელისუფლების უნებლიე შეცდომაა, ან, იქნებ, ძალაუფლების შენარჩუნების ინსტინქტია, ან, სულაც, მიზანმიმართული პოლიტიკა. ერთი რამ თვალისჩინივით ნათელია: ის პროცესი, რაც 2004 წლის თებერვალში კონსტიტუციის შეცვლით დაიწყო, ორი წლის შემდეგ მოითხოვს სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანურ მსხვერპლს, რომლის აუცილებლობა ვერაფრით დასტურდება.

**მასალა გამოქვეყნებულია რადიო "თავისუფლების" ეთერით**

# საქართველოს პრეზიდენტის ესტონელი სტუმრები და მრჩეველი

### ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის პირველი რჩევა დსთ-დან გამოსვლას უკავშირდება

*ესტონეთის პრეზიდენტი არნოლდ რუუტელი მეუღლესთან და სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ესტუმრა. ოფიციალური ვიზიტისას რუუტელი, მოლაპარაკებებს გამართავს ხელისუფლების წარმომადგენლებთან და პატივს მიაგებს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა მემორიალს.*

ნათია მსხილაძე

ესტონეთის პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონია საქართველოს პარლამენტის შენობაში დღეს გაიმართება. არნოლდ რუუტელი მოლაპარაკებებს გამართავს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან.

როგორც გავარკვიეთ, შეხვედრისას ისინი იმსჯელებენ ორმხრივ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში თანამშრომლობის შესახებ. გარდა ამისა, განიხილავენ ესტონეთის დახმარებას ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური ვიზიტისას ესტონეთის პრეზიდენტი და მისი მეუღლე, მისივე ინიციატივით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს შეხვდებიან. არნოლდ რუუტელი თანმხლებ პირებთან ერთად, საპატრიარქოს 12 მაისს ეწვევიან.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარტ ლაარი საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ხდება. მიხეილ სააკაშვილს მარტ ლაარი რეფორმების გატარებაში დაეხმარება. მის საქმიანობას, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველის თანამდებობაზე, გაერო დააფინანსებს.

როგორც ყოფილი პრემიერ-მინისტრი აცხადებს, საქართველოში მისი საქმიანობის ძირითადი ამოცანა სამინისტროების მუშაობის კოორდინირება იქნება. მისივე განმარტებით, თბილისში პირველი საქმიანი ვიზიტი მაისის ბოლოსთვის იგეგმება და ერთი კვირა გაგრძელდება.

მარტ ლაარი რეფორმების გატარებისას თამამად მოქმედებას გეგმავს. **"ნუ გეშინიათ, ბევრმა იცის, როგორ უნდა იმოქმედოს, მაგრამ ვერ ბედავს ამის გაკეთებას, თუნდაც იმის შიშით, რომ მომდევნო არჩევნებზე დამარცხდება. ქართველებს უცხოელმა მრჩეველებმა არ უნდა უთხრან - დაუყოვნებლივ გამოდით დსთ-დან. ეს თავად საქართველომ უნდა გადაწყვიტოს"**,- განაცხადა მან.

მარტ ლაარი, ესტონეთის პარლამენტის დეპუტატი ნაციონალ-რადიკალური პარტია "მამულის კავშირის" წარმომადგენელია. იგი ესტონეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე 1992-94 და 1999-2002 წლებში იმყოფებოდა.

## მოკლედ

### კოკა გუნცაძე შს მინისტრის მიერ გამოქვეყნებულ წერილს ეხმაურება

"ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელი და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კოკა გუნცაძე გუშინ, შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის მიერ, გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ წერილს ეხმაურება.

გუნცაძის განცხადებით, შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის მიერ გაზეთში გამოქვეყნებული წერილი მეტყველებს იმაზე, რომ შსს და ზოგადად საქართველოს ხელისუფლება აგონიაშია ჩავარდნილი და დემორალიზებულია.

პარლამენტარის თქმით, ვანო მერაბიშვილის დღევანდელი წერილი მიზნად ისახავს გადაფაროს საზოგადოების უკმაყოფილება მისი სამინისტროს მიმართ. თუმცა, გუნცაძის განცხადებით, პრობლემა მდგომარეობს არა იმაში, რაზეც ვანო მერაბიშვილი საკუთარ წერილში საუბრობს, არამედ იმაში, რომ საზოგადოება აღარ ენდობა მერაბიშვილის უწყებას, "რადგანაც იგი მკვლელებს მფარველობს, სანქციას იძლევა ადამიანების ლიკვიდაციის შესახებ და მისმა სამინისტრომ "ენკავედეს" ფორმა მიიღო".

დეპუტატის თქმით, შსს-სა და მინისტრის იმიჯს ვერანაირი "პიარი" და წერილები ვერ გამოასწორებს. "აუცილებელია დადგეს შს მინისტრის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი, რადგანაც მერაბიშვილი აბსოლუტურად არაადეკვატურია საზოგადოებაში არსებული განწყობისა მისი და მისი სამინისტროს მიმართ", - აღნიშნა გუნცაძემ, რომელიც მიიჩნევს, რომ აუცილებელია შსს-ში სერიოზული რეფორმები ჩატარდეს.

გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის წერილი, სადაც იგი სამინისტროს მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ერთგვარ პუბლიცისტურ ანგარიშს აკეთებს. **ინტერპრესნიუსი**

### "დემოკრატიული ფრონტი" პრეზიდენტის ფონდის წინააღმდეგ

საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" პრეზიდენტის ფონდის ხარჯვით ინტერესდება. ფრაქციის სხდომაზე, გუშინ, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი განიხილეს. საბიუჯეტო ცვლილებების შესახებ ინფორმაცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრებს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გოდაბრელიძემ მიაწოდა.

როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, საინტერესოა, რატომ იცვლება ხშირად პრეზიდენტის ფონდისთვის გათვალისწინებული სახსრების მოცულობა. "პრეზიდენტის ფონდი ხან 10 მილიონია, ხან - 15, ხან - 20, ხან კი ისევ 10. პრეზიდენტი ფულს ჯერ ხარჯავს, ხოლო შემდეგ სამინისტროებს თანხას აწერს და მათი კუთვნილი თანხები ფონდში გადააქვთ", - განაცხადა ძიძიგურმა.

მისივე თქმით, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებებში არ არის გათვალისწინებული 20 მილიონი ლარი, რომელიც პენსიონერებმა უნდა მიიღონ.

"ჩვენ სასამართლოში მოვიგეთ სარჩელი, რომლითაც სახელმწიფო ვალდებულია პენსიონერებს 20 მილიონი ლარი დაუბრუნოს. ეს ის თანხაა, რომელიც პენსიის ვითომ სამი ლარით გაზრდას უკავშირდება", - განაცხადა ძიძიგურმა.

მისივე თქმით, მთავრობამ საბიუჯეტო ცვლილებებში უნდა გაითვალისწინოს 52 მილიონი ლარი, რომელიც სახელფასო დავალიანების სახით ქვეყანაში არსებობს.

"ჯერ კიდევ ზურაბ ჟვანია გვიმტკიცებდა, რომ დავალიანებები სრულად დაიფარებოდა, თუმცა 52 მილიონი ლარის ოდენობის სახელფასო დავალიანება ჯერ კიდევ არსებობს", - განაცხადა ძიძიგურმა.

2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა ხვალ განიხილავს. **ინტერპრესნიუსი**

### ლეიბორისტებმა სემეკის შენობაში შიმშილობა დაიწყეს

გუშინ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შენობის წინ გამართულ ბრიფინგზე ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა ელექტროენერგიის ტარიფის მოსალოდნელი გაზრდა გააპროტესტა.

ტარიფის გაზრდის საკითხზე სემეკი დღეს იმსჯელებს.

შალვა ნათელაშვილის თქმით, "სამი წლის წინ "ტარიფის დაწევასთან დაკავშირებით მათ გაწირეს ყველაფერი და ახლაც მზად არიან ამ ნაბიჯისთვის".

ელექტროენერგიის საფასურის მოსალოდნელი გაზრდის გამო ლეიბორისტული პარტიის წევრებმა, კერძოდ პარტიის პოლიტიკური კომიტეტის, სამდივნოსა და თბილისის საკრებულოს ლეიბორისტმა დეპუტატებმა სემეკის შენობაში შიმშილობა გამოაცხადეს.

მათი თქმით, თუ ამ მშვიდობიან აქციას ხელს შეუშლიან, ისინი გადაინაცვლებენ პარლამენტის და სახელმწიფო კანცელარიის წინ. მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კი, გაასაჩივრებენ საკონსტიტუციო სასამართლოში, შემდეგ კი ევროპის სასამართლოში.

ლეიბორისტთა თქმით, ისინი მოსახლეობის უფლებებს "კბილებით დაიცავენ". **მედიანიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# რას გაუზიარებს პოლონეთის თავდაცვის მინისტრი ქართველ კოლეგას?

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის შემდეგ მხოლოდ შეხვედრის ოქმს მოეწერება ხელი (პოლონეთის და საქართველოს სამხედრო უწყებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება 1997 წლიდან არსებობს), პოლონეთის თავდაცვის მინისტრის ვიზიტს საქართველოში დიდი მნიშვნელობა აქვს. ე.წ. "ღვინის კრიზისის" დროს საქართველოში ჩამოდის იმ ქვეყნის მინისტრი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა "ახალი ევროპა" უწოდა. ასეთ ეპითეტებს ვაშინგტონი ავანსად არ იძლევა. 2003 წელს, როდესაც ნატო-ს წევრმა ევროპულმა ქვეყნებმა (გერმანიამ და საფრანგეთმა) უარი თქვეს, გაერო-ს მანდატის გარეშე მონაწილეობა მიეღოთ ერაყის სამხედრო ოპერაციაში, პოლონეთმა უპირობოდ დაუჭირა მხარი კოალიციას და ერაყში სტაბილიზაციის ძალების ერთ-ერთ სექტორს ხელმძღვანელობდა. ასეთმა წვლილმა პოლონეთი შეერთებული შტატების ფავორიტ ქვეყნად აქცია აღმოსავლეთ ევროპაში. პოლონეთი, 39-მილიონიანი მოსახლეობით, 1999 წლიდან ნატო-ს წევრი ქვეყანაა, 2004 წლის 1 მაისიდან კი - ევროკავშირის წევრი.

რადოსლავ სიკორსკი, 43 წლის თავდაცვის მინისტრი, ბოლო ოცწლეულში პოლონეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების აქტიური მონაწილე, მეისტორიე და შემოქმედიცაა.

1981 წელს 18 წლის რადოსლავ სიკორსკი, რომელიც ბუდგოჟში სტუდენტურ საგაფიცვო კომიტეტს ხელმძღვანელობდა, სულ მალე იძულებული გახდა, თავშესაფარი დიდ ბრიტანეთში ეპოვნა, სადაც ოქსფორდის უნივერსიტეტი დაამთავრა. 1990 წლიდან სიკორსკი ცნობილი ამერიკელი მაგნატის რუპერტ მერდოკის მრჩეველი იყო პოლონეთში ინვესტიციების დარგში. ორი წლის შემდეგ იგი თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გახდა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა ნატო-ში პოლონეთის გაწევრიანების პროცესს. 1998-2001 წლებში რადოსლავ სიკორსკიმ მოღვაწეობა დიპლომატიურ ასპარეზზე გააგრძელა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის რანგში ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტები შეიმუშავა, როგორიც იყო გამარტივებული სავიზო რეჟიმი აღმოსავლელ მეზობლებთან. ამან პოლონეთს დიდი ავტორიტეტი შესძინა, განსაკუთრებით - უკრაინაში. ამასთან დაკავშირებით ძალზე ნიშანდობლივია, რომ პოლონეთის პრეზიდენტის ალექსანდრ კვასნევსკის საშუამავლო მისიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უკრაინაში, რათა "ნარინჯისფერი რევოლუცია" მოსკოვის სცენარით არ წარმართულიყო.

მაგრამ პოლონეთის თავდაცვის მინისტრის ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ფურცელია მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა. 1986-89 წლებში, ვიდრე სამშობლოში პოლიტიკურ მოღვაწეობას შეუდგებოდა, რადოსლავ სიკორსკი რეპორტიორად მუშაობდა ავღანეთსა და ანგოლაში. ავღანეთში გადაღებული ფოტოებისათვის მას 1988 წელს მსოფლიო მედიის პრესტიჟული პრიზი გადაეცა. რადოსლავ სიკორსკი დღემდე ითვლება წამყვანი საინფორმაციო საშუალებების - "ბი-ბი-სის", "ფოქს ნიუსის", "სი-ენ-ენისა" და "ამერიკის ხმის" მიმომხილველად. მისი მეუღლე ანა აპლებაუმი კი "პულიტცერის" პრემიის 2004 წლის გამარჯვებულია.

რადოსლავ სიკორსკი, პროფესიონალი ჟურნალისტისა და პუბლიცისტის ბიოგრაფიის მქონე ერთადერთი თავდაცვის მინისტრია ევროპის ქვეყნებში, რაც, რა თქმა უნდა, არანაირ პრივილეგიას მას არ ანიჭებს ყოფილ კოლეგებთან ურთიერთობაში, მაგრამ დემოკრატიულ ტრადიციებზე აღზრდილი პოლონეთის თავდაცვის მინისტრი კარგად აცნობიერებს სიტყვის თავისუფლების არსს და პატივს სცემს "მეოთხე ხელისუფლებას".

თუმცა, რადოსლავ სიკორსკი საქართველოში იმისთვის ნამდვილად არ ჩამოდის, რომ ქართველ კოლეგას, ირაკლი ოქრუაშვილს სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობის გამოცდილება გაუზიაროს. პოლონეთი დაინტერესებულია იმით, რომ საქართველომ ნატო-სთან "ინტენსიური დიალოგი" განავითაროს და ალიანსის წევრობისაკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას. მაგრამ იმისთვის, რომ ხელი აუწიოს ამ გადაწყვეტილებას ნატო-ს უახლოეს სამიტზე, პოლონეთის თავდაცვის მინისტრს სურს, პირადად დარწმუნდეს და სხვებიც დაარწმუნოს, რომ სურვილის გარდა საქართველოს ხელისუფლება იმ ფასეულობების განუხრელი ერთგულია, რაზეც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ჩრდილოეთატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია აღმოცენდა.

# დსთ - წარსულში, გამალებული შეიარაღება - მომავალში

პირველი გვერდიდან

**რუსეთს ევროპის ერთიანი ენერგეტიკული სტრატეგიის ფორმირებაში თავისი პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია,"** - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

პუტინის თქმით, რუსეთს თავისი პროდუქციით მსოფლიო ბაზარზე დაუბრკოლებელი გასვლა ესაჭიროება და ამ მიზნით მოსკოვი განაგრძობს მოლაპარაკებებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე. პუტინს არ დაუკონკრეტებია, რომ მსო-ს წევრების - საქართველოსა და მოლდოვას, წინაღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღების შემდეგ რუსეთმა ამ ქვეყნების სახით მისი მსო-ში გაწევრიანების ყველაზე მოტივირებული მოწინააღმდეგეები შეიძინა. მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით შესაძლო პრეტენზიებს პუტინი წინასწარ სცემს პასუხს: **"მოლაპარაკებები რუსეთის მსო-ში გაწევრიანების შესახებ არ უნდა გახდეს ვაჭრობის საგანი იმ საკითხებზე, რომლებსაც ამ ორგანიზაციის საქმიანობასთან საერთო არაფერი აქვთ"**.

პუტინს რუსეთის ბაზარზე ქართული და მოლდოვური ღვინის აკრძალვა არ უხსენებია, თუმცა ჯანდაცვის პრობლემებზე საუბრისას **"სუროგატული ალკოჰოლური პროდუქციის შემოტანისა და ქვეყანაში წარმოების წინააღმდეგ მიღებული ზომები"** ახსენა და ეს მოვლენა ერის ჯანმრთელობაზე ზრუნვის კონტექსტში განიხილა.



გამოსვლის დიდი ნაწილი ვლადიმირ პუტინმა თავდაცვის სფეროსა და კონფლიქტების თემას დაუთმო. **"გაჩნდა უამრავი ახალი პრობლემა, რომლებსაც რეალურად შეეჯახა ჩვენი ქვეყანა. ეს საფრთხეები ნაკლებად პროგნოზირებადია და მათი საშიშროების დონე ჯერ ბოლომდე გააზრებული არ არის. საერთო ჯამში, სახეზეა მსოფლიოში კონფლიქტური სივრცის გაფართოების და, რაც ძალზე საშიშია, მისი ჩვენი ინტერესების ზონაზე გავრცელების ტენდენცია"**, - აღნიშნა პუტინმა.

პუტინმა ხაზი გაუსვა რუსეთის სამხედრო ძლიერების ზრდას. კერძოდ, მისი თქმით, წინა წლებისაგან განსხვავებით, სამხედრო ძალებში დაიწყო შეიარაღების განახლება, მიმდინარეობს წვრთნები.

ფაქტობრივად, პუტინმა მინიშნება გააკეთა ახალ "გამალებულ შეიარაღებაზე", აშშ-სა და რუსეთის მეტოქეობაზე და სტრატეგიულ ამოცანად ზესახელმწიფოს როლის დაბრუნება დაასახელა.

ვლადიმირ პუტინმა აღნიშნა, რომ დღეისათვის აშშ სამხედრო ბიუჯეტი რუსეთისას 25-ჯერ აღემატება, რისთვისაც ამერიკელები შეაქო კიდეც. **"ეს კი ნიშნავს, რომ საკუთარი სახლი ისეთი უნდა ავაშენოთ, რომ მაგარი და საიმედო იყოს. ხომ ვხედავთ, რა ხდება მსოფლიოში. როგორც იტყვიან, "ამხანაგმა მგელმა იცის, ვინ შეჭამოს". ჭამს და არავის უსმენს და, როგორც ჩანს, არავის მოსმენას აპირებს"**, - ორაზროვნად თქვა პუტინმა და იქვე, როგორც ჩანს, აშშ-ს მისამართით, განმარტა: **"სად ქრება ხოლმე მთელი პათოსი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლის აუცილებლობის შესახებ, როდესაც საუბარი საკუთარი ინტერესების რეალიზაციას ეხება? აქ, თურმე, ყველაფერი შეიძლება, არანაირი შეძღუდვა არ არსებობს"**.

პუტინი დსთ-ს თემასაც შეეხო და განაცხადა, რომ **"კამათი დსთ-ს მიზანშეწონილობისა და შემდგომი ბედის შესახებ არ ცხრება და ჩვენ ინტერესით ვმუშაობთ დსთ-ს რეფორმირების საკითხებზე"**. მან ხაზი გაუსვა თანამეგობრობის მნიშვნელოვან როლს კონფლიქტების მოგვარებაში. გარდა ამისა, მისი აზრით, დსთ-მ **"ახალშექმნილ სახელმწიფოთა შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარების ეტაპის უმტკივნეულოდ გავლას"** შეუწყო ხელი და **"მრავალი პოზიტიური ინიციატივის საფუძველი გახდა"**. საერთო ჯამში, შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ პუტინი დსთ-ზე დადებითად, მაგრამ ძირითადად წარსულ დროში საუბრობდა.

მოკლედ

## ქართულ-ნორვეგიული თანამშრომლობის პერსპექტივები

2006 წლის 10 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი შეხვდა ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანს ბატონ კიეტილ სკოგრანდს.

შეხვედრისას განიხილეს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივები, ასევე ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის ფართო სპექტრი. ნორვეგიის მხარემ სრული მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესში.

ნორვეგიულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა საქართველოში განახორციელოს კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური პროექტები, კერძოდ სამცხე-ჯავახეთში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და საზღვრისპირა რეგიონებში საინფორმაციო ცენტრების შექმნა. მხარეები შეთანხმდნენ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისათვის შექმნან შესაბამისი სამართლებრივი ბაზა. ისაუბრეს ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს როლზე ქართველ დიპლომატთა გადამზადების საკითხში.

ნორვეგიული მხარე მიესალმა 2006 წლის ზაფხულში საქართველოს საელჩოს გახსნას დანიისა და ნორვეგიის სამეფოში. დასასრულს, ბატონმა კიეტილ სკოგრანდმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, მიმდინარე წლის შემოდგომაზე ოფიციალური ვიზიტით ნორვეგიაში მიიწვია.

**საგარეო საქმეთა სამინისტრო**




ეკა კვესიტაძის სვეტი

# ოპოზიცია

სპეკულაციები ახალი პოლიტიკური დაჯგუფებების შექმნის შესახებ უკვე დაიწყო. პირველი ვარაუდები და ვერსიები ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა გამოთქვა - ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანიას ძველი შემადგენლობა, ბადრი პატარკაციშვილთან ერთად, ახალი დამოუკიდებელი ძალა გახდება ქართულ პოლიტიკაში.

ეს საკმაოდ უცნაური განცხადება იყო, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ბურჯანაძეს და პატარკაციშვილს შორის საერთო ინტერესი და მიზანი ჯერჯერობით არ იკვეთება, თუ არ ჩავთვლით ძველ ურთიერთობებს, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე "გაერთიანებულ დემოკრატებსა" და ბიზნესმენს შორის ჩამოყალიბდა. ამ ეტაპზე კი მათ ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ.

ძნელი სათქმელია, რატომ დასჭირდა სალომე ზურაბიშვილს ახალ გაერთიანებაზე საუბარი მაშინ, როდესაც ამის პოლიტიკური კონტექსტი ჯერ არ მომწიფებულა.

ამ ეტაპზე მოტივაცია, რომ ხელისუფლების რომელიმე წამყვანი სახე დანარჩენ გუნდს გაემიჯნოს და ახალი პოლიტიკური პარტნიორების ძიება დაიწყოს, არ არსებობს. მიუხედავად პრობლემებისა და რეიტინგის დაცემისა, ხელისუფლება სუსტი ოპოზიციის ფონზე ჯერ კიდევ მყარად გძნობს თავს.

თუ მოულოდნელად მომხდარმა ფაქტმა განხეთქილების პროვოცირება არ მოახდინა, ძნელად სავარაუდოა, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე ხელისუფლებიდან ოპოზიციაში პოლიტიკური ფიგურების მიგრაცია მოხდეს.

ასე რომ, სალომე ზურაბიშვილის განცხადებები ჯერჯერობით მეტს არაფერს ნიშნავს, თუ არა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის პოლიტიკური ექსპერტის როლით გატაცებას, რაც თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ ახლად შექმნილი პარტიის ლიდერს თავისი პარტიის გაძლიერება უფრო უნდა აწუხებდეს, ვიდრე ახალ გაერთიანებებზე საუბარი, რადგან დღეს ქმედითუნარიანი, ძლიერი ოპოზიციის შექმნა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხია.

ერთი მოწოდებით იპოდრომზე შთამბეჭდავი რიცხვის მომხრეების შეკრებამ ბევრს გაუჩინა მოლოდინი, რომ ზურაბიშვილი ოპოზიციის წამყვანი ფიგურა გახდებოდა. ეს ასე არ მომხდარა - მის რეიტინგს არაფერი მომატებია, თუ არ დაკლებია, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან ხმაურიანი გადადგომის შემდეგ. ქაჯების ძახილმა, მართალია, ბევრს გული მოფხანა, მაგრამ პოლიტიკური დებატების დროს ახალი ტერმინილოგიის დამკვიდრება საკმარისი არ არის, ისევე როგორც არ არის საკმარისი რეგიონებში იშვიათი ვიზიტები და მედიაში დროდადრო გამოჩენა.

სალომე ზურაბიშვილის მსგავსად, სხვა ოპოზიციურ ლიდერებსაც თვითდამკვიდრებისა და საკუთარი მყარი ნიშის ძიების პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ უდგათ.

ხელისუფლება, რომლის მიერ გატარებული კურსი, უფასო სასადილოების შექმნიდან დაწყებული, რადიკალური რეფორმებით დამთავრებული, ფართო სპექტრს მოიცავს, ოპოზიციას ნიშის პოვნის ამოცანას ურთულებს.

ძირითადი მასა, რომელიც ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილოა, უფასო სასადილოებისა და რადიკალური რეფორმების შორის თუ მიღმა აღმოჩნდა. ბოლო პერიოდში ამ მასაში გამოკვეთილი აქტიური მოთამაშეები სალარო აპარატების შემოღებით განაწყენებული მოვაჭრეები და კრიმინალური სამყარო და ამ სამყაროს გულშემატკივრები არიან (ცალკე გამოყოფას იმსახურებენ ის ადამიანები, რომლებიც გულწრფელად არიან აღშფოთებულები ხელისუფლების მიერ ჩადენილი ცალკეული ქმედებებით, მაგ. გირგვლიანის მკვლელობით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ავტომატურად რომელიმე ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერები არიან).

ოპოზიციისთვის, რომელსაც რევოლუციის შემდეგ ძალიან გაუჭირდა თავის დამკვიდრება, ამ ორი მეტ-ნაკლებად ძლიერი ანტისახელისუფლო სეგმენტის გამოჩენა დიდი ცდუნება გახდა. ამიტომაც იყო, რომ მოვაჭრეების თემის, ისევე როგორც სხვადასხვა ტიპის კრიმინალთან ხელისუფლების ბრძოლის ფაქტების გარშემო ყველა ოპოზიციური პარტია გაერთიანდა, განურჩევლად რწმენისა, პრინციპებისა და იდეოლოგიისა.

შიში, რომ გააქტიურებულ ელექტორატს დაკარგავდა და სხვა პარტიას დაუთმობდა, ყველა ლიდერს გაუჩნდა და ამ შიშმა ისინი გააერთიანა. თუმცა, ამომრჩევლისათვის უკვე ძნელია იმის გარკვევა, თუ რა განსხვავებაა დღეს არსებულ ოპოზიციური პარტიების მიდგომებს შორის.

ის, რომ არაკონსტრუქციულ ხელისუფლებას არ შეიძლება კონსტრუქციული ოპოზიცია ჰყავდეს - ცხადია. პრეზიდენტის განაცხადება, რომ ის, ვინც განსახვავებულ აზრს გამოთქვამდა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე, მტრის პოზიციას დაიკავებდა, ნამდვილად არ უბიძგებდა ოპოზიციას კონსტრუქციულობისაკენ. მაგრამ დღეს სააკაშვილის პოზიცია, ყოველ შემთხვევაში, ვერბალური განცხადებების დონეზე, შეცვლილია.

"ინტენსიური დიალოგი აუცილებელია ოპოზიციასთან, საჭიროა ოპოზიციის მხრიდან კრიტიკა, რადგან ხელისუფლება არ გათავხედდეს და თავს არ გავიდეს, როგორც ეს უკვე მოხდა," - განაცხადა პრეზიდენტმა რამდენიმე კვირის წინ უმრავლესობასთან შეხვედრის დროს და ამ განცხადებას საკმაოდ კარგი გამოხმაურება მოჰყვა უცხოელ დიპლომატთა კორპუსში.

პრეზიდენტი ოპოზიციას სამართლიანი და არა ღვარძლიანი კრიტიკისაკენ მოუწოდებდა. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რას ნიშნავს სამართლიანი, კონსტრუქციული კრიტიკა?

კონსტრუქციული კრიტიკის ცნება, ისევე როგორც ბევრი რამ, სუბიექტურ აღქმას ექვემდებარება და მისი გაგება ყველას ინდივიდუალურად შეუძლია. მაგრამ დღეს, როდესაც დემოკრატიული, საბაზრო ეკომონიკის მქონე, სამართლებრივი ქვეყნის შექმნაზეა საუბარი, სადაც მტკივნეული რეფორმები გარდაუვალია, კრიტიკის კონსტრუქციულ და თანამიმდევრულ ბუნებას სწორედ ამ პრინციპებისადმი ერთგულება განსაზღვრავს.

სალარო აპარატების წინააღმდეგ გამოსული ერთიანი ოპოზიცია ამ პრინციპების ერთგული ნამდვილად არ ყოფილა. რაც შეეხება კრიტიკას კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის მეთოდებზე, ეს ბრძოლის კრიტიკას უფრო ჰგავს, ვიდრე მეთოდებისა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ზოგიერთ ლიბერალ პოლიტიკოსს არ შეეძლოს ნათლად და გარკვევით თავიანთი პოზიციის ისე არტიკულირება, რომ არც ხელისუფლებას და არც მსმენელს ეჭვი არ გაუჩნდეს მათ პოზიციასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, შეუძლიათ. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც სავარაუდოა, რომ ისევ შიში იჩენს თავს - კონკრეტული ელექტორატის ხელიდან გაშვების შიში.

ასე რომ, დილემა, რომლის წინაშედაც ოპოზიციის მეტ-ნაკლებად ჯანსაღი ძალა დგას, ხელშესახებია. მაგრამ ამ დილემის გადალახვის გზებიც არსებობს.

ამ ხელისუფლებას ძალიან ბევრი ხარვეზი აქვს. მაგრამ მათი მოძიება და დასაბუთება გაცილებით მეტ მუშაობასა და ენერგიას მოითხოვს.

დღეს კი ოპოზიცია სახელმწიფო ტერორზე ზოგად განცხადებებს არ სცდება. მაგ: ძნელია იმაზე უფრო ზოგადი განცხადებები გააკეთო, როგორც ეს რამდენიმე ხნის წინ გადაცემა "პირველებში" გოგი თოფაძემ მოახერხა. შეიძლება ითქვას, რომ ის აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო იმ ბრალდებების დასასაბუთებლად, რომელსაც ხელისფლებას უყენებდა და შესაძლოა - სამართლიანადაც.

როდესაც ხორცის მწარმოებელ ერთ-ერთი უმსხვილეს ავსტრიულ კომპანიას საქართველოდან აბსოლუტურად დაუსაბუთებლად აძევებენ, ეს უკვე ნიშნავს, რომ ქვეყანაში სერიოზული პრობლემებია. და ამ პრობლემების შემქნელები ძალიან მაღალი თანმადებობის პირები არიან, რომლებიც საკუთარი ბიზნესინტერესების დასაცავად საქართველოდან დიდ უცხოელ ინვესტორს აგდებენ. ეს ერთი სერიოზული არგუმენტია ხელისუფლების წინააღმდეგ, არგუმენტები სხვა ბევრ სფეროშიც მოიძებნება, მაგრამ მათ მოძიებასა და საზოგადოებამდე მიტანას უფრო მეტი მუშაობა სჭირდება.

ასე რომ, როცა პრეზიდენტი პარლამენტის ტრიბუნიდან იმას ამბობს, რაც კანონში წერია, ოღონდ სიტყვებს - "უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში" - აბსოლუტურად იდენტური სიტყვებით - "თუ სხვა გამოსავალი არ არსებობს" - ცვლის, ოპოზიციამ არ უნდა იყვიროს, რომ ის ტერორს აკანონებს. რადგან საყვირალი ბევრია და მისი ხელოვნურად მოგონება საჭირო არ არის.

## ბადრაგმა ომბუდსმენის უფლება დაარღვია

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა იუსტიციის მინისტრს მიმართვა გაუგზავნა. ომბუდსმენი გია ქავთარაძეს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბაჩო ახალაიას რეკომენდაციას აძლევს და საბადრაგო სამსახურის ორი თანამშრომლის - ზვიად გავაშელაშვილისა და მამუკა საბანაძის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს.

ზვიად გავაშელაშვილი და მამუკა საბანაძე სასჯელაღსრულების დაწესებულების საბადრაგო სამსახურის ის თანამშრომლები არიან, რომლებიც 2 მაისს, კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციისას მძიმედ დაჭრილ ბუბა ბუთურიძეს თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში მეთვალყურეობდნენ.

საქმე ისაა, რომ ბადრაგმა ომბუდსმენს უფლებამოსილების განხორციელების უფლება შეუზღუდა.

სახალხო დამცველის მოთხოვნა, მარტო დაეტოვებინათ იგი პატიმართან, ბადრაგმა არ შეასრულა და ომბუდსმენს ბუთურიძესთან პირისპირ დარჩენის საშუალება არ მისცა.

**"როდესაც მივუთითე, რომ მათი ქმედებით ირღვეოდა "სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მე-19 მუხლი, ბადრაგი მობილური ტელეფონით დაუკავშირდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საბადრაგო სამსახურის უფროსს, რომელმაც ზეპირი განკარგულებით ქვეშევრდომებს აუკრძალა ბუბა ბუთურიძესთან ჩემი მარტო დატოვება. მათ არ შეასრულეს ჩემი კანონიერი მოთხოვნა, რაც ისჯება ადმინისტრაციული წესით. სახალხო დამცველზე ზემოქმედება კი სისხლის სამართლის წესით ისჯება, რაც პატიმრობას ითვალისწინებს. თუმცა, ამ შემთხვევაში, მე არ ვაპირებ ამის მოთხოვნას, მაგრამ ადმინისტრაციული წესით ის ადამიანები უნდა დაისაჯონ",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სოზარ სუბარმა.

სახალხო დამცველმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი უკვე შეუდგინა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებს, რომლებმაც დაარღვიეს "სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მე-19 მუხლი.

ომბუდსმენი ბუბა ბუთურიძის პალატაში დაახლოებით ნახევარ საათის განმავლობაში იმყოფებოდა. ის ბრალდებულთან საუბრის დეტალების გახმაურებისგან თავს იკავებს. თუმცა აცხადებს, რომ ბუთურიძის ნაამბობი სპეცოპერაციის შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ვერსიისგან რადიკალურად განსხვავდება. პატიმარს ომბუდსმენისთვის უთქვამს, რომ დაკავებისას მას არც იარაღი ჰქონია.

იმ დროს, როდესაც სოზარ სუბარი თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში ბუბა ბუთურიძესთან იმყოფებოდა, მისი აპარატის წევრები ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოს სტუმრობდნენ. მათი იქ ყოფნის მიზანი, ინფორმაციის გადამოწმება გახლდათ, რომლის მიხედვითაც, საავადმყოფოში, პოლიციელებისგან სასტიკად ნაცემი პაციენტი იმყოფებოდა. მოგვიანებით, სახალხო დამცველის აპარატში დაადასტურეს, რომ ცოტნე შენგელია სამართალდამცველების მიერ მართლაც სასტიკადაა ნაცემი.

**"შენგელიას საუბარი არ შეეძლო, რის გამოც მისგან ინფორმაციის მიღება ვერ მოხერხდა. მხოლოდ ინციდენტის შემსწრე მოწმეებთან შევძელით გასაუბრება",** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები.

ჩვენი ინფორმაციით, 22 წლის ცოტნე შენგელიას სამტრედიაში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სპეცოპერაციის დროს სცემეს. შენგელიას თავის არეში მრავლობითი ჭრილობები აღენიშნება.

*24 საათი*

## პაატა ზაქარეიშვილი პოლიციას აღარ ენდობა

**"საქართველოში არსებული კრიმინალური მდგომარეობა საგანგაშოა და ეს კარგად იცის საქართველოს პრეზიდენტმა. ამიტომ დაუპირისპირდნენ ასე დაუნდობლად სამართალდამცველები კრიმინალებს. ხელისუფლება უდავოდ უნდა ებრძოლოს კრიმინალურ სამყაროს, მაგრამ არა ისე, როგორც ამას ვანო მერაბიშვილის უწყება აკეთებს. გირგვლიანის საქმიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, მე აღარ ვენდობი ჩვენს პოლიციას, ისევე, როგორც არ ვენდობოდი კახა თარგამაძის უწყებას.**

**მერაბიშვილმა დაამტკიცა, რომ ვერ უძლვება მასზე დაკისრებულ მოვალეობას და თანამდებობიდან უნდა გადადგეს",** - აცხადებს პრეზიდენტთან არსებული მონიტორინგის საბჭოს წევრი, რესპუბლიკელი პაატა ზაქარეიშვილი.

მან ქვეყანაში არსებული კრიმინალური მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოიპოვა. ამ მონაცემების თანახმად, 2003 წელთან შედარებით, საქართველოში დანაშაული 200 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება მძიმე და განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულების შესახებ მონაცემებს: 2003 წლის შედეგებით, თბილისში 1770 მძიმე დანაშაულია დაფიქსირებული, 2004 წელს რაოდენობა 3489-მდე გაიზარდა, წელს კი 7071-ს მიაღწია.

ქვეყნის მასშტაბით მონაცემები გაცილებით მძიმეა: 2003 წელი - 4172, 2004 წელი - 7086, 2005 წელი - 12750.

**დანაშაულის გახსნის პროცენტი 2003 წელს - 71 პროცენტი იყო, 2004 წელს - 51 პროცენტი, 2005 წელს კი 30 პროცენტი.**

**"რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის რაოდენობა იზრდება, გახსნის პროცენტი კი კლებულობს,"** - აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი და ტყუილს უწოდებს შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის ნათქვამს, რომ დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა მოიმატა.

**"თუ სტატისტიკურ მონაცემებს შევხედავთ, მივხვდებით, რატომ გამოაცხადა პრეზიდენტმა ნულოვანი ტოლერანტობა და რის გამო დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტრომ პანიკური ქმედებები. კრიმინალურ სამყაროს სისტემურად უნდა შევებრძოლოდ და არა პიარ-კამპანიებით",** - ამბობს ზაქარეიშვილი.

შინაგან საქმეთა მინისტრის კომენტარს 2 მაისს კორტებთან მომხდარი სპეცოპერაციის წარმატებულობაზე, პაატა ზაქარეიშვილი ტრაგედიას უწოდებს.

*მედიანიუსი*

## საქართველოს პრეზიდენტის ახალი ინვესტიცია

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების

ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა ეკონომისტებს (MBA), სახელმწიფო მართვის სპეციალისტებს და ჟურნალისტებს (მედია მენეჯმენტი), რომლებიც 2006-2007 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროპის ან ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტებში.

სამაგისტრო პროგრამების დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

**ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!**

სამაგისტრო პროგრამის გრანტი გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, ვინც წარმოადგენს ოფიციალური მოწვევის წერილს ევროპის ან აშშ-ის რომელიმე უნივერსიტეტიდან, რაც ადასტურებს, რომ კანდიდატს გავლილი აქვს უნივერსიტეტში სწავლის ან სამეცნიერო მუშაობის დასაწყებად აუცილებელი ყველა წინასწარი გასაუბრება, კონკურსი, გამოცდა და ა.შ.

დეტალური ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე:
www.drf.org.ge
www.jobs.ge

შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:

**განვითარებისა და რეფორმების ფონდი**
**ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო**
**ტელ.: 996723**

## კალაშოვის ექსტრადიციას საქართველო არ მოითხოვს

გაზეთ Lenta.ru-ს ინფორმაციით, ესპანეთის პოლიციამ ძებნა გამოაცხადა კიდევ ერთ "კანონიერ ქურდზე", "რუსული მაფიის ლიდერის", შაქრო კალაშოვის მეგობარზე ტარიელ ონიანზე. ონიანს ესპანელი სამართალდამცველები დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნაში, ფულის გათეთრებასა და სხვა კრიმინალურ ქმედებებში ადანაშაულებენ.

გაზეთ Lenta.ru-ს ინფორმაციით, ტარიელ ონიანმა ერთი თვის წინათ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. რუსეთის კონსტიტუციით კი, მისი ქვეყნის მოქალაქე სხვა ქვეყანას არ გადაეცემა. თუმცა, რუსეთის შსს-ს ორგანიზებულ დანაშაულთან და ტერორიზმთან ბრძოლის დეპარტამენტის განცხადებით, ონიანმა რუსეთის მოქალაქეობა უკანონოდ მიიღო. გაზეთის მიხედვით, თუ ეს ფაქტი დადასტურდება, ონიანის ესპანეთში ექსტრადიცია მოხდება.

Lenta.ru-ს ინფორმაციით, კალაშოვსა და ონიანზე საერთაშორისო ძებნა 2005 წლის ზაფხულში მას შემდეგ გამოცხადდა, რაც მათ მოახერხეს თავი დაეღწიათ ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციისთვის კოდური სახელწოდებით "კრაზანა".

შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, კალაშოვსა და ონიანს, ორმაგი მოქალაქეობა - საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეობა აღმოაჩნდათ.

მერაბიშვილის თქმით, კალაშოვს საქართველოს მოქალაქეობა 6-7 წლის წინ აქვს მიღებული. დაკავებისას მას 15 მისამართი ჰქონდა აღნიშნული და აქედან 5 საქართველოში იყო რეგისტრირებული. რაც შეეხება ონიანს, მერაბიშვილის თქმით, მან რუსეთის მოქალაქეობა მხოლოდ ორი კვირის წინ მიიღო.

**"ესპანელი სამართალდამცველებიც განცვიფრებულნი არიან ამ ფაქტით",** - განაცხადა მერაბიშვილმა.

**"არ მესმის, რაში სჭირდება რუსეთს ძებნილების მიღება. თუმცა, მე ვიცი, რომ ისინი მათ სააკაშვილის მთავრობის დამხობას ჰპირდებიან. რატომ არიან დარწმუნებული რუსები, რომ ეს ასე იქნება, არ ვიცი. ალბათ, რუსეთი სატანასაც კი მისცემს მოქალაქეობას, თუ ჩემს მოშორებას დაჰპირდებიან",** - განაცხადა პრეზიდენტმა და აღნიშნა, რომ აუცილებელია რუსეთთან დაკავშირება და ახსნა, რომ ბანდიტი ყველგან ბანდიტია და მისი ადგილი, ნორმალურ სახელმწიფოში, ციხეშია.

**"ის, რომ ჩვენი ქურდები დუბაიში, ბარსელონაში, მოსკოვში, პეტერბურგში და სხვა ქვეყნებში გარბიან, იმას ნიშნავს, რომ მათი ადგილი თბილისში, თელავში, ქუთაისსა და ჩხოროწყუში არ არის. ასე დავასრულოთ "კანონიერ ქურდებთან" ბრძოლა, მხოლოდ კანონის სრული დაცვით",** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

რაც შეეხება დაკავებულ შაქრო კალაშოვს. რუს სამართალდამცველებს მისი მოქალაქის ექსტრადიცია ჯერჯერობით არ მოუთხოვია. კალაშოვის ექსტრადიციას არ მოითხოვს არც საქართველო. მეტიც, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო შაქრო კალაშოვის მოქალაქეობის შეჩერებაზე იმსჯელებს და, სავარაუდოდ, მას ეს სტატუსი ჩამოერთმევა კიდეც.



*ესპანურ სააგენტო "Libertad"-ში გამოქვეყნებული შაქრო კალაშოვის ფოტო, რომელიც ინტერპოლის ბიუროს მიერაა გავრცელებული.*

*24 საათი*

## დამოუკიდებლობა და ობიექტურობა - ახალი თავმჯდომარის დაპირება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა თანამშრომლებს ახალი თავმჯდომარე ეკა ტყეშელაშვილი თავად წარუდგინა.

როგორც ცნობილია, ეკა ტყეშელაშვილი ბოლო დრომდე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო. სააპელაციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარე 1999-2000 წლებში მუშაობდა "წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტში იურისტად. 2001-2002 წლებში გადიოდა პრაქტიკას ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალში, სააპელაციო განყოფილებაში. 2002-2004 წლებში მუშაობდა "IREX"-ის საქართველოს წარმომადგენლობაში. 2004-2005 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ხოლო 2005 წლიდან დღემდე - საქართველოს შს მინისტრის მოადგილე.

**"ეს სასამართლო სამაგალითო იქნება თავისი ობიექტურობით, დამოუკიდებლობით და მიუკერძოებლობით და ამაში ეკა ტყეშელაშვილი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს",** - განუცხადა კოტე კუბლაშვილმა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს. მისივე განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლო ქართული მართლმსაჯულების ხერხემალია. ამ სასამართლოში, რიცხობრივად, ყველაზე მეტი საქმე განიხილება და თუკი, თბილისის სააპელაციო სასამართლო ობიექტური იქნება, მაშინ მთელი სასამართლო სისტემა გაიმართება წელში. კოტე კუბლაშვილი სააპელაციო სასამართლოს ახალ თავჯდომარეს და თანამშრომლებს დაჰპირდა, რომ ეს სასამართლო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უმაღლეს დონეზე აღიჭურვება.

**"ის, რომ აქ მოსვლამდე ვმუშაობდი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე, გავლენას არ იქონიებს ჩემს მომავალ საქმიანობაზე, რადგან ობიექტური მართლმსაჯულებით დაინტერესებულია როგორც დაცვის მხარე, ასევე ბრალდების მხარე",** - განუცხადა თანამშრომლებს ეკა ტყეშელაშვილმა.

მისი დაპირების მიხედვით, თბილისის სააპელაციო სასამართლო მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი იქნება და მომავალში გამოირჩევა საქმის განხილვის ვადების სრული დაცვით და დროულობით.

**"მთავარია იყოს დისციპლინა",** - ასეთია სააპელაციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარის მიერ თანამშრომლების მისამართით გაკეთებული მინიშნება.

*24 საათი*

## თევდორაძე სამართლიანი გამოძიების მოლოდინში

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე გენერალურ პროკურორთან შეხვედრით კმაყოფილია.

ელენე თევდორაძის განმარტებით, იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც პარლამენტის რამდენიმე კომიტეტის წარმომადგენლებმა გენერალურ პროკურორთან შეხვედრისას მიიღეს, მას შეუძლია განაცხადოს, რომ რამდენიმე გახმაურებულ საქმეზე გამოძიება სამართლიანად მიმდინარეობს.

თევდორაძე, როგორც თავად აცხადებს, დარწმუნებულია, რომ ორ გახმაურებულ საქმეზე - რევაზ ცალანის ცემის ფაქტზე და ქუთაისში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით გამოძიების შედეგები სამართლიანი იქნება, რადგან, გამოძიების მასალებით, როგორც ცალანის ცემის საქმეში, ისე ქუთაისში მომხდარ ინციდენტში, მთავარი ეჭვმიტანილები პოლიციის თანამშრომლები არიან. **"ამ შეხვედრის შედეგებით კმაყოფილი ვარ. გამოძიება ძალიან კარგად მიმდინარეობს და დარწმუნებული ვარ, რომ ფინალიც სამართლიანი იქნება",** - განუცხადა პარლამენტარებს ელენე თევდორაძემ.

**"კარგი იქნება, თუ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების ხელმძღვანელები ხშირად იქონიებენ კონტაქტს ძალოვანი უწყებების პირველ პირებთან, რათა ყველა გახმაურებული ფაქტი სამართლიანად იყოს გამოძიებული და დამნაშავეები დაისაჯონ",** - ასე გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე დეპუტატის ანგარიშს. ნინო ბურჯანაძის თქმითვე, გენერალურმა პროკურატურამ გამოძიების დასრულების შემდეგ, საზოგადოება საქმის კურში უნდა ჩააყენოს.

ელენე თევდორაძეს გუშინ არ უსაუბრია 2 მაისს კორტებთან ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით გენერალური პროკურორისგან მიღებულ ინფორმაციაზე. როგორც ცნობილია, ზურაბ ადეიშვილმა ამ სპეცოპერაციის დეტალების შესასწავლად კვლავ გარკვეული დრო მოითხოვა.

*24 საათი*




ქალაქური რომანი

როდესაც გიყვარს, გგონია, რომ მას იცნობდი ყოველთვის. იმიტომ, რომ ისიც ანიჭებს უპირატესობას ნათელ ფერებს და სალონის მრავალფეროვან გაფორმებას. იმიტომ, რომ მასთან ერთად მარტივია და იმიტომ, რომ მასაც უყვარს თქვენი ახალი Getz და თქვენი ძველი და ულამაზესი ქალაქი მსოფლიოში

HYUNDAI Official Partner

საწყისი ფასი: Getz $9.900-დან; Santa FE New $28.100-დან;
Tucson $18.800-დან; Sonata $18.900-დან;
Terracan $23.500-დან; H-1 $21.500-დან

www.hyundai.ge

HYUNDAI
Drive your way™
იარე შენი გზით

# Αγορά

აგორა ძველბერძნულად მოედანს ნიშნავს. მოგვიანებით მან სახალხო კრების მნიშვნელობა შეიძინა. ბერძნული მოედნები და მათი არქიტექტურა ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ აგორა, განსაკუთრებით ათენში, სხვა მიზეზით გახდა ცნობილი. იქ ხალხი იკრიბებოდა და მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდა. რაც მთავარია, ერთმანეთს ყურს უგდებდნენ და ჭკვიანი თანამოქალაქეების აზრებს ხელისუფალნიც ითვალისწინებდნენ. გონიერი ხალხი დღესაც ბევრი გვყავს, საკითხავია, ვინ როგორ ეკიდება მათ სიტყვებს. ჩვენი აგორა - გაზეთის ერთი მონაკვეთია. ვერ შეგპირდებით, რომ აქ ამოკითხულ მოსაზრებებს უკლებლივ ყველა გაიზიარებს, მაგრამ გპირდებით, სწორედ იმ ავტორებთან ვითანამშრომლებთ, ვისი აზრიც გასათვალისწინებელია. მაშ ასე, აგორაზე გეპატიჟებით.

დაგვიკავშირდით:
ელ-ფოსტით sophiotodua@yahoo.com



# სკოლა პედიატრის თვალით

ყარამან ფაღავა
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიისა და მოზარდთა მედიცინის კათედრის გამგე

უკანაკნელ წლებში იუნესკოს, იუნისეფის, ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციიის, მსოფლიო ბანკის ინიციატივითა და სხვა საერთაშორისო სააგენტოების მხარდაჭერით მრავალ ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც, ე.წ FRESH ინიციატივა ინერგება. იგი გულისხმობს რესურსების ფოკუსირებას, სკოლამ ეფექტურად რომ შეუწყოს ხელი ჯანმრთელობას. მისი ძირითადი კომპონენტებია ჯანმრთელობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული პოლიტიკის შემუშავება და გატარება, სკოლაში სამედიცინო დახმარების ოპტიმიზაცია, სამედიცინო-პროფილაქტიკური განათლება (მავნე ჩვევებისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო ქცევის მინიმალიზაციის მიზნით) და სასკოლო ჰიგიენა (გათბობა, საკმარისი განათება, შესაბამისი ავეჯი, სახიფათო ეკოლოგიური ზეგავლენების თავიდან აცილება, სანიტაცია, უსაფრთხო კვება და სხვა). აქ არაფერია სადავო, დავუმატებდი, რომ აუცილებელია ასევე ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატი, დაუშვებელია ე.წ. "ბულინგი" - აბუჩად აგდება, დაცინვა, ფიზიკური შეურაცხყოფა, თავმოყვარეობის შელახვა, სხვადასხვა სახის ძალადობა (სამწუხაროდ, ცოდვა გამხელილი სჯობსო, არა მარტო თანასკოლელებისა და თანაკლასელების, არამედ ზოგჯერ უფროსების მხრიდანაც !!!). სხვა მიდგომა ესაჭიროება სწავლაში სიძნელეებს - უმთავრესად ეს ავადმყოფობის გამოვლინებაა; მოსწავლეთა ასოციალურ ქცევას ხშირად მშობელთა მხრიდან ყურადღებისა და ალერსის დეფიციტი უდევს საფუძვლად; ზედმეტ აგრესიულობას კი გადართვა, სუბლიმაცია, სხვადასხვა აქტივობა, თუნდაც სპორტი ესაჭიროება.

ველოსიპედის ხელახლა გამოგონება არაა საჭირო, მაგრამ უცხოური გამოცდილების, რაგინდ ავტორიტეტული წყაროებიდან იყოს მოპოვებული, ბრმა გადმოღებაც არაა სასურველი. პრიორიტეტების დასადგენად პირველ რიგში სამეცნიერო ბაზისია საჭირო, სათანადო ეპიდემიოლოგიური გამოკვლევების ჩატარებაა აუცილებელი. თუნდაც სექსუალური განათლება მოვიყვანოთ მაგალითად, ჩვენში დიდ დავას რომ იწვევს. ის სამედიცინო-პროფილაქტიკური განათლების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. გადასაწყვეტია მხოლოდ, რა ოდენობით, რამდენად ღრმად ესაჭიროება იგი ჩვენს ბავშვებს, ეს კი დამოკიდებულია ტრადიციებზე და, რაც მთავარია, არსებულ სიტუაციაზე. არის ქვეყნები, სადაც ლამის 12-14 წლიდან იწყებენ სექსუალურ ურთიერთობას - შესაბამისად, მაღალია მოზარდებში ორსულობისა და აბორტების, სექსუალური გზით გადაცემული დაავადებების სიხშირე. ცხადია, აქ სპეციფიური განათლება (კონდომების გამოყენების სწავლების ჩათვლით) ათწლიანებშიც უნდა ხორციელდებოდეს. მაგრამ ვიცით კი, ამ მხრივ ჩვენთან რა მდგომარეობაა? არ ვიცით. მაშასადამე, საგანმანათლებლო აქტივობაც არსებული სიტუაციის კვლევასა და მის გააზრებას უნდა ეყრდნობოდეს.

სამედიცინო-პროფილაქტიკური განათლება ჯანსაღად ცხოვრების წესის დამკვიდრების ქვაკუთხედია. მოზარდობის პერიოდი საუკეთესოა სათანადო ცოდნის გათავისებისა და ჩვევების შესამუშავებლად. სწორედ ამიტომ იგი აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი სასკოლო პროგრამაში (ცალკე საგნად თუ სხვადასხვა დისციპლინაში მისი ფრაგმენტების შეტანით - ეს უკვე დეტალებია). ცხადია, სამედიცინო-პროფილაქტიკური განათლება ბრწყინვალედაც რომ ხორციელდებოდეს, მარტო სკოლა უძლურია დასახული მიზნების მისაღწევად. მთლიანად საზოგადოების დახმარებაა საჭირო. ჯანსაღად ცხოვრების წესი მოდის (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) საგანი უნდა იყოს. პირად მაგალითს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც მოზარდებისთვის სანიმუშოა - მშობლები, მასწავლებლები და ქვეყნის ელიტა (გამოჩენილი მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, სპორტსმენები, პოლიტიკოსები, თანამდებობის პირნი თუ მსხვილი ბიზნესმენები).

ერთი ავსტრიელი მეგობარი მყავს, შესანიშნავად იცნობს საქართველოს, უყვარს იგი და თავისი წვლილი შეაქვს ქართულ-ავსტრიული ურთიერთობების გაღრმავებაში. რამდენიმე წლის წინ ჩემთან საუბარში ერთი საინტერესო აზრი გამოთქვა: ფართო განათლება და მძლავრი კულტურული ტრადიცია - ეს არის ის ძირითადი ბერკეტებიო, რისი მეშვეობითაც გაქვთ შანსი ნამდვილი ევროპული ქვეყანა გახდეთო, დაკარგავთ ამასო და სამუდამოდ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი იქნება თქვენი ხვედრიო.

აღზრდასა და სწავლა-განათლებას რაც შეეხება, ევროპული მოდელი მესახება სასურველად - კერძოდ, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო-ტექნიკური საგნების ოპტიმალური თანაფარდობა; ლოგიკა უნდა შევაყვაროთ და შევასწავლოთ მოზარდს; შედარებით მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენლებისთვის უცხო ენების ცოდნა ხომ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. სამედიცინო-ბიოლოგიური თვალსაზრისით სწავლების ფრიად მნიშვნელოვანი საშუალებაა იმპრინტინგი - ჩაბეჭდვა, ქვეცნობიერზე ზემოქმედება (თუნდაც "იავნანამ რა ჰქმნა"-ს მაგალითი რად ღირს). ამ მხრივ ლიტერატურასა და ისტორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

აქვე კიდევ ერთ მოსაზრებასაც მოვიყვანდი. როდემდე უნდა შევუშალოთ ჩვენს ბავშვებს, რომლებიც არაქართულ სკოლაში სწავლობენ (სულერთია, ეთნიკური ქართველები არიან თუ არა), უყვარდეთ ჩვენი სამშობლო ისევე, როგორც ქართულენოვანი სკოლების აღსაზრდელებს უყვართ? არაა სადავო, რომ თუ შენი ქვეყნის ისტორია იცი, უფრო დააფასებ და უერთგულებ მას. თუნდაც ლიტერატურა ავიღოთ; ხასიათი, ინდივიდუმის ფსიქოლოგიური წყობა მნიშვნელოვანწილად იმ ნაწარმოებებზეა დამოკიდებული, რომელსაც ის ბავშვობაში წაიკითხავს, მასწავლებლის ხელმძღვანელობით ტოლებთან ერთად გაარჩევს და განიხილავს. არ ვიცი, ვინ როგორ დამეთანხმება, მე კი მიმაჩნია, რომ ნამდვილი პატრიოტი, ამ ქვეყნის ღვიძლი შვილი რომ იყო, არა აქვს მნიშვნელობა, კერძო სკოლაში იღებ განათლებას თუ სახელმწიფო სასწავლებელში. მთავარია, გათავისებული გქონდეს "ვეფხისტყაოსანი" და "შუშანიკის წამება", გრიგოლ ორბელიანის "სადღეგრძელო" და ილიას "მგზავრის წერილები", აკაკის "ბაში-აჩუკი" და "გამზრდელი", არგონავტების მითები, თქმულებები ნართებზე და ამირან-აბრსკილზე, "დიდოსტატის მარჯვენა", "ნატვრის ხე", გალაკტიონის ლირიკა, იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები, "ჰაკი აძბა", ნიკო ლორთქიფანიძის "რაინდები" (ცხადია, ჩამონათვალი ცალკე მსჯელობის საგანი უნდა იყოს). რაღაც გარკვეული, თუნდაც მინიმალური, მაგრამ ყველასთვის სავალდებულო "ჩასაბეჭდი" ინფორმაცია, პატრიოტულ სულისკვეთებას რომ აღვივებს, აუცილებელია.

სხვათა შორის, ქართული ენის სწავლებას კიდევ ერთი პატრიოტული მუხტით შეუძლია აღჭურვოს ჩვენი ახალგაზრდობა. მახსენდება აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ერთი გამოსვლა, არ მახსოვს, სატელევიზიო თუ საჯარო ლექცია იყო. შესანიშნავად განმარტა ბგერათა კანონზომიერი ცვლილებები ქართულში, მეგრულსა და სვანურში - მეცნიერული ლოგიკური დასაბუთება ამ ენების ერთი ძირიდან აღმოცენებისა. ესეც ხომ ჩვენს გაერთმთლიანებას შეუწყობდა ხელს, რატომ არ ვასწავლით ამას სკოლაში?

საქართველოს ისტორია რომ სათანადოდ უნდა ისწავლებოდეს, თავისთავად ცხადია. ალბათ ჩვენს უშუალო მეზობლების შესახებადაც მეტი უნდა ვიცოდეთ, მაგრამ მთავარია, ყველაფერი მსოფლიო კონტექსტში განიხილებოდეს. ჩვენი მიღწევებიც და ღირებულებებიც მსოფლიო მასშტაბით უნდა ფასდებოდეს. და ეს ორი უკიდურესობისაგან გვიხსნის, სამწუხაროდ, ხშირად თავს რომ იჩენს ხოლმე. პირველი: ჩვენზე უკეთესი არავინ არისო ("რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო") და მეორე: კიდევ უარესი, დამაკნინებელი, ეროვნული მეობის შეურაცხმყოფელი და უკეთესი მომავლისთვის ბრძოლის გადამხაზველი (სად ჩვენ და სად .... გერმანელი, ესტონელი, არგენტინელი, დანიელი ...).

დაუშვებლად მიმაჩნია მოზარდის აღზრდისას მასში გაქვავებული წინასწარგანწყობის, მზა სტერეოტიპების, მით უფრო - მტრის ხატის, შენიღბული და შეუნიღბავი სიძულვილის, ქსენოფობიის, უცხოთა გაუტანლობის ჩამოყალიბება. ჩვენი სამშობლო ყოველთვის იყო ტოლერანტობის, შემწყნარებლობის საუკეთესო მაგალითი და ეს არა მარტო ჩვენი წინაპრების მაღალი ზნეობაზე, არამედ მათ სიბრძნეზედაც მიუთითებს. არ ჯობს, შექმნა ისეთი სიტუაცია, რომ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანებს ჩვენი მშვენიერი ქვეყნის აყვავებაში თავიანთი წვლილი შეჰქონდეთ?!

ჩვენი ლიტერატურა მოსწავლე ახალგაზრდობას უმთავრესად რაინდულ რომანტიკულ სულისკვეთებას უნერგავს - ერთგულებას, სიმამაცეს, მეგობრობას, მიჯნურობას, უფროს-უმცროსობას და ეს თავისთავად შესანიშნავია. რაინდულ იდეალებში მხოლოდ მსახურება ნაკლებადაა გამოკვეთილი. "მე დავიბადე, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას ულელი" - ლამის ერთადერთი გამონაკლისია. სამწუხაროდ, სრულიად არ არის ასახული შედარებით ახალი (ცხადია, ჩვენთვის) ბურჟუაზიული იდეალები - შრომის კულტი, გერგილიანობა, ბიზნესი, გონივრული ხარჯვა, ყაირათიანობა, სიახლის ძიება, ფხიანობა. ყოველივე ეს სასკოლო პროგრამის გავლის შემდეგაც terra incognita-დ, უცხო მიწად, უცხო მატერიკად რჩება ჩვენი ახალგაზრდებისთვის. უფრო მეტიც, ფხიანობა დღემდე ბევრს "იყიდე-გაყიდე -დუქანია?!" და "შანს-პეპელობის" განსახიერებად მიაჩნია. რა გასაკვირია, რომ ქვეცნობიერად ასეთი განწყობის მქონეთ, ისტორიულადაც და ახლაც, ეკონომიურ შენებაში ასეთი სიძნელეები რომ გვქონდა და გვაქვს? რაღაც უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებითაც.

პედიატრი ვარ და ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, ამა თუ იმ საკითხზე ჩემებური შეხედულება მაქვს, პროფესიით დაღდასმული. ვფიქრობ, მრავალი დამეთანხმება, რომ ყველაზე პატრიოტულია ის ძალისხმევა, რაც მოზარდი თაობის საკეთილდღეოდაა მიმართული, რაც არა - ანტიპატრიოტულია. სკოლა, როგორც ინსტიტუცია, მასწავლებლები, როგორც ამ ინსტიტუციის წამყვანი ძალა, შესანიშნავად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მაღალ მოვალეობას - უზრდიან ქვეყანას ჯანსაღ, ზრდილ, მცოდნე, გონიერ, ზნეობრივ, ცხოვრებისთვის ყოველმხრივ შემზადებული ახალ თაობას. მეტი გვინდა. ამ ძალისხმევაში პედაგოგების გვერდით პედიატრებიც მოვიაზრებით.

# სიცოცხლის ხანგრძლივობა: გუშინ, დღეს, ხვალ

გიორგი წულაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ყველაფერი შედარებითი და პირობითია. სტატისტიკის დეპარტამენტის 2004 წლის მონაცემებით საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელმა ხანგრძლივობამ 71,4 წელი შეადგინა (მამაკაცებისათვის - 67,8 ქალებისათვის - 74,9 წელი); მაშინ, როდესაც ზამბიაში ის მხოლოდ 35 წელი იყო (ყველაზე დაბალი დონე მსოფლიოში), ხოლო იაპონიაში - 10 წლით უფრო მაღალი იყო საქართველოსთან შედარებით (მამაკაცებისათვის - 78, ხოლო ქალებისათვის - 85 წელი).

ძველი დროიდან დღევანდელობამდე სიცოცხლის ხანგრძლივობამ ევოლუციის დიდი გზა გაიარა. რომის იმპერიის დროინდელი მონაცემებიდან გამომდინარე, გარდაცვლილთა საშუალო ასაკი 32 წელს შეადგენდა.

დაახლოებით ორი ათასწლეული იყო საჭირო, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობას მე-19 საუკუნის ბოლოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 47 - 50 წლისთვის მიეღწია. არსებული მონაცემებით საქართველოში იმავე პერიოდში სიცოცხლის ხანგრძლივობა 43 წელი (მამაკაცებისათვის - 42, ქალებისათვის - 44) იყო.

მართალია, საქართველო იმ პერიოდში რუსეთის იმპერიაში შედიოდა, მაგრამ სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე რუსეთის ევროპულ ნაწილში, სადაც იგი 1894-1903 წლებში მამაკაცებისათვის - 31, ხოლო ქალებისათვის - 33 წლის ფარგლებში იყო.

მთელი მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში განიცდიდა ზრდას და 1989 წელს 71,3 (მამაკაცებისათვის -67,3, ქალებისათვის - 75,0) წელს მიაღწია.

1990-2004 წლებში სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში განიცდიდა გარკვეულ რყევას. 2004 წლისათვის მისი დონე დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც 1990 წელს. ამდენად, 15 წლიანი პერიოდის განმავლობაში სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში არ შეცვლილა. იმავე დროს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობამ მნიშვნელოვნად მოიმატა.

2004 წელს სიცოცხლის ხანგრძლივობის თვალსაზრისით საქართველო მსოფლიოში მამაკაცების მხრივ 98-ე, ხოლო ქალების მიხედვით 86-ე ადგილზე იყო. ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ნათელია, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რეგიონალური განსხვავებები არსებობს. განვითარებულ ქვეყნებში ის უფრო მაღალი იყო, რჩება და იქნება მომავალში განვითარებად ქვეყნებთან შედარებით.

თვალსაჩინო რეგიონალური განსხვავებები თვით ევროპისათვისაც კი იყო დამახასიათებელი. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპაში ის უფრო დაბალი იყო და ასეთად რჩება, ვიდრე ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში. გაეროს ექსპერტების პროგნოზული გაანგარიშებებიდან გამომდინარეობს, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა მომავალშიც მოიმატებს. მაგალითად, მსოფლიოსათვის 2040-2050 წლებში, 2000-2005 წლებთან შედარებით, ის ათი წლით გაიზრდება და 76 წელს მიაღწევს.

პროგნოზული გაანგარიშებით სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში მომავალში ზრდის ტენდენციით უნდა ხასიათდებოდეს. პროგნოზის სხვადასხვა ვარიანტიდან გამომდინარე, 2050 წლისათვის მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა 72-77, ხოლო ქალების 78-82 წლამდე შეიძლება გაიზარდოს. როგორც ვხედავთ, უკეთეს შემთხვევაშიც კი 2050 წლისათვის საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობა მაინც უფრო დაბალი იქნება, ვიდრე სადღეისოდ იაპონიაშია.




# თოვდა გვატემალაში

თამარ ბუნაშვილი
ჟურნალისტი, "ჯეობარის" პროდიუსერი

ეს ალბათ დასაწყისშივე უნდა ვთქვა: თუ ყველა არამწეველი ბედნიერია, ხოლო მე უკვე აღარ ვეწევი, ესე იგი, წელიწადი და სამი თვეა ბედნიერი ვარ და ვიქნები მანამ, სანამ მოწევას არ განვაახლებ.

გვატემალელი ბავშვებისთვის თოვლის ბაბუა ისეთივე საეჭვო ცნებაა, როგორც თავად თოვლი. ამიტომ გვატემალელ ბავშვებს დიდად არ ჯერათ თოვლის ბაბუის და, შესაბამისად, არა აქვთ იმის შანსი, რომ წელიწადში ერთხელ ინატრონ მყარი გარანტიით: ინატრონ ისე, რომ აუცილებლად აუსრულდეთ. მიუხედავად იმისა, რომ მთელი წელი კარგად სწავლობდნენ; მიუხედავად იმისა, რომ კარგად იქცეოდნენ; მიუხედავად იმისა, რომ დროზე იძინებდნენ. გვატემალელ ბავშვებს არა აქვთ იმის იმედი, რომ წელიწადში ერთხელ მაინც ბედნიერები იქნებიან.

ამიტომ გვატემალელმა მშობლებმა, რომლებიც თავის დროზე გვატემალელი ბავშვები იყვნენ და კარგად იცოდნენ, რას ნიშნავს გვატემალაში გატარებული ბავშვობა, ბედნიერების თავიანთი - გვატემალური - შემომტანები შექმნეს.

მათ "გვატემალას თოჯინებს" ეძახიან. ისინი რვანი არიან: 4 გოგო და 4 ბიჭი. თითოეულის სიმაღლე არასრული ერთი სანტიმეტრია, წონა - 1-დან 3 გრამამდე. არა აქვთ თვალები, პირები, ცხვირები და ყურები. ისინი ეროვნულად სხარტი დეკორით დაქარგულ ტომსიკაში ცხოვრობენ და, წესდების თანახმად, დღის შუქი არ უყვართ. ამ თოჯინებს მავთულებისა და ფერადი ჭინჭებისგან გვატემალელი შამანები ამზადებენ, რომლებიც თავის დროზე გვატემალელი ბავშვები იყვნენ და გარანტირებული ბედნიერების არც ერთი შანსი არ ჰქონდათ.

ითვლება, რომ გვატემალას თოჯინებს ოცნებების ახდენა შეუძლიათ. ამისათვის ძილის წინ ტომსიკიდან წყვილი უნდა ამოიყვანო - გოგო და ბიჭი, ბალიშის ქვეშ დაიწვინო და შენი სატკივარი უამბო. გვატემალელი თოჯინა-გოგო და გვატემალელი თოჯინა-ბიჭი მას თან (ტომსიკაში) წაიღებენ. მაგრამ ამ რვა თოჯინაში სულ ერთი წყვილია ისეთი, რომელიც, თუ დაწყვილდა, სურვილს აგისრულებს. მთავარია, ის გოგო, რომელიც სურვილს ასრულებს, სურვილის ამსრულებელ ბიჭთან ერთად დააწვინო ბალიშის ქვეშ.

ამიტომ გვატემალელი ბავშვები არ ელოდებიან მთელი წელი ნატვრის ახდენას - ერთისა და ერთხელ (თუნდაც გარანტირებულად). მათ ხომ ყოველ ღამე აქვთ იმის შანსი, რომ რაღაც ისურვონ და ყოველდღე სჯეროდეთ, რომ ხვალიდან ბედნიერები იქნებიან: ხვალ, ზეგ, მაზეგ - ყოველთვის, როცა კი გვატემალელ თოჯინებს სწორად დააწყვილებენ.

და იცით, საბოლოო ჯამში გვატემალელი ბავშვები აშკარად მოგებულები რჩებიან, იმიტომ, რომ ეს ჩვენი (თუ თქვენი) თოვლის ბაბუა დიდი ანგარიშიანი და ღვარძლიანი ბებრუცანაა და მთელი წელი ნატვრის ასრულებაზე ისე გევაჭრება, თითქოს ბედნიერების მწარმოებელი კი არა, მხოლოდ გადამყიდველი იყოს. გვატემალელ თოჯინებს კი მარტო ის უნდათ, რომ ერთად წოლის შანსი მიეცეთ - თუნდაც ერთი ღამით. და მერე უკვე ამ სიკეთეს ნამდვილად აღარ დაგივიწყებენ.

ჩვენს გვატემალურ ტომსიკაში, რომელიც ჩემმა დამ გერმანიაში კარუსელების დღესასწაულზე 12 მარკად იყიდა (დააგოიმეს, მგონი), სულ 2 წყვილია (რაღაც შვედურ ოჯახს უფრო წააგავს), რადგან დანარჩენი ოთხი თოჯინა ჩემმა დამ ჩამოსვლისთანავე გააჩუქა. არავინ იცის, ბედნიერების მომტანი წყვილი დააშორიშორა თუ სულაც ხელს გააყოლა.

მე და ჩემი და, პრინციპში, გამოვედით გვატემალელი ბავშვების ასაკიდან და აღარ გვჯერა, რომ სურვილები ასე მარტივად სრულდება (ჩვენი სურვილები - სხვების დაწყვილებით). საწუწუნოსაც ერთმანეთს უფრო ვეწუწუნებით, ვიდრე ბალიშის ქვეშ შეჩურთულ ფერადძაფიან მავთულებს. მაგრამ ხანდახან მაინც გამიელვებს ხოლმე გვატემალურად ბავშვური (ან ბავშვურად გვატემალური) ეჭვი: ვინ იცის, იქნებ სურვილების შემსრულებელი ორივე თოჯინა კვლავაც ჩემს ტომსიკაშია, მე კი იმის ნაცვლად, რომ უბრალოდ ხელი გავიწოდო და სურვილი ჩავუთქვა, სულ ტყუილად არ ვეწევი სიგარეტს აგერ უკვე წელიწადი და სამი თვეა მხოლოდ იმისთვის, რომ ბედნიერი ვიყო?!!



# აფიშა

**11 მაისი**

## თეატრი

**რუსთაველის თეატრი**
ილია ჭავჭავაძე. "კაცია-ადამიანი?!"
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"დედა დედოფალი". დასაწყისი: 18.00

**პანტომიმის თეატრი**
"ზელფი". დასაწყისი: 19.00

## კინო

**"ახმეტელი"**
"ტრისტანი და იზოლდა". დასაწყისი: 14:30; 20:30
"ძალიან საშიში კინო 4". დასაწყისი: 17:00
"16 კვარტალი". დასაწყისი: 18:30

**"ამირანი"**
"მისია შეუსრულებელია 3"
დასაწყისი: 12:00; 17:00; 19:30; 22:00
"დანიშნულების პუნქტი 3". დასაწყისი: 15.00

**"რუსთაველი"**
"ტრისტანი და იზოლდა". დასასწყისი: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00

## გალერეა

**"ქარვასლა"**
ბორის რომანოვსკის გამოფენა

**"კოპალა"**
მანანა ძოძუაშვილის გამოფენა

**TMS**
ლევან ლაღიძის გამოფენა

## კლუბები

**2 SIDE**

DJs
Arkady Tomkin (Tech House)
Ciga (Breakbeat)

# ლექსების ახალი კრებული

მაისის ბოლოს პოეტი გენო კალანდია მორიგი პოეტური კრებულის გამოცემას გეგმავს. როგორც კალანდიამ განაცხადა, ახალი კრებულის სახელწოდებაა "ლაზარეს ტირიფი" და იგი თემატურად აფხაზეთის კონფლიქტს შეეხება. "ეს დევნილი კაცის თვალით დანახული რეალობაა, რომელმაც ომისდროინდელი კოშმარი საკუთარი თვალით იხილა. ახალი ლექსები სწორედ მასთან დაკავშირებულ დიდ განცდებს ასახავს", - განაცხადა გენო კალანდიამ. "ლაზარეს ტირიფი" აფხაზეთის თემისადმი მიძღვნილი მესამე პოეტური კრებული იქნება. კალანდიას მეორე კრებული "ავტოგრაფების ნაკვალევზე" რუსთაველის პრემიაზეა წარდგენილი.

# მწერალთა კავშირის პროტესტი

აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში მწერალთა კავშირის 22-ე ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომელიც გამომცემლობა "ნაკადულის" საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანას ეხება.

"ამის შესახებ მოვამზადეთ რეზოლუცია და ოფიციალური მიმართვა გავუგზავნეთ მთავრობას. მოვითხოვთ, საუკუნოვანი გამომცემლობა ხელშეუხებლად დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას, შესაძლოა, უარყოფითი შედეგები მოჰყვეს", - განაცხადა საუბრისას მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა.

საღამოს ესწრებოდნენ თეატრალური კავშირის თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე, კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ვაჟა აზარაშვილი და მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გოგი თოიძე, რომლებმაც შემოქმედებით კავშირებში არსებულ საერთო პრობლემებზე ისაუბრეს.

სტუმართა შორის იყო სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ლევონ ანანიანიც.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ნავთობი - ბედნიერება და სიმდიდრე

### შავი სამოთხე, როგორც "ეკოტოპიის" ეპიზოდი

სოფო კილასონია




თბილისის გოეთეს ცენტრის ინიციატივით მარტში ბერლინში გაიმართა ფორუმი "ეკოტოპია". ამ პროექტის ფარგლებში ამიერკავკასიის ქვეყნებიდან სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლებმა სხვადასხვა სახით გამოთქვეს და გამოხატეს თავიანთი სათქმელი ეკოლოგიის იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც მათ ქვეყნებში არსებობს. მეცნიერები, ჟურნალისტები, პოლიტოლოგები საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ბერლინში კიდევ იმიტომაც შეკრებილან, რომ მათთან ერთად ჩასული ხელოვანების გამოფენა ეხილათ. არტისტებისთვის ბევრად უფრო ზოგადი დავალება მიუციათ - მხატვრებს, ფოტოხელოვანებსა და რეჟისორებს ეკოლოგიასთან კავშირში შეეძლოთ დაენახათ სოციუმი და კიდევ ბევრი სხვა რამ, რაც მათი ქვეყნისთვის ამ თვალსაზრისით აქტუალური იქნებოდა.

"ეკოტოპია" ბერლინში დასრულდა. ქართველი ხელოვანებიდან მასში სოფო ტაბატაძე, ირინა აბჟანდაძე, მამუკა ჯაფარიძე, მამუკა სამხარაძე, ნინო სეხნიაშვილი და ლევან ლაგაზიძე მონაწილეობდნენ. ერთმა მათგანმა ფოტოკადრებით "კავშირები" დაინახა. მეორემ ის, თუ როგორ იცვლებოდა თბილისი "გასულ წელს", მესამემ შავ-თეთრ ფოტოებში რაღაც ერთნაირი, თან განსხვავებული და "პარალელური ბიოგრაფიები", დანარჩენები კი სულაც აბსტრაქტული იდეებით შემოიფარგლნენ. სად და როგორ დაინახეს ეკოლოგიური პრობლემები, არ ვიცი, რადგან იმ დროს ბერლინში ნამდვილად არ ვყოფილვარ. თბილისამდე "ეკოტოპიამ" მხოლოდ ბუკლეტის სახით ჩამოაღწია. თუმცა, არა. მართალია, ქართული პროექტები ჩვენთვის ბოლომდე ცხადი არ არის, მაგრამ გუშინ გოეთეს ცენტრმა სამხატვრო აკადემიის სარკეებიან დარბაზში ერთი აზერბაიჯანელი ხელოვანის ნამუშევარი საგანგებოდ წარადგინა. მართალია, დამსწრე საზოგადოებამ თეიმურ დაიმის ვიდეოს გარდა კიდევ რამდენიმე ნამუშევარი იხილა, მაგრამ მთავარი აქცენტი მაინც ამ ავტორის თორმეტწუთიან ფილმზე ("შავი სამოთხე") გაკეთდა. ეკოტოპიის მოკლე და აჩქარებულ მიმოხილვას გოეთეს ცენტრი აკადემიაში დღეს სადამოსაც აგრძელებს, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რითიც დაიწყეს. და მაინც, რატომ "შავი სამოთხე"?

უვე რიკენი, თბილისის გოეთეს ცენტრის ხელმძღვანელი: "ეკოტოპიაში მონაწილე მხატვრებმა გადმოგვცეს პირადი დამოკიდებულება ბუნებისადმი და გარემო სამყაროსადმი. ეს გვინდოდა იმიტომ, რომ პოლემიკასა და ფორუმს ხელოვნების სახით ეგრძნო ბიძგი და ეკოტოპიასაც ნაყოფიერად და აქტიურად ჩაევლო. ეკოლოგიური კატასტროფები და მისი მძიმე მდგომარეობა მხოლოდ ხელოვანთა ყურადღების მიღმა კი არ რჩება, არამედ საზოგადოების სხვა დიდი ნაწილის ყურადღების მიღმაც. არადა, მათ ამ საკითხებზე ზრუნვა უნდა ევალებოდეთ."

სოციალური პრობლემები, გარემო, ჩვენი ცხოვრების წესი და ბუნება, რომელიც გვიძლებს, როგორც ჩანს, თანამედროვე ხელოვნების მიღმა რჩება. კონცეპტუალური ხელოვნებაც კი, რომელიც იდეების ხელოვნებად დაიბადა, შესაძლოა ისეთივე ნარცისული ამბიციით შეიმოსა, როგორც ყველა დროისა და წარმოშობის ე.წ. სალონური ხელოვნება. უბრალოდ, ფორმები და ფურცელზე დაწერილი კონცეფციებია განსხვავებული. "ეკოტოპიამ" უბრალოდ საზოგადოებას კი არ უბიძგა დაენახა გარემო, არამედ თავად ხელოვანთ სთხოვა საკუთარი მახვილი და მხატვრული თვალით ეძებათ სათქმელი, ანდა, უბრალოდ, გამოეხატათ პოზიცია.

თეიმურ დაიმიმ "შავი სამოთხე" მხოლოდ ერთ საკითხს და მით უფრო ეკოლოგიას როდი მიუძღვნა. მან აზერბაიჯანის დღევანდელობის სრული წარმოჩენა იკისრა და ამისთვის ქვეყნის მთავარი სიმდიდრე - ნავთობი მოიშველია. ძველი და ახალი კადრები, თუ როგორ მოიპოვებოდა იგი და როგორ ხდება ეს დღეს. ამით იწყება და, როგორც მახსოვს, ამითვე მთავრდება, მაგრამ ამ კადრებს შორის დაიმის მიერ დანახული ქვეყანაა. ქვეყანა, რომელიც დიდხანს გეგმავდა გაბრწყინებას ნავთობის საბადოებით და დღესაც გეგმავს ბედნიერებას მის ხარჯზე. მიუხედავად ამისა, ეს არის თურმე ქვეყანა, სადაც სასიკვდილოდ იმეტებენ ადამიანებს, რომლებიც თავისუფალი არჩევანის უფლებას ითხოვენ, ეს არის ქვეყანა, სადაც ნავთობს ადამიანთათვის ეკონომიკური შეღავათები არ მოუტანია, იქ ისევ ისე მათხოვრობენ, როგორც უწინ, იქ ისევ ისე მალვით დადიან ჩადრიანი ქალები, ბავშვები კი უზარმაზარი ქარხნების ბინძურ ნარჩენებში თამაშობენ და შავი და მძიმე სითხე ხიბლავთ.

თეიმურ დაიმის "შავი სამოთხე" "ეკოტოპიის" აზერბაიჯანელი წარმომადგენლებისთვის მიუღებელი გამოდგა. ასეთივე პოზიცია გამოხატა დაიმის სხვა უმრავლეს თანამემამულე. "ეკოტოპიის" გამოფენიდან "შავი სამოთხე" გაქრა. ის აიკრძალა. ვიდეო, რომელიც მეტად დახვეწილია როგორც ტექნიკური თვალსაზრისით, ისე მხატვრული გადაწყვეტით, მძაფრი პოზიციის გამო მიუღებელი გამოდგა ადამიანებისთვის, რომლებიც თითქოს თანამედროვე ხელოვნების ენით აპირებდნენ რეალობის პირისპირ დადგომას.

პოლიტიზირება, მძაფრი კრიტიკა, სოციუმი, როგორც არტის მთავარი გმირი - ეს და კიდევ სხვა მრავალი ფაქტორი, რაც კინონამუშევარში გამოვლინდა, ისევე დაარბიეს, როგორც თავის დროზე ილჰამ ალიევის წინააღმდეგ გამართული აქციები. შესაძლოა, იქ იყო იარაღი და ხელკეტები, აქ კი - პროტესტი და ვერბალური მკაცრი თხოვნა, რომ ჩვენება შეეწყვიტათ. მიუხედავად ამისა, მიზანი ერთია: ნუ ვიქნებით ასეთი ფხიზელნი...

"ეკოტოპიის" ორგანიზატორები თავად დარჩნენ გაკვირვებულნი მოვლენათა ასეთი მსვლელობით. თუმცა ის, ვინც ფილმს იხილავს, მიხვდება, რომ საკვირველი არაფერია. თეიმურ დაიმი ალბათ მართალი და ზუსტი იყო მაშინ, როცა საკუთარი ქვეყნის ამსახველი კადრები ევროპული პოდიუმების კადრებით ჩაჭრა, იმ პოდიუმებით, რომელზეც ცნობილი ლამაზმანები საცურაო კოსტიუმებით დასეირნობენ. ამ მკაფიოდ გამოხატული კრიტიკული პოზიციის მიუხედავად, ეს არ არის რადიკალური და სნორხზოვანი აქცია საკუთარი ქვეყნისა და პოლიტიკის წინააღმდეგ. "შავი სამოთხე" შავია მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებს, რომლებსაც სჯეროდათ, რომ ნავთობი არის მათი ბედნიერება და სიმდიდრე, იმედი გაუცრუვდათ. ხელოვანთ კი საკუთარი იმედგაცრუების გამოხატვის უფლება უნდა ჰქონდეთ. მერე რა, რომ, ხელოვანის აზრით, ამიერკავკასიაში სტერეოტიპები ისევ მყარია, დანარჩენი შიშველი მსოფლიო კი - ძალიან შორი.

სამხატვრო აკადემიაში მისული საზოგადოების უმრავლესობა ახალგაზრდა მხატვრები იყვნენ. მართალია, 12 წუთი ყველა ინტერესით უმზერდა ეკრანს და ალბათ ჩემსავით სხვებსაც მოეწონათ ეს ვიდეონამუშევარი, მაგრამ უმრავლესობამ უცნაური კითხვები დასვა და პასუხსაც არ დაელოდა. მაინც რა შუაშია ეს ყველაფერი ხელოვნებასთანო. პასუხს გაცემის მცდელობა მგონი იყო, პასუხი საკმაოდ ვრცელი გამოდგებოდა, მაგრამ ლექციას აზრი არ ექნებოდა. ახალგაზრდა მხატვრებს, როგორც ჩანს, ხელოვნება სულ სხვანაირი რამ ჰგონიათ, რაღაც ბევრად ეფექტური, მბზინვარე და ალბათ ბევრად გასაგები... რაც შეეხება ხელოვნების თანამედროვეობას, მისი განსაზღვრება საერთოდაც ძალიან ბუნდოვანია.

# პატარა მუსიკოსების დასაწყისი

სოფო კილასონია

კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ევგენი მიქელაძის სახელობის საკრავიერო ხელოვნების კოლეჯის მოსწავლეთა საანგარიშო კონცერტი. როგორც კოლეჯის პედაგოგები, ისე მათი კოლეგები კონსერვატორიიდან ახალგაზრდა და დამწყებ მუსიკოსებს უსმენდნენ. მათი ასაკი, ისე როგორც საკონცერტო პროგრამა, მეტად მრავალფეროვანი იყო. განსხვავდებოდა მათი შესრულების დონე და ალბათ სხვადასხვაგვარია მათი დამოკიდებულება, მიზნები. მიუხედავად იმისა, რომ იმ საღამოს ჩემთან მოსაუბრე მოსწავლეები მეტად ახალგაზრდები არიან, ყველა მათგანს გადაწყვეტილი აქვს, რომ მუსიკა მათი მომავალია. ხელოვნებას სჩვევია ამგვარი გატაცება ადამიანებისა, მაგ-



რამ, როგორც პედაგოგებმა მითხრეს, კოლეჯის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა მართლაც მუსიკას უკავშირებს საკუთარ მომავალს - ზოგი სხვადასხვა ორკესტრში აგრძელებს მუშაობას, ზოგი კი კონსერვატორიის კედლებში ამჯობინებს ცოდნისა და ოსტატობის გაღრმავებას.

ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი უკვე 15 წლის გამხდარა. თუმცა იგი მეცხრე სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე ჩამოყალიბდა, რომელსაც თავისთავად თხუთმეტწლიანი ისტორია ჰქონია. ამ ხნის განმავლობაში როგორც სკოლას, ისე კოლეჯს ბატონი გიორგი ქორქაძე ხელმძღვანელობს.

გიორგი ქორქაძე: "საანგარიშო კონცერტს ყოველ წელს ვმართავთ. ევგენი მიქელაძის სახელობის კოლეჯის პროფილი საორკესტრო კადრების აღზრდაა. ყურადღებას ვამახვილებთ სასულე და სიმებიანი საკრავების განყოფილებებზე. მანამდე მეცხრე სამუსიკო სკოლა იყო. ამ 30 წლის განმავლობაში სტრუქტურა შეიცვალა. კოლეჯი ორსაფეხურიან სწავლებას სთავაზობს მომავალ ხელოვანებს. შვიდწლედი და უმაღლესი განყოფილება, რომლის დამთავრების შემდეგ სტუდენტებს ვაძლევთ პედაგოგისა და ორკესტრის მსახიობის დიპლომს. საერთოდ, საქართველოში საორკესტრო კადრები საკმაოდ დეფიციტურია. ჩვენი ამოცანაა, რომ ეს პრობლემა მოვხსნათ, ვაკომპლექტებთ ოპერის თეატრს, კამერულ ორკესტრს, ჩვენი სტუდენტები, როგორც წესი, კონსერვატორიაში აგრძელებენ სწავლას."

კონცერტს ოდნავ დაგვიანებით მოსული კონსერვატორიის რექტორი, ქალბატონი მანანა დოიჯაშვილიც ესწრებოდა. როგორც ჩანს, კონსერვატორიის მომავალ კადრებს უკვე პირველ საფეხურებთან ეძებენ... კონცერტი პირველ და მეორე კლასელთა გამოსვლებით დაიწყო. მათ უფროსკლასელები მოჰყვნენ. ერთ-ერთი პირველი, ყველაზე სასიამოვნოდ მოსასმენი მუსიკალური ნაწარმოები სენ-სანსის "გედი" გახლდათ. მართალია, მეოთხეკლასელის ჩელო მთლად გამართულად არ ჟღერდა და შეცდომებიც მრავლად იყო, მაგრამ ბგერები ალბათ დაიხვეწება და ხმოვანებაც დაზუსტდება. პატარა მუსიკოსთათვის ეს მხოლოდ დასაწყისია.

# ვიზრუნოთ ყველამ ერთად

ნანა ბასილაშვილი

მომავალ კვირაში საქართველოს პარლამენტი მესამე მოსმენით დაამტკიცებს კანონპროექტს ოჯახში ძალადობის შესახებ. ეს თემა რამდენიმე ხნის წინათ სხვადასხვა ტელევიზიის თოქ-შოუს სადისკუსიო თემაც იყო - მსჯელობდნენ და კამათობდნენ თუ რამდენად მნიშვნელოვანი და საჭიროა საქართველოში კანონი - ოჯახში ძალადობის შესახებ. უამრავი სატელევიზიო სიუჟეტის, საგაზეთო სტატიისა თუ საზოგადოებაში გახმაურებული ძალზედ უსიამოვნო ფაქტების მიუხედავად, რატომღაც კითხვა - არსებობს თუ არა ჩვენს ირგვლივ ძალადობა (იქნება ეს ფსიქოლოგიური, სოციალური, სექსუალური და ა.შ.), მაინც ხშირად გაისმის. ვფიქრობ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საკმარისია, უბრალოდ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. რადგანაც ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით რეგიონებში ტიპური ძალადობის შემთხვევებს, ჩვეულებრივ, ცხოვრებისეული სირთულეებისა თუ საშინელი შემთხვევითობების კვალიფიკაციას ანიჭებენ. პრობლემაც ალბათ აქ იწყება.

არასამთავრობო ორგანიზაცია "საფარი" მეექვსე წელიწადია ოჯახური ძალადობის საკითხებზე მუშაობს (მათ გარდა საქართველოში, კიდევ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია - "სახლი", ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი და სხვა კავშირები მუშაობენ). ზოგადად კავშირზე, მის მიზნებსა და სტრატეგიაზე უფრო კონკრეტულად კავშირის თანათავმჯდომარეებს ნატო ზაზაშვილსა და ლელა ცისკარიშვილს ვესაუბრეთ.

- "საფარი" ოჯახური ძალადობის თემაზე მუშაობს. დაგვერწმუნეთ, ეს არის ძალზედ ღრმა და გლობალური საკითხი, უფრო მეტიც, პრობლემა გაცილებით დიდია, ვიდრე მამაკაცის ძალადობა ქალზე. ოჯახურ ძალადობას, როგორც მნიშვნელოვან თემას ბევრი ფაქტორი ადასტურებს: იქნება ეს კანონპროექტის გატანა პარლამენტში, ჩვენნაირი ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება და სხვა. აქედან გამომდინარე "საფარის" აქტივობა ორი მიმართულებითაა გაშლილი: 1. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია და 2. პრევენცია. პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში კავშირი ატარებს ტრენინგებს, აწყობს სადისკუსიო მრგვალ მაგიდებს და ა.შ. უკანასკნელ პერიოდში შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, "საფარში" გაიმართა მრგვალი მაგიდის სერია ოჯახური ძალადობის თემაზე, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან პრესისა და ტელევიზიის ჟურნალისტებთან, სტუდენტებთან, პედაგოგებთან, სხვადასხვა ფონდების, საელჩოების წარმომადგენლებთან, უბნის ინსპექტორებთან და საპატრულო პოლიციელებთან. ყველა შეხვედრაზე ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი ოჯახში ძალადობის თემაზე "შინ და უკან", რომელიც გადაღებულია ნატო ზაზაშვილის და რეჟისორ ლევან ღლონტის მიერ, ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" ქალთა პროგრამების მხარდაჭერით.

**- შეხვედრა საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან, მათთან საუბარი, ალბათ საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ სხვადასხვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პროფესიული თვალით დაინახო არსებული პრობლემა და მასთან ბრძოლის გზები დასახო. ამავე დროს მას აქტიურ პროპაგანდასაც უწევ და ნებსით თუ უნებლიეთ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ყურადღებას მიაპყრობ.**

- გეთანხმებით, თითოეული შეხვედრა და დისკუსია ორივე მხარისთვის მეტად სასარგებლო იყო. თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როგორ ურთიერთზემოქმედებს პიროვნება, ოჯახი, სკოლა, საზოგადოება და სახელმწიფო. ოჯახური ძალადობა იწყება ორ ადამიანს შორის არსებული კონფლიქტიდან, რომელიც ნორმის ფარგლებს გასცდა და ჩიხშია მომწყვდეული. ჩვენი კავშირი მუშაობს ყველასთან ვინც გვაკითხავს და დახმარებას გვთხოვს, პრობლემა კი გაცილებით მასშტაბურია და მეტ რესურსებს საჭიროებს. თანაც ოჯახის, როგორც ინსტიტუციის, თავისებურებებიდან გამომდინარე, მის წიაღში შეღწევა და მუშაობა პროფესიონალებისათვის ძნელია. პრობლემის ირგვლივ მნიშვნელოვანი შედეგის მისაღებად აუცილებელია სახელმწიფოს გააქტიურება და მასთან არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის გაღრმავება.

ჩვენ მიერ გამართული დისკუსიები მრგვალი მაგიდის ირგვლივ ძალზედ საინტერესო და საგულისხმო იყო. საპატრულო პოლიციის გამოძახებათა ანალიზის მიხედვით, თბილისის მხოლოდ ერთ რაიონში 6 თვის განმავლობაში 1100 გამოძახებიდან 750 ოჯახური ძალადობის შემთხვევაა. საპატრულო პოლიციელების თქმით, ხშირ შემთხვევაში ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზი ალკოჰოლიზმი და ნარკომანიაა. სტუდენტებთან შეხვედრისას არ დამავიწყდება ერთი შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთმა სტუდენტმა გოგონამ, ძალადობის შესახებ ჩვენ მიერ ნაჩვენები დოკუმენტური ფილმისა და დისკუსიის შემდეგ თქვა, რომ ის ცხოვრებას იმ დღიდან სრულიად სხვაგვარად გააგრძელებდა. როგორც აღმოჩნდა, იგი თავად ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გახლდათ. ასევე, ძალზედ საინტერესო იყო პედაგოგებთან შეხვედრა, რამაც კიდევ ერთხელ დაგვანახა სკოლაში არსებული პრობლემები, განათლების რეფორმის მნიშვნელობა და ამ რეფორმაში ფსიქოლოგიური ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობა.

**- როგორც ვიცი, თქვენ არ შემოიფარგლებით მხოლოდ თბილისში მუშაობით?**

- ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ხშირად ვეხმარებით და ვთანამშრომლობთ კახეთის რეგიონში, მჭიდრო კონტაქტი გვაქვს სოფელ ნაფარეულის სკოლასთან, სადაც არაერთხელ შევხედრივართ პედაგოგებს, მოსწავლეებსა და სკოლის ფსიქოლოგებს. ვთანამშრომლობთ აგრეთვე დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში მსგავს პრობლემაზე მომუშავე ორგანიზაციებთან. ოჯახში ძალადობის შემთხვევები საქართველოს რეგიონებში გაცილებით მწვავედ დგას. ცენტრიდან მხარში ამოდგომას იქაური ორგანიზაციები მართლაც საჭიროებენ.

**- საინტერესოა თქვენი სტრატეგია კონკრეტული ოჯახური ძალადობის შემთხვევისას.**

ჩვენ გეზი გვაქვს აღებული ოჯახის ნებისმიერ წევრზე. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეაბილიტაციურ ღონისძიებებში რაც უფრო მეტი ოჯახის წევრია ჩართული, მით უკეთეს შედეგს ვიღებთ. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ბავშვებზე. ვინაიდან ბავშვები მაშინაც კი ტრავმას იღებენ, როდესაც მხოლოდ მომსწრენი არიან ძალადობის. გარდა ამისა ადამიანი იმის მიხედვით აგებს ცხოვრებაში ურთიერთობებს, როგორი ქცევის შაბლონებსაც და ღირებულებათა სისტემასაც მიიღებს ბავშვობაში. სამწუხაროდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი, მეტწილად, თავიანთი ცხოვრების გზაზე, აგრძელებენ "მსხვერპლის" ან "მოძალადის" როლის შესრულებას. ძალიან ცოტაა ადამიანი, რომელიც ახერხებს ამ მანკიერი წრის გარღვევას. აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ოჯახში ძალადობის საკითხი, ეს არის, ზოგადად, საზოგადოებაში არსებული ძალადობის პრობლემის ნაწილი. ამიტომ იმაზე, თუ როგორ მოვახერხებთ ამ რთული და მტკივნეული პრობლემის მოგვარებას, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, თუ როგორ საზოგადოებაში იცხოვრებენ ჩვენი შვილები, ვინაიდან ეს ბავშვები არიან მომავალი დედები და მამები, მასწავლებლები და ექიმები, პოლიციელები და სახელმწიფო მოხელეები, ჩვენზეა დამოკიდებული რამდენი გვეყოლება მომავალში ბოროტმოქმედი და კორუმპირებული, ნარკომანი თუ ალკოჰოლიკი. პრობლემა იმდენად მასშტაბურია, რომ მასზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ.

# "ზამთრის წიგნი" - გაზაფხულის მოსვლის იმედად

თეა თედლიაშვილი

*გორში, ლიტერატურული ორკვირეულის ჩარჩოებში, გაიმართა საღამო, რომელიც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ვანო ჩხიკვაძეს მიეძღვნა. ფოლკლორის სარდაფში გამართულ საღამოზე მწერლის ახალი მოთხრობების კრებულის "ზამთრის წიგნის" განხილვა მოეწყო. წიგნი ლიტერატურული პრემია "საბას" ნომინაციაზეა წარდგენილი.*

საღამოზე მოწვეულ გამომსვლელთა უმრავლესობა ლიტერატურის სფეროში მოღვაწე ადამიანები იყვნენ. თითოეულმა მათგანმა ახალ წიგნზე საკუთარი შეხედულება გაუზიარა საზოგადოებას და დიდი სიყვარული გამოხატა მწერლის მიმართ.

მარინე გიგაშვილი, გორის უნივერსიტეტის ლექტორი, ლიტერატორი: "ბატონ ვანოს არ განუცდია მწერლად აღიარების სიძნელეები. სტუდენტობისას, როგოც კი გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე, მაშინვე დაიმკვიდრა ადგილი დიდ მწერლებს შორის. მწერლის მთავარი ღირსება ის არის, რომ მოქმედება ხდება არ რომელიმე ქალაქ N-ში, არამედ გორში. ის არ გაურბის საკუთარი ქალაქის და პერსონაჟების სახელების დასახელებას. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ როცა მწერალი საკუთარ პირადულს წამოსწევს წინა პლანზე, მცირდება მისი მხატვრული ღირებულება, მაგრამ ვანომ შეძლო პირადულიც წამოეწია და იმდენად კარგად, რომ მისი მხატვრული ღირებულება ერთი-ორად გაზარდა. მართალია, ვანო გორში მოღვაწეობს, მაგრამ ის უზარმაზარი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია და მის ნაწარმოებებს პროვინციალიზმის სენი ვერასდროს მოერევა. ბედნიერები ვართ, რომ ეს კაცი ჩვენს გვერდით დადის და ღმერთმა არ შეაჩეროს ის კალამი, რომელიც ასეთ შედევრებს ქმნის".



ვანო ჩხიკვაძე.

ზაზა ცოტნიაშვილი, ცხინვალის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი: "აქ, რომ შევიკრიბეთ და ჭეშმარიტი წიგნის ირგვლივ ვმსჯელობთ, უკვე დიდი ბედნიერებაა. თავანკარა ქართულის შესასწავლად ჯავახიშვილსაც ქართლში ჩამოსვლას ურჩევდნენ პედაგოგები. "ზამთრის წიგნი" თავანკარა ქართულით არის დაწერილი. მისი წაკითხვის შემდეგ ყველასთვის ნათელი ხდება სამაჩაბლოს ტრაგედია. ამავე წიგნში იმდენია დიდაქტიკური და მისაბაძი ელემენტები, ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო, რომ შეიძლება ეს მოთხრობები სკოლაში ისწავლებოდეს".

თამარ ედიშერაშვილი, გორის რაიონის გამგებლის მოადგილე: "ბედნიერება მქონდა, ეს წიგნი დაბეჭდვამდე წამეკითხა. ზოგჯერ ადამიანს უჭირს საკუთარ გრძნობას დაარქვას სახელი. ბატონი ვანო თითქოს სულში გვიფათურებს ხელს საკუთარი მოთხრობებით. ვანო ჩხიკვაძე ქართველი მწერალია და არა გორელი მწერალი. სიმართლის თქმა შეუძლია, მწერლის დანიშნულება სწორედ ეგ არის - აკადემიურად გვითხრას სიმართლე. როცა გორის თეატრში დაიდგა ვანოს პიესა "ორი მდინარის შესართავთან", ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლები ისეთი განცდით წამოვედით, საჯაროდ რომ გაგლახავენ".

ლიანა ბახტაძე, გორის უნივერსიტეტის ლექტორი: " ვანომ რომ პენ-მარათონში პირველი პრემია მიიღო, ტელევიზიით გავიგე და სიხარულით გული კინაღამ გამისკდა. მიმაჩნია, რომ "კოხტა თამრო" სიყვარულის ჰიმნია. ვანოს ძალიან ბევრი ნაწარმოები აქვს შექმნილი, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის დონემდეა ასული. ეს წიგნი კი სტილისტური საშუალებების ფეიერვერკია, საუკეთესო ტონალობაში დაწერილი გაბმული სიმღერაა. ჩვენ რომ ისეთი ადამიანი გვყავს გვერდით, რომელიც ქმნის მშვენიერ წიგნებს, ის რომ ჩვენი თანამოქალაქეა, საქართველოს რომ ასეთი შვილი ჰყავს, მართლაც და რატომ არ უნდა გაგვისკდეს სიხარულით გული"?!

საღამოს კლასიკური მუსიკის ფონი არაჩვეულებრივ განწყობას უქმნიდა შეკრებილ საზოგადოებას.

"ზამთრის წიგნი" ხუთი წელი იწერებოდა, - აღნიშნა თავად მწერალმა შეხვედრის დასასრულს. - იწერებოდა ფურცლებზე, ბლოკნოტებში, სიგარეტის კოლოფზე... იწერებოდა მაშინ, როცა ცხინვალში მძიმე სიტუაცია იყო შექმნილი, იწერებოდა საავადმყოფოს სარეცელზე... ამდენად, სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებებმა მოიყარეს თავი. აქ არის ჩანახატები, ჩანაწერები, მოთხრობები. "ზამთრის წიგნი" გარკვეულწილად გაზაფხულის მოსვლის იმედია. ასე რომ არ ყოფილიყო, ეს წიგნი არც დაიწერებოდა და არც გამოიცემოდა. არაჩვეულებრივი საღამო იყო, თავიდან აღმოვაჩინეთ ბევრი ადამიანი და ეს უკვე ძალიან დიდი იმედია, ამაშია ჩვენი გადარჩენა..."

# კავკასიაში უნიკალური მუზეუმ-ნაკრძალი

11 მაისს მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალისა და სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმის" წარმომადგენლები მუზეუმისთვის კინოთეატრ "კარიბჭის" შენობის გადაცემის ოქმს ოფიციალურად გააფორმებენ.

როგორც მუზეუმის დირექტორმა თემურ ბიბილურმა განაცხადა, შენობის ოფიციალურად დაკანონების შემდეგ დაიწყება მუზეუმის რეკონსტრუქცია.

კინოთეატრი "კარიბჭე" VI-VII საუკუნეების დროინდელი მცხეთის კარიბჭის ნანგრევებზეა აგებული, რაც, ბიბილურის თქმით, არქეოლოგიური მუზეუმის განთავსებისთვის ყველაზე შესაფერისი ადგილია.

მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის რეკონსტრუქციის პროექტის პრეზენტაციას მუზეუმის ხელმძღვანელობა ივნისის ბოლოს გეგმავს.

პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მუზეუმი მთელ კავკასიაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ერთადერთი არქეოლოგიური პროფილის მუზეუმი იქნება.

"დღემდე საქართველოში მხოლოდ შერეული ტიპის მუზეუმები არსებობს, რომლებშიც არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, პალეონტოლოგიური თუ ხელოვნების ნიმუშები გვერდიგვერდაა წარმოდგენილი. მცხეთის ახალი მუზეუმი კი წმინდა არქეოლოგიური ხასიათის იქნება, სადაც 15-18 ათასი არქეოლოგიური ნიმუში იქნება დაცული. ამჟამად მუზეუმს ეთნოგრაფიული მასალაც აქვს, რომელსაც სხვა მუზეუმს გადავცემთ, სავარაუდოდ, დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს", - განაცხადა თემურ ბიბილურმა.

მისივე თქმით, მუზეუმის შენობა დღემდე არსებულ ანალოგიურ დაწესებულებებს შორის უფრო მოდერნიზებული და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული იქნება.

განსხვავებული საექსპოზიციო წყობის, ვიტრინებისა და განათების სისტემის გარდა, შენობაში უნარშეზღუდული პირებისთვის იქნება საგანგებო პანდუსები და დამონტაჟდება ლიფტი. ამოქმედდება საბავშვო ოთახიც, სადაც ბავშვებისთვის მოეწყობა საგანმანათლებლო-შემეცნებითი თამაშები არქეოლოგიური მასალებით. შენობას 150-კაციანი საკონფერენციო-საკონცერტო დარბაზიც ექნება. ის შემოდგომა-გაზაფხულზე ფოლკლორული და კლასიკური შემოქმედების ფესტივალებს უმასპინძლებს.

თემურ ბიბილურის თქმით, მუზეუმის რეკონსტრუქციის პროექტი თავად მუზეუმის ინიციატივით მომზადდა და თანხების მოძიებაზეც დაწესებულება ზრუნავს.

"საჭირო თანხის მესამედი უკვე გვაქვს, რაც საპროექტო დეტალების დახვეწისა და საწყისი სამუშაოებისთვის საკმარისია. დანარჩენი თანხის დროულად მოძიების შემთხვევაში ახალი მუზეუმის შენობა წელიწადნახევარში დასრულდება", - განაცხადა ბიბილურმა.

*ჯი-ეიჩ-ენი*




პაულო კოელიოს სვეტი

# ტოკიოში, ბარში

იაპონელი ჟურნალისტი ტრადიციულ კითხვას მისვამს:

"ვინ არიან თქვენი საყვარელი მწერლები?"

მეც ტრადიციულ პასუხებს ვუბრუნებ:

"ჟორჟი ამადუ, ხორხე ლუის ბორხესი, უილიამ ბლეიკი და ჰენრი მილერი".

იმის ნაცვლად რომ თარგმნოს, განცვიფრებული მთარგმნელი აქეთ მეკითხება:

"ჰენრი მილერი?"

მაგრამ მაშინვე ხვდება, რომ მისი საქმე კითხვების დასმა არ არის, ბოდიშს იხდის და მუშაობას განაგრძობს. ინტერვიუს შემდეგ მთარგმნელ გოგონას ვეკითხები, თუ რატომ გაუკვირდა ასე ჰენრი მილერის სახელის ხსენება. არ უთხოვია, მაგრამ იმასაც ვუხსნი, რომ ჰენრი მილერი შეიძლება, არ იყო "პოლიტკორექტული" მწერალი, მაგრამ სწორედ მან გადამიშალა თვალწინ ერთი დიდი სამყარო; რომ სწორედ ჰენრი მილერია ის ავტორი, რომლის წიგნებიც იმგვარი სასიცოცხლო ენერგიით მავსებს, რომლის დარსაც თანამედროვე ლიტერატურაში იშვიათად თუ წააწყდები.

გოგონა მპასუხობს:

"არა, ჰენრი მილერის გაკრიტიკება აზრადაც არ მომსვლია, უბრალოდ, ის ჩემი საყვარელი მწერალიცაა. იცოდით, რომ მას იაპონელი ცოლი ჰყავს?"

რა თქმა უნდა, ვიცოდი. სულაც არ მრცხვენია იმის აღიარება, რომ ადამიანების გაფეტიშება მიყვარს. ამიტომაც ვისაც ამოვიჩემებ, მისი ცხოვრების შესახებ თითოეულ წვრილმან დეტალს მოვიპოვებ ხოლმე. მახსოვს ერთხელ წიგნის ბაზრობაზე მხოლოდ იმიტომ წავედი, რომ ჟორჟი ამადუს შევხვედროდი. 48 საათის განმავლობაში ვიჩაქჩაქე ავტობუსით მხოლოდ იმიტომ, რომ დანიშნულების ადგილზე ჩასულს ბორხესი მენახა (თუმცა, შეხვედრა მაინც გავაფუჭე: როცა, ბოლოს და ბოლოს, მის წინაშე აღმოვჩნდი, დავმუნჯდი), ნიუ იორკში ჯონ ლენონის კარზე ზარი დავრეკე (კარი, ცხადია, დაცვამ გამიღო და მთხოვა, დამეტოვებინა წერილი, სადაც ვიზიტის მიზანს დავასაბუთებდი, ხოლო თუ ჩემს საკონტაქტო ტელეფონსაც დავტოვებდი, ლენონი აუცილებლად დამიკავშირდებოდა, მაგრამ ცხადია, ლენონს არ დაურეკავს). მახსოვს მინდოდა ბიგ სურში ჩასვლაც ჰენრი მილერი რომ მენახა, მაგრამ ის მანამდე გარდაიცვალა, სანამ მე მოგზაურობისთვის საჭირო თანხას შევაგროვებდი.

ასე რომ, მთარგმნელ გოგონას ამაყად ვპასუხობ:

"რა თქმა უნდა, ვიცი, რომ მას იაპონელი ცოლი ჰყავს. მისი სახელია ჰოკი. მე ისიც ვიცი, რომ ტოკიოში არის მუზეუმი, სადაც ჰენრი მილერის აქვარელით შესრულებული ნახატები ინახება".

"გსურთ ჰოკის დღეს საღამოს შეხვდეთ?" - არის კითხვა, რომელსაც მთარგმნელისგან ყველაზე ნაკლებად ველი.

არადა, რა კითხვაა?! ცხადია, მინდა მასთან შეხვედრა! ცხადია, მინდა, ვნახო ის ადამიანი, რომელიც ჩემს ერთ-ერთ ყველაზე დიდ კერპთან ერთად ცხოვრობდა. ალბათ, ჩემნაირი სტუმრები მის სანახავად მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან ტოკიოში; ალბათ, უამრავი ჟურნალისტი ითხოვს მასთან ინტერვიუს - ჰენრი მილერი ხომ ამ იაპონელ ქალთან ათ წელს ცხოვრობდა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ნეტა, რთული არ იქნება, უბრალო ადამიანისთვის ჰოკისთან შეხვედრა? გამონახავს ქალბატონი მილერი დროს ჩემთვის? მაგრამ რადგან მთარგმენლი მეუბნება, რომ ეს შესაძლებელია, ესე იგი, შესაძლებელია კიდეც - იაპონელებს ხომ სიტყვის გატეხვა არ სჩვევიათ.

მთელ დღეს ცქმუტვაში ვატარებ. საშინლად ვნერვიულობ და ველი, როდის დადგება საღამო. შემდეგ ვსხდებით ტაქსიში და ჰოკისთან მივდივართ. რაღაც მივარდნილ ქუჩაზე ვჩერდებით, იქაურობა ისეთი ჩაბნელებულია, ალბათ, მზეს იქ არასდროს ჩაუხედავს. თავზე ქუჩას სახურავივით ახურავს ხიდი. მთარგმენლი მეუბნება, რომ საშუალო კლასის ბარში უნდა შევიდეთ ერთი ძველი შენობის მეორე სართულზე. შენობას კი ძველიც აღარ ეთქმის, საცაა ჩამოიქცევა.

ავდივართ კიბეებზე, შევდივართ თითქმის ცარიელ ბარში და იქ, ბარის სიღრმეში ვხედავ ჰოკი მილერს.

გაოცება რომ დავფარო, მასთან შეხვედრის ენთუზიაზმს გაზვიადებულად გამოვხატავ. ბარის უკანა ოთახში შევყავარ, სადაც პატარა მუზეუმი აქვს მოწყობილი - იქაურობა სავსეა ფოტოებით, ორი თუ სამი ხელმოწერილი აქვარელის ნახატით, წარწერებიანი წიგნით - სულ ესაა ოთახის მორთულობა. ჰოკი მეუბნება, რომ ჰენრი მილერს ლოს ანჯელესში დიპლომზე მუშაობისას შეხვდა. თავი რომ ერჩინა, სტუდენტი ჰოკი რესტორანში ფორტეპიანოზე უკრავდა და ფრანგულ სიმღერებს მღეროდა (ოღონდ, იაპონურად). მილერი ამ რესტორანში სასადილოდ ხშირად დადიოდა ხოლმე, თან ჰოკის სიმღერებიც ძალიან მოსწონდა (მას უყვარდა ყველაფერი ფრანგული, რადგან ცხოვრების დიდი ნაწილი პარიზში ჰქონდა გატარებული). რამდენიმე პაემანის შემდეგ მილერმა ჰოკის ცოლობა სთხოვა.

ვამჩნევ, რომ ბარში ფორტეპიანოც დგას - ნიშანი იმისა, რომ ქალბატონი მილერი წარსულით ცხოვრობს; იმ დღით, როცა პირველად შეხვდა მილერს.

ჰოკი მილერთან ერთად გატარებული წლების შესახებ ისტორიებსა და დეტალებს მიამბობს; მიყვება, თუ როგორ უქმნიდა პრობლემებს ასაკში სხვაობა (მილერი 50 წელს გადაცილებული იყო, ჰოკის კი ოცი წელიც არ შესრულებოდა) და იმასაც მიმხელს, რომ მილერის შვილებს სხვა ქორწინებებიდან მემკვიდრეობის უმეტესობა ერგოთ - საავტორო უფლებებიც კი წიგნებზე, მაგრამ იმასაც მეუბნება, რომ ფინანსები მისთვის მეორეხარისხოვანია.

შემდეგ, ვთხოვ, დამიკრას ის სიმღერა, რომლითაც მილერის ყურადღება მიიპყრო წლების წინ. თვალები ცრემლებით ევსება და მღერის "შემდგომის ფოთლებს" (Les Feuilles Mortes).

მოსმენილით და ნანახით შეძრული ვარ. ცარიელი ბარი, ფორტეპიანო, და ამ კედლებში ექოდ დაღვრილი იაპონელი ქალის ხმა; იმ ქალისა, რომელმაც ფეხებზე დაიკიდა ყოფილი ცოლების დიდება, მილერის წიგნებიდან შემოსული ზღვა ფული, სახელი და მილერის გარდაცვალების შემდეგ ამ სიჩუმეში დასახლდა.

"მემკვიდრეობისთვის ბრძოლა არ მიღირდა, რადგან სიყვარული ვიმყოფინე", - მეუბნება ბოლოს და თვითონაც ხვდება, როგორი წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე.

დიახ, ზუსტად ვგრძნობ, რომ ამ ქალში ერთი ბეწო სინანული და ბოღმა არ სუფევს, ამიტომაც ზუსტად ვგრძნობ იმასაც, რომ მას სრული ბედნიერებისთვის სიყვარული ეყო.

**United Nations Development Programme**
**UNDP Georgia**

**გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისი პროექტის GEO/00036279 "საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ეფექტურობისა და ტრანსპარენტობის გაუმჯობესება" ფარგლებში აცხადებს შემდეგ ღია ტენდერებს:**

**ა) საქართველოს პარლამენტის მედია-ცენტრის რეკონსტრუქცია და რემონტი;**

**ბ) სპეციალური ავეჯის დიზაინი, დამზადება, მოწოდება და მონტაჟი საქართველოს პარლამენტის მედია-ცენტრისათვის.**

**სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ან ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:**

1. ქ.თბილისი, ერისთავის ქ. № 9, გაეროს სახლი, ოფისი 112 (საკონტაქტო პირი: პროექტის აღმასრულებელი კოორდინატორი, ქ-ნი მანანა სალუქვაძე, ტელ: 253203)
2. http://www.undp.org.ge/news/tenders.html
3. http://www.parliament.ge (ინფორმაცია - ტენდერები)

# სიტყვა და საქმე

კოტე გვასალია
ისტორიკოსი
გერმანია, მიუნხენი

დასავლური ცივილიზაციის ჩამოყალიბებამდე ბევრად ადრე იყო ცნობილი, რომ ადამიანი ძირითადად 17-18 წლამდე ვითარდება, შემდეგ კი მხოლოდ გამოცდილებას იძენს. ცვლილებების შეტანა ზრდასრული ადამიანის ჩვევებშიც კი დიდ წინააღმდეგობასთან არის დაკავშირებული. გრძნობს რა ამ სირთულეს, ამბობენ, დიდი უმრავლესობა თავის მოტყუებაში ხედავს გამოსავალს. იგი ისახავს დიდ მიზანს, ან კიდევ უარესი, მიზნებს, რომელთაც თურმე განხორციელება არასდროს უწერია, რადგანაც მიზანი ყოველთვის უამრავი, უფრო პატარა დაბრკოლებებისაგან შედგება. ხოლო ადამიანს არათუ მრავალ, არამედ ორ ფრონტზე ბრძოლაც არ შეუძლია. ამიტომაც გვაფრთხილებს უძველესი სიბრძნე, რომ სიტყვა, რომელსაც საქმე არ მოსდევს თან, ფასს კარგავს და მხოლოდ ადამიანების გართობას ემსახურება. შესაბამისად, რაც უფრო დახვეწილია მოსაზრება, მით უკეთ გვართობს იგი.

მას, ვისაც მართლა აქვს განვითარების, წინსვლის სურვილი, ურჩევენ, რომ მიზნად ყოველთვის ერთი და თან რეალურად მიღწევადი დაბრკოლების გადალახვა დაისახოს და ამისკენ მიმართოს მთელი ყურადღება და ენერგია. ილოცოს და ღმერთს სთხოვოს ამ დაბრკოლების გადალახვაში თანადგომა. ადამიანს ხშირად ადარებენ საზოგადოებას. ისიც ხომ ადამიანებისაგან შედგება, მაგრამ საზოგადოებას ნაკლებად შეუძლია მხოლოდ ერთ პრობლემაზე იფიქროს. ამიტომ კარგი იქნება, თუ ძველი რომაელი მოაზროვნის, პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, კატონ უფროსის მიზანდასახულობას გავიხსენებთ. მას მიაჩნდა, რომ რომის სახელმწიფოს უშიშროებას ყოველთვის საფრთხეს შეუქმნიდა კართაგენი და აქედან მისი ცნობილი ფრაზაც: კართაგენი უნდა დაინგრეს. იგი აქტიურად ღებულობდა მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. სიტყვით გამოდიოდა სენატში არა მარტო საგარეო ურთიერთობების განხილვისას, როცა ხანდახან კართაგენის ხსენებაც არ იყო, არამედ ყოფით საკითხებზეც, როცა საქმე, ვთქვათ, განქორწინებას ეხებოდა. ჩამოაყალიბებდა რა თავის სათქმელს, იგი ყველა გამოსავალს ერთნაირად, დაახლოებით ასე აბოლოვებდა: ჩემი აზრი ამ თემაზე ასეთია, ხოლო რაც შეეხება კართაგენს, იგი უნდა დაინგრეს.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ ხალხში სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებასა და სამოქალაქო საზოგადოების შექმნაზე. ესეც, რა თქმა უნდა, მიზანია, რომლის მისაღწევადაც მრავალი ცალკე აღებული პრობლემა უნდა გადავლახოთ. ამასთან დაკავშირებით ერთ ასეთ მაგალითს მოვიყვან: როცა ადამიანები რაიმე საკითხზე დავობენ, ის მხარე, რომელსაც ამ თემაზე კამათი არ აწყობს, ერთ უძველეს ხერხს მიმართავს: საკითხზე მსჯელობის ნაცვლად მოსაუბრის პიროვნების კრიტიკაზე გადადის, შეურაცხყოფს მას და, როგორც წესი, საკითხი ასეთ დროს განხილვის გარეშე რჩება. ეს ეშმაკობაც მას მერეა, ალბათ, ცნობილი, რაც ადამიანი გაჩნდა და დიდი გამოცდილება და ჭკუა არ არის საჭირო იმის ცოდნისათვის, რომ როცა კაცს კენჭს ესვრი, მას საპასუხოდ აგური აქვს გამზადებული.

ბევრის გულუბრყვილო კითხვა: რა, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა ჩალით ხომ არ არის გადახურული, ძალაში დარჩება მანამ, სანამ საზოგადოების მხრიდან ეს მარტივი ეშმაკობა გაშიფრული არ იქნება. მეტიც, ხშირად ვახსენებთ იმ მექანიზმებს, რომლის დახმარებითაც რუსეთი ჩვენს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, ათწლეულზე მეტია წარმატებით აფერხებს: ენერგეტიკული ზეწოლა, ეკონომიკური ბლოკადა, ეთნოკონფლიქტები... ეს ყველაფერი მართლაც ასეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ გავაცნობიერეთ, თუ რამდენად უფრო ქმედითი ბერკეტები აღმოაჩნდა რუსეთს ჩვენს წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც იგი იძულებული გახდა, ხალხებისთვის თავიანთი ნების გამოხატვის საშუალება მიეცა, საქართველოშიც აამოქმედა რესურსები. უხვად შეურია ეროვნულ მოძრაობაში თავისი ქართველი აგენტები, რომელთა თუ ერთადერთი არა, ძირითადი მიზანი იყო ქვეყანაში მასობრივი ისტერიის გავრცელება; იმგვარი ისტორიის, როცა დედა პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობის გამო შვილს დანით გამოდგომია... და ისე დაგვემხო ჭერი თავზე, რომ ეკონომიკა და ეთნოკონფლიქტები გზად წამოგვეწია, როგორც გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში. მადლობა ღმერთს, ყველას გვახსოვს, თუ რა გზით და საშუალებით შეძლეს მტრებმა ჩვენში ამ ისტერიის შექმნა.

ამიტომ მინდა თხოვნით მივმართო ყველა პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეს, ჯეროვნად შეაფასოს ეს თითქოს და მეორადი პრობლემა და თუ კატონ უფროსივით ყველა მოხსენებაში არა, რაც შეიძლება ხშირად მოითხოვონ იმ ადამიანების საზოგადოების წინაშე გამოსვლის უფლების შეზღუდვა, ვინც მოპაექრეს სახალხოდ მიაყენებს შეურაცხყოფას, ხოლო ხალხის რჩეულთა მხრიდან ამგვარი საქციელის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დადგეს მათთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. ასევე დაეკისროს პასუხისმგებლობა ყველა იმ ჟურნალისტს, რომელიც ამგვარად სახელშერცხვენილ პიროვნებებს საზოგადოების წინაშე გამოსვლის საშუალებას მისცემს. ეს მანკიერება ჩვენში ისეა გამჯდარი, რომ ხშირად ვხდებით იმის მოწმე, როცა ამ თითქოსდა ელემენტარულ პრინციპს ძალზე ცნობილი და განათლებული პიროვნებებიც არღვევენ. მაშინაც კი, როდესაც მათი მოცემულ მომენტში ტელევიზიაში გამოსვლის თემა ვითომდა მათ წინააღმდეგ მიმართული შეურაცხყოფებისაგან თავის დაცვაა, თავიანთ საუბარს ისინი ოპონენტის აშკარა დამცირებით იწყებენ და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ განათლებას არაფერი აქვს საერთო ადამიანის შინაგან კულტურასთან და როგორც აღმოსავლური ანდაზა გვამცნობს, ვირი ვირად რჩება მიუხედავად იმისა, შეშითაა იგი დატვირთული თუ წიგნებით.

ეს თემა თავისთავად წარმოაჩენს ჩვენში და არა მარტო ჩვენში დამკვიდრებულ ერთ პრობლემას. მახსოვს, 80-იანი წლების ბოლოს თბილისის ერთ-ერთ მცირე კინოდარბაზში დოკუმენტური ფილმის ჩვენება იყო ჩერნობილის კატასტროფაზე. ფილმის დასრულების შემდეგ ერთმა კინომოღვაწემ მოგვმართა: კაცო, არ მიაქციეთ ყურადღება, რა სხაპასხუპით აძლევდნენ ინტერვიუებს ფილმში უბრალო მოქალაქეები, ქალებიც და კაცებიცო. შემდეგ განაგრძო, რომ მოსკოვში მისი სწავლის დროს თურმე ირაკლი ანდრონიკოვს ქართველი სტუდენტებისათვის ასე მიუმართავს: ხუთიანს დავუწერ უგამოცდოდ იმას, ვინც მიპასუხებს, რატომ უჭირთ ამ მჭერმეტყველებითა და თამადობის ნიჭით განთქმულ ქართველებს ტელეკამერის წინ საუბარიო.

არადა, მართლაც საამაყო იყო ის ფაქტი, რა მძაფრად გრძნობდა თითქმის ყველა ქართველი იმას, თუ რამდენი სიყალბეა ყოველ ჩვენგანში და რა ძნელია იყო გულწრფელი. შეიძლება დაუწერელი კანონით ყოველდღიურობაში ამაზე საზოგადოება თვალს ხუჭავს, გაუსაძლისი რომ არ გახდეს ცხოვრება, მაგრამ სულ სხვაა, როცა კაცი ფართო აუდიტორიის წინაშე გამოდის. არსებობს გამოთქმა: სირცხვილია, ხალხი გიყურებსო. ამ გამოთქმაში ჩანს რწმენა, რომ არსებობს თითქოსდა ერთი დიდი უჩინარი თვალი თუ მზერა, რომელსაც უკვე ვერაფერს გამოაპარებ და ამიტომ სააშკარაოზე გამოსვლა გიწევს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეს მზერა ჩვენს ცნობიერებაში თუ არაცნობიერებაში იმ უბადლო სმენით დაჯილდოებულ მუსიკოსად აღიქმებოდა, რომელიც ნებისმიერი ცალკე აღებული ნოტის ოდნავ უზუსტობასა და სიყალბესაც კი აფიქსირებს. ასეთი "თვალის" არსებობას უამრავი ადამიანი, უფრო მეტად ჩრდილოელები, საერთოდ ვერ გრძნობდნენ და ამიტომ მათ კამერის წინ ისევე შეეძლოთ და შეუძლიათ ლაპარაკი, როგორც კარის მეზობელთან. ალბათ ამას საქართველოში ყველა სიტყვიერად ვერ აცნობიერებდა, მაგრამ ეს აღმოსავლური დახვეწილობა ჩვენში თითქოს ახალი გრძნობის ორგანოდ იყო ჩამოყალიბებული. რომელმა "ორგანომაც" მოგვიანებით, ერთი მხრივ, ბოლო ათწლეულში ყველა ღირებულების მსხვრევის, მეორე მხრივ, დასავლური მასობრივი კულტურის შემოტევის პირობებში დეგენერირება განიცადა. ამიტომ გასაკვირი აღარ არის, რომ თვით ერთი უბრალო ჭეშმარიტების დასამტკიცებლადაც კი აღარ გვყოფნის ათასობით არგუმენტი. დღეს აღარც ის უკვირს ვინმეს, როცა ტელევიზიით ახალგაზრდას აჩვენებენ, რომელსაც შეძახილით ბესიკ! ტუჩები კამერასთან მოაქვს და ობიექტივს კოცნის, თურმე მას ასე უნდა მოკითხვა შეუთვალოს თავის ახლობელს და სურს, რომ ასიათასობით მაყურებელი რატომღაც ამის მოწმენი გავხდეთ. სახალხოდ ასეთი "უშუალობა" იქცა ნელ-ნელა კაიტიპობისა და უკომპლექსობის მაჩვენებლად.

ამის საპასუხოდ მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო. ჩემი საქართველოში ბოლო ჩამოსვლისას (2003 წელს) ერთ შაბათ საღამოს ტელევიზორი ჩავრთე, რომ გადაცემა "ფსიქო" მენახა. ამ საყოველთაო "უკომპლექსობის" ფონზე თვალში მეცა გოგი გვახარიას ის ნაცნობი მიმიკა და ჟესტიკულაცია, რომელიც დაკვირვებული თვალისათვის უტყუარი ნიშანია იმისა, რომ გამომსვლელი ღელავს. გოგი კვლავ ღელავდა, მიუხედავად იმისა, რომ მე ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა იგი ტელეეთერში გამოჩნდა (არადა, უკვე თავად გადავაბიჯე ორმოცს) და მას შემდეგ სისტემატურად უხდება ფართო აუდიტორიის წინაშე საუბარი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. როგორც ჩანს, თურმე შეიძლება ადამიანი ათწლეულების განმავლობაში გამოდიოდეს ხალხის წინაშე და მაინც არ დაუჩლუნგდეს ცნობიერების სიფხიზლე და პასუხისმგებლობის გრძნობა.

ამ იმედით მინდა დავასრულო ეს წერილი და ვიოცნებო იმ დროზე, როცა ყოველ ჩვენგანს საჯაროდ გამოსვლისას იდუმალი ხმა შეახსენებს იმ სიტყვებს, რომელსაც, როგორც წესი, უამრავ ქვეყანაში პოლიციელი ეუბნება ახალდაკავებულს: თქვენ გაქვთ დუმილის უფლება, რადგან თქვენ მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა შეიძლება თქვენს საწინააღმდეგოდვე იქნას გამოყენებული.




# Alaverdi To Europe

ნოდარ მალაზონია

როდესაც ადამიანთა შორის კავშირი ირღვევა - წყდება სოციალური, მორალური, ეთნიკური თუ პოლიტიკური მოტივაციით (საკუთარი "მეს" სრულყოფილებაზე რომ არაფერი ვთქვათ) და სახლიდან მიდის "ერთი ან მეორე", რაც თუნდაც ჩვენი ცხოვრების მანძილზე გვინახავს თუ გვსმენია, აღმოვაჩენთ, რომ საოჯახო სკანდალურ კლასიფიკაციაში ყველაზედ გავრცელებული (გნებავთ პოპულარული) ორი სახეობაა:

პირველი - როდესაც ოჯახის წევრები ღირსებით სცილდებიან ერთმანეთს და მათი შემდგომი ურთიერთობები, როგორც იტყვიან, "მოკითხვა და ნახვის ნატვრით" მენიუში ჯდება.

მეორეა, როდესაც "ერთი თუ მეორე" ძაღლ და კატასავით წაეკიდება ერთმანეთს, შარაზედ ენას გადებს და საქვეყნოდ თავს იწონებს - ნიფხავი რომ ნიფხავია, ისიც არ გავატანეო.

აი, სწორედ, ასეთ ადამიანებზედ ამბობენ, ტუტუცი და ზნედაცემულიაო.

ცხადია, ვინც რა უნდა თქვას, ფაქტი ერთია, ყოველგვარი გაყრა უმტკივნეულოდ და ცრემლის გარეშე არასდროს მთავრდება, მაგრამ ყველაზედ გაუსაძლისი ის გახლავთ, როდესაც მსგავსი "ოპუსები" ხალხის სასაცილოდ იქცევა და რამდენად უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, სწორედ ამ ფაზაში შედის დღეს "ველიკაია რუსის" საქციელი ჩვენი სამშობლოს მიმართ.

ჯერ ნიფხავზედ არ მიმდგარა "ტრავაედი გრუზინების" საქმე, მაგრამ ყველაფერი რომ იქითკენ




"ქართული ღვინო, რომელიც უარყო რუსეთმა"
"გადავიდეთ ალავერდით ევროპასთან"!

მიდის, ეს ფაქტია.

არ უნდათ ჩვენი ციტრუსი, მინერალური წყლები და ღვინო?

ვერაფერს ვიზამთ ბატონებო, "დათვი რომ მოგერევა, ბაბა უთხარიო" - ვუთხრათ "ბაბა" ჩვენც რუსეთს, ნუ გადავეკიდებით ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ვინც მეგობრად გვეგულვის, ალავერდი მასთან გადავიდეთ და ჩვენს არჩეულ გზას მივყვეთ ევროპისკენ.

და თუ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს, ამ პროექტის "ნოუ ჰაუს" აქვე გთავაზობთ!

## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა) + ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## ცენტრ პოინტ ჯგუფი

იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.
სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.
განვადება უპროცენტოა.
მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.

## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**




# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## ჩინეთი ქარის ენერგიას ათვინიერებს

## 14 მილიონი PASSAT VOLKSWAGEN-ისგან



## ევროპა ეკონომიკური ზრდის პროგნოზებზე საუბრობს

B3

## პირველი ქართულ-ესტონური ბიზნესფორუმი

## მობილური სიხშირეების აუქციონში იტალიის მოქალაქე მიიღებს მონაწილეობას

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,4029 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0102 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4939 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8140 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8437 |
| 1 | ბურგალური ლეი | BGL | 1,1855 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3109 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3155 |
| 1 | ევრო | EUR | 2,3185 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4820 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3488 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,3793 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1632 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3880 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1985 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2540 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4097 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6452 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2803 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,6221 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3965 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2985 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,6071 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6094 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0670 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1602 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4059 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5643 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4867 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,6208 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8953 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2153 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1471 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4446 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2490 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4871 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0822 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2266 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2340 |




# საწვავზე სამომხმარებლო ფასი კვლავ გაიზრდება

## საქართველოს ბაზარზე ნავთობპროდუქტები ევროპიდან ხუთ კომპანიას შემოაქვს

ნინო ნატროშვილი

*საქართველოში სამომხმარებლო ფასები საწვავზე აპრილში 4,8 პროცენტით გაიზარდა. ბენზინი ქვეყანაში საშუალოდ 5,7 პროცენტით გაძვირდა (თელავში - 15,3 პროცენტით, ბათუმში - 7,3 პროცენტით, ქუთაისში - 6,9 პროცენტით, გორში - 6,2 პროცენტით, ხოლო თბილისში - 4,5 პროცენტით). რაც შეეხება დიზელის საწვავს, მისმა ფასმა საშუალოდ 4,8 პროცენტით მოიმატა (თელავში - 17,9 პროცენტით, ქუთაისში - 9,5 პროცენტით, გორში - 6,1 პროცენტით, ხოლო ბათუმში - 5,6 პროცენტით). სამომხმარებლო ფასებმა ნავთზე დაიწია 1,1 პროცენტით.*

- იმპორტირებული ბენზინის და დიზელის ძირითადი წილი საქართველოში მსხვილ კომპანიებს შემოაქვთ. “ლუკოილი”, “კანარგო” და “ეკო ჯორჯია”, ძირითადად, ევროპული საწვავით ვაჭრობენ, რაც შეეხება სხვა კომპანიებს, ისინი საწვავის იმპორტს აზერბაიჯანიდან ახორციელებენ.
- საქართველოს ნავთობპროდუქტების იმპორტის ბაზარზე მომხდარი ცვლილებების შემდეგ, დიზელის და ბენზინის კონტრაბანდის წილი საგრძნობლად შემცირდა. 2005 წელს კონტრაბანდამ ბენზინზე 82 000 ტონა ანუ 20 პროცენტი, ხოლო დიზელზე - 49 000 ტონა ანუ 15 პროცენტი შეადგინა.



B2

# ვის სთავაზობენ სეპარატისტები აფხაზეთის უძრავ ქონებას?

დიანა ჩაჩუა

*აფხაზური ინტერნეტ-საიტი "კომერციული და საცხოვრებელი უძრავი ქონება აფხაზეთში" რუსეთის მოქალაქეებს აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენას სთავაზობს. w.ru-ს მთავარ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია რუსეთის მოქალაქეებს აუწყებს, რომ აღნიშნული საიტი რუსული და აფხაზური კომპანიების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, რუსეთის მოქალაქეებს აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეძენაში დაეხმარება. იქვეა ნათქვამი, რომ საიტის ავტორების საქმიანობას მხარს თავად აფხაზეთის მთავრობა და აფხაზური პარლამენტის დეპუტატები უჭერენ.*



*იყიდება: სპორტული ბაზა ზღვასთან ახლოს.*



*იყიდება ადგილ-მამული სოფელ ლდძააში.*

B2

# სოფლის მეურნეობა

## საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი პრობლემები და მათი გადაჭრის შესაძლო გზები

- ფერმერად ითვლება ის, ვინც წინასწარ ითვლის შესაძლო მოგებას ატმის, კომბოსტოს ან საზამთროს წარმოებიდან და არჩევანს ერთ-ერთის სასარგებლოდ აკეთებს, ხოლო გლეხს ეს ყველაფერი ერთად მოჰყავს და ამას კიდევ 20 ქათამს, 2 ბატს და ერთ ძროხას უმატებს. ამ კრიტერიუმით, ჩვენთან რამდენიმე ასეული ფერმერი თუ მოინახება.
- გასათვალისწინებელია, რომ პროგრამები, რომლებიც ევროპის სახელმწიფოებში კარგად მუშაობს, საქართველოს რეალობაში შეიძლება ან არ, ან ვერ მუშაობდეს.



B4

### პრეზიდენტმა სოფლის მეურნეობის მინისტრი და ქართველი მეღვინეები გააკრიტიკა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მთავრობის ოთხშაბათის სხდომის დაწყებამდე სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი და ქართველი მეღვინეები გააკრიტიკა. სააკაშვილმა სოფლის მეურნეობის მინისტრს სხდომაზე ღვინო - "ქინძმარაული" და "სვარჭკარა" წარმოუდგინა, რომელიც მან ლიტვაში ყოფნისას ერთ-ერთ სუპერმარკეტში აღმოაჩინა. მისი თქმით, ამ ღვინოს ესპანეთში, ბულგარეთში და კიდევ ბევრ ქვეყანაში აწარმოებენ. "სანამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მეღვინეების დიდ ნაწილს სძინავს, მეღვინეები ესპანეთში და ბულგარეთში ქართული ღვინის ფალსიფიკაციით ფულს აკეთებენ," - განაცხადა პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილი მეღვინეების მიმართაც კრიტიკით გამოვიდა და განაცხადა, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რაც მას შეუძლია. "მთავრობამ ქართულ ღვინოს უზარმაზარი რეკლამა გაუკეთა - ვარდების რევოლუციიდან დაწყებული და ჩემს მიერ უცხოურ სუპერმარკეტებში გაკეთებული რეკლამით დამთავრებული," - განაცხადა პრეზიდენტმა. სააკაშვილმა მეღვინეებს აქტიურობისკენ მოუწოდა. "ბალტიის ქვეყნების მოსახლეობა მაღალშემოსავლიანია და იქ ბევრჯერ მეტია ღვინის მოხმარება. უსაფუძვლოა ღვინის კომპანიების წარმომადგენლების განცხადებები, რომ რუსეთის ბაზრის ჩანაცვლება შეუძლებელია," - დასძინა პრეზიდენტმა. რუსეთში გასატანი ქართული ღვინის გადამისამართება შეიძლება, მიიჩნევს პრეზიდენტი. ის მეღვინეებს ბალტიის ქვეყნებში ახლადგახსნილი პირდაპირი ავიარეისით ჩასვლას ურჩევს. სააკაშვილის თქმით, ამ ქვეყნებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები გამარტივებული სავიზო მიმოსვლის შესახებ.

გამოსვლის დასასრულს პრეზიდენტმა რუს ერს მათ მშობლიურ ენაზე მიმართა და ქართული ღვინის დეგუსტაციისაკენ და ამით სიამოვნების მიღებისაკენ მოუწოდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### მინისტრთა კაბინეტი პრეზიდენტის კრიტიკას იზიარებს

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნებში ქართული ღვინის სახელით დამზადებულ და ფალსიფიცირებულ პროდუქციასთან ბრძოლა, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მთავრობის ოთხშაბათის სხდომის დასრულების შემდეგ. ნოღაიდელის განმარტებით, უცხოურ ბაზრებზე ქართული ღვინის სეგმენტის დასაცავად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, ე.წ. "ღვინის ელჩები" დაკავდებიან. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი პრეზიდენტის მიერ გამოთქმულ კრიტიკას სამართლიანად მიიჩნევს და თვლის, რომ კრიტიკის მიზეზია სამინისტროს და მეღვინეების არასაკმარისი აქტიურობაა უცხოურ ბაზრებზე. მისი თქმით, ქართული ღვინო 2005 წელს მსოფლიოს ინტელექტუალური საკუთრების ნუსხაში მოხვდა და ადგილწარმოშობის ღვინის სხვა ქვეყნებში წარმოება და გაყიდვა დაუშვებელია. "ქართული ბრენდებით ღვინო უნგრეთში, ბალტიის ქვეყნებში, გერმანიაში, ესპანეთში და, რა თქმა უნდა, რუსეთში იწარმოება," - დასძინა სვიმონიშვილმა. ქართული სახელით უცხოეთში წარმოებულ ღვინოსთან ბრძოლა კერძო ბიზნესის ძალისხმევით უნდა მოხდეს, - მიაჩნია საქართველოს სახელმწიფო მინისტრს რეფორმების კოორდინაციის საკითხებში კახა ბენდუქიძეს. უცხოურ ბაზარზე საკუთარი პროდუქციის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის მაგალითად ბენდუქიძემ "ბორჯომი" მოიყვანა და აღნიშნა, რომ ამ მინერალური წყლის მწარმოებელმა კომპანიამ "ბორჯომის" ფალსიფიკაცია თითქმის მინიმუმამდე დაიყვანა. "ქვეყნებში, სადაც ღვინო ქართული ბრენდით იწარმოება, სასამართლოში ჩივილია საჭირო, ამ საქმეს მეწარმეებმა უნდა მიხედონ," - აცხადებს კახა ბენდუქიძე. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მთავრობის სხდომის დაწყებისას სოფლის მეურნეობის მინისტრის და მეღვინეების კრიტიკით გამოვიდა და მათ უცხოურ ბაზრებზე ქართული ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ მოუწოდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### მიხეილ სააკაშვილი: საქართველოში კორუფციის დონე ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია

საქართველო ევროპის ქვეყნებს შორის, კორუფციის დონის მიხედვით, ბოლოდან მეორე-მესამე ადგილზეა, - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

პრეზიდენტი მთავრობის ოთხშაბათის სხდომის დაწყებისას რამდენიმე საკითხით დაინტერესდა, მათ შორის, ბოლო დროს გახმაურებულ სიტუაციით ავსტრიულ ხორცის გადამამუშავებელ კომპანია "შინჰოფერთან" დაკავშირებით. პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის თქმით, "შინჰოფერთან" დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემა უკვე მოგვარებულია და ავსტრიელი ბიზნესმენი საქართველოში საქმიანობას უახლოეს მომავალში შეუდგება. "საქართველო ბიზნესისთვის ღია ქვეყანაა," - განაცხადა პრეზიდენტმა, რომელიც თანამდებობის პირების მხრიდან ბიზნესმენებისთვის პრობლემების შექმნას დაუშვებლად მიიჩნევს. პრეზიდენტის თქმით, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი გადასახადები და მცირე რაოდენობის ლიცენზიებია, რაც ეკონომიკური ზრდის და ბიზნესის განვითარების მთავარი სტიმულია. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### რუსეთში "ნაბეღლავის" იმპორტი ოფიციალურად აიკრძალა

ქართული მინერალური წყლის "ნაბეღლავის" რუსეთში იმპორტი ოთხშაბათიდან ოფიციალურად აიკრძალა. აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის სამსახურის "როსპოტრებნადზორის" ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ რამდენიმე დღის წინ მიიღო. ოფიციალურ მიზეზად რუსეთის ხარისხის სტანდარტებთან შეუსაბამობა დასახელდა, რეალურ მოტივად კი ექსპერტები, "ბორჯომზე" და ქართულ ღვინოებზე დაწესებული ემბარგოს მსგავსად, დიდ პოლიტიკას ასახელებენ. "ნაბეღლავის" ჩამომსხმელი კომპანია "წყალი მარგებელის" ხელმძღვანელობის განცხადებით, ისინი რუსეთში საკუთარი პროდუქციის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ყიდიან და აღნიშნული აკრძალვით განსაკუთრებულ ზარალს არ ნახავენ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### საქართველოში, შესაძლოა, რუსული ხორბლის იმპორტი შეწყდეს

საქართველოში, შესაძლოა, რუსული ხორბლის იმპორტი შეწყდეს - ამის მიზეზად რუსეთის რეგიონებში ცუდი კლიმატური პირობების გამო ხორბლის საგაზაფხულო მოსავლის დიდი რაოდენობის გაფუჭება სახელდება. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოში ხორბლის ბიზნესით დაკავებულმა მეწარმეებმა განუცხადეს, აღნიშნული ფაქტი ქვეყანაში ხორბლის დეფიციტს არ წარმოქმნის, ვინაიდან მიმდინარეობს მუშაობა ხორბლის ყაზახეთიდან, უკრაინიდან, რუმინეთიდან და ბულგარეთიდან შემოსატანად. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# ვის სთავაზობენ სეპარატისტები აფხაზეთის უძრავ ქონებას?



ავტოგასამართი სადგური, ერთობლივი ექსპლოატაციის პერსპექტივით.



იყიდება: 1 ჰექტარი მიწა გაგრის ცენტრში.

პირველი გვერდიდან

**"აფხაზეთის ტერიტორიაზე უძრავი ქონების შეძენის პრიორიტეტი რუსულ კომპანიებს და რუსეთის მოქალაქეებს ენიჭებათ,"** - ნათქვამია განცხადებაში.

საიტი რუსეთის მოქალაქეებს განუმარტავს, რომ აფხაზეთის კანონმდებლობა ძალიან ჰგავს რუსეთის მოდელს, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, აფხაზეთში ბიზნესის წარმართვისთვის აფხაზურ-რუსული კომპანიის თანადგომა ყველა ეტაპზე დასჭირდებათ. შესაბამისად, მათი თქმით, **"ჩვენი კომპანია მზადაა, საკუთარ თავზე აიღოს აფხაზეთში თქვენს მიერ მოწონებული უძრავი ქონების კანონიერად შეძენა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება."**

საიტის ავტორები დაინტერესებულთ აცნობებენ, რომ აფხაზეთის უძრავ ქონებაში განხორციელებული ინვესტიცია ყველაზე საიმედო კაპიტალდაბანდებაა. **"ბოლო ორი წელია, ყოველი საკურორტო სეზონის დასრულების შემდეგ საცხოვრებელ ფართზე და მიწის ნაკვეთზე ფასები 2-ჯერ იზრდება,"** - ვკითხულობთ აიტზე. ამ მიმართულებით პროგრესის შეფერხება კი, განცხადების ავტორების აზრით, შემდეგი ორი ფაქტორითაა განპირობებული: რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსი და საკანონმდებლო შეზღუდვები, რომელიც უცხოელ მოქალაქეებს უძრავი ქონების ყიდვისას პრობლემებს უქმნის (მათ შორის, რუსებსაც).

ავტორები ყურადღების ერთ, მათთვის განსაკუთრებულ ფაქტორზე გამახვილებას გვირჩევენ: ბოლო წლებში რუსული პოლიტიკური ელიტა აფხაზეთის ეკონომიკაში სოლიდურ ინვესტიციებს ახორციელებს.

საიტის ავტორები სავარაუდო საინვესტიციო პროექტებსაც გვთავაზობენ. კერძოდ, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის და ნავთობპროდუქტების ფასების ზრდის ფონზე, აფხაზეთში ბუნებრივი აირის გასამართი სადგურების შექმნის მწვავე აუცილებლობა იგრძნობა. ამასთან, საიტის შემქმნელი კომპანია დაინტერესებულთ ფულის მსხვილ გასართობ ცენტრებში ჩადებას ურჩევს.

**"ასევე, არსებობს ცისფერი მარმარილოს და გრანიტის მდიდარი ადგილმდებარეობები, რომელთაც ჯერ არავინ იყენებს. რესპუბლიკაში წამოწყებულ მასშტაბურ მშენებლობებთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა ხე-ტყეზე. ამის გათვალისწინებით, ხე-ტყის მწარმოებელი ქარხნის შექმნა ძალიან მომგებიანი ბიზნესი შეიძლება გამოდგეს,"** - იძლევიან რჩევებს საიტის ავტორები.

ყოველივე ზემოთაღნიშნულით დაინტერესებულთ შეგიძლიათ მოინახულოთ საიტი h.

აქვე ბიზნესშემოთავაზება: გაგრის შემოგარენში იყიდება 0.35 ჰა ფართობის ნაკვეთი, ზღვისგან 300 მეტრის მოშორებით. ფასი 35 ათასი დოლარი.

კიდევ ერთი სარფიანი წინადადება აფხაზებისგან: გაგრის ცენტრში გთავაზობთ, ზღვისგან 50 მეტრში მდებარე ერთ ჰექტარ მიწას. თანამშრომლობის შემთხვევაში შესაძლებელია ამ ნაკვეთზე სასტუმროს ან დასასვენებელი სახლის აშენება, ან შესაძლებელია ნაკვეთის ყიდვა 400 ათას დოლარად.

თუ ზემოთჩამოთვლილი პროექტების პირობები არ გაკმაყოფილებთ, შეგიძლიათ, გაგრაში ან ბიჭვინთაში, უბრალოდ, ბინა იქირაოთ. მაგალითად, გაგრაში სამოთახიან ბინას, სამი საძინებლით, მისაღებით, ორი საპირფარეშოთი და ცხელი წყლით გთავაზობენ. თუ ბინას მთლიანად იქირავებთ, 40 ათასი რუბლის, საწოლების მიხედვით კი - ადამიანზე 500 რუბლის გადახდა მოგიწევთ. ან, მაგალითად, შეგიძლიათ თქვენი შვებულება ბიჭვინთაში, ოროთახიან ბინაში გაატაროთ. სახლი ზღვიდან 500 მეტრითაა დაშორებული. ერთი საწოლის დაქირავება 200 რუბლი დაგიჯდებათ, მთლიანად ბინის კი მაისი-ივნისის პერიოდში - დღეში 600 რუბლი, ივლის-სექტემბერში - 1000 რუბლი.

აქვე, ინფორმაციისთვის: ამჟამად, აფხაზეთში საკურორტო-დასასვენებელი კომპლექსების უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის სახელისუფლებო სტრუქტურებზეა დროებით თუ მუდმივ სარგებლობაში გაცემული. მაგალითად, ორი წლის წინ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პირველი პირები სანატორიუმ "უკრაინას" იჯარით აღებას ცდილობდნენ, თუმცა, აფხაზური მხარის გადაწყვეტილებით, ის ფედერაციის ჯანდაცვის სამინისტროს გადაეცა 30-წლიანი ვადით. დაბა ბიჭვინთაში განლაგებული სანატორიუმიდან კი, რომელიც რუსეთის ფედერაციის ატომური ენერგეტიკის სამინისტროს იჯარით აქვს აღებული, აფხაზური მხარე ყოველწლიურად 100.000 ათას ამერიკულ დოლარს იღებს.

რუსი ბიზნესმენები განსაკუთრებით მიწის ნაკვეთების შეძენით არიან დაინტერესებულნი. ისინი, გავლენიანი აფხაზური კავშირების მეშვეობით, საუკეთესო ნაკვეთების შერჩევას ცდილობენ. ინტერესი იმდენად დიდია, რომ ზღვისპირა ზოლში ნაკვეთის შოვნა უკვე პრობლემატურია, თუმცა რუსი საქმოსნები აფხაზეთის სხვა რაიონებზეც არ ამბობენ უარს. მაგალითად, 2005 წლის დასაწყისში ერთ-ერთმა რუსულმა ფირმამ (დარეგისტრირებულია სანკტ-პეტერბურგში) გაგრაში ადგილობრივი სომხებისგან (დაახლოებით 4-5 ოჯახისგან) სანატორიუმ "არმენია"-ს მახლობლად მიწის ნაკვეთები შეისყიდა. ამასთან, უკვე მეორე წელია, პანსიონატი "ჩელუსკინელები" 25-წლიანი იჯარით რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის სამინისტროს გადაეცა.

დაზუსტებით იმის თქმა, თუ რამდენი მილიონი რუსული რუბლი ჩაიდო აფხაზეთის ტურიზმში, დღეს ძალიან რთულია. თუმცა რუსი ბიზნესმენების გაცხოველებული ინტერესი აფხაზეთის საკურორტო ინდუსტრიის მიმართ უკანასკნელი წლების განმავლობაში იმის აშკარა დასტურია, რომ ამ სექტორში დიდი ფული კეთდება, თუმცა, როგორც ამბობენ, ამით ყველაზე ნაკლებად სწორედ აფხაზური მხარე ხეირობს.

და ბოლოს: თუ აფხაზურ ტურისტულ კომპანია "აკვა-აბაზას" ვენდობით, ზაფხულის სეზონისთვის მზადება დამსვენებლებმა ჯერ კიდევ 2005 წლის ბოლოს დაიწყეს. ადრიან დამსვენებლებს, ძირითადად, სკოლამდელი ასაკის ბავშვები და მათი მშობლები, და ასევე კორპორატიული კლიენტები წარმოადგენენ. იმავე "აკვა-აბაზას" ცნობით, ზოგიერთ პანსიონატში არსებული ადგილების ნახევარი უკვე გაყიდულია. აფხაზეთის ტურისტული ბაზრის მოთამაშეები 2006 წლის ზაფხულში დამსვენებელთა არარსებულ ბუმს ელიან.

# საწვავზე სამომხმარებლო ფასი კვლავ გაიზრდება

პირველი გვერდიდან

საქართველოში საწვავის და დიზელის იმპორტი საბერძნეთიდან, რუმინეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან ხორციელდება. ექსპერტები საქართველოს ბაზარზე საწვავის ფასის ცვლილებას მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების გაძვირებას უკავშირებენ. "ადგილობრივ ბაზარზე საწვავის გაძვირების ტენდენცია ოცი დღის წინ დაიწყო. ძირითადად, ევროპული საწვავი გაძვირდა, რადგან ევროპაში ერთი ტონა საწვავის ფასი 700 დოლარს გაუტოლდა. ამიტომ პრემიუმის, სუპერის, რეგულარის სახეობის ბენზინი და დიზელი, ძირითადად, იმ ბენზინგასამართ სადგურებზე გაძვირდა, რომელთა მფლობელებსაც საწვავი ევროპიდან შემოაქვთ," - განუცხადა "24 საათს" ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ხელმძღვანელმა ვანო მთვრალაშვილმა. სავაჭრო ქსელში 1 ლიტრი პრემიუმი 1 ლარი და 70 თეთრი ღირს. დიზელის საწვავი კი - 1 ლარი და 50 თეთრი. ევროპული საწვავის გაძვირების პარალელურად, ფასის მცირედი რყევა აზერბაიჯანულ საწვავზეც დაფიქსირდა. 1 ლიტრი აზერბაიჯანული რეგულარის ფასი 1 ლარი და 55 თეთრიდან 1 ლარსა და 60 თეთრამდე მერყეობს.

ნავთობპროდუქტების იმპორტის ბაზრის ხელახლა გადანაწილების შემდეგ, ამ სფეროს, ძირითადად, მსხვილი იმპორტიორები შემორჩნენ. დღეს საქართველოს ბაზარზე 50-მდე იმპორტიორია, თუმცა ამინდს მსხვილი კომპანიები "ლუკოილი", "კანარგო", "ოპტიუმი", "ქსანი", და "ეკო ჯორჯია" ქმნიან. ეს კომპანიები მხოლოდ იმპორტით არ არიან დაკავებულნი, მათ ქვეყნის მასშტაბით ბენზინგასამართი სადგურების კარგად გამართული ქსელიც გააჩნიათ. აქვთ რეზერვუარებიც, სადაც საწვავის აკუმულირება ხდება და მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასების ცვლილების შემთხვევაში, საქართველოში ფასის შენარჩუნება 10 დღის განმავლობაშია შესაძლებელი.

იმპორტირებული ბენზინის და დიზელის ძირითადი წილი საქართველოში მსხვილ კომპანიებს შემოაქვთ. "ლუკოილი", "კანარგო" და "ეკო ჯორჯია", ძირითადად, ევროპული საწვავით ვაჭრობენ, რაც შეეხება სხვა კომპანიებს, ისინი საწვავის იმპორტს აზერბაიჯანიდან ახორციელებენ. აზერბაიჯანი საქართველოს არასტანდარტულ საწვავს აწვდის, რომელშიც ბენზოლის შემცველობა 2,5 პროცენტია. ბაქო დაბალი ხარისხის საწვავს, მსოფლიო ფასებთან შედარებით, 12-პროცენტიანი ფასდაკლებით ყიდის. ამდენად, საქართველოს ბაზარი იაფი და უხარისხო საწვავით გაჯერებულია. ეს ტენდენცია 2006 წლის ბოლომდე შენარჩუნდება, რადგან იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებზე ახალი ევროსტანდარტის შემოღება, რომლის თანახმადაც საწვავში ბენზოლის შემცველობა 1 პროცენტია, გაურკვეველი დროით გადაიდო.

საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ინფორმაციით, საწვავზე ახალი სტანდრტის შემოღება აზერბაიჯანის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში გადაიარაღების პროცესის შეფერხების გამო შეჩერდა. მთვრალაშვილის განმარტებით, საწვავის იმპორტი, ძირითადად, ამ ქვეყნიდან ხორციელდება. აზერბაიჯანის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები ახალი სტანდარტის საწვავის წარმოებას მოძველებული ტექნიკური დანადგარებით ვერ ახერხებენ. ეს ქარხნები ამ ეტაპზე რეაბილიტაციის რეჟიმში მუშაობს. სარემონტო სამუშაოების დასრულების მიუხედავად, აზერბაიჯანულ საწვავში ბენზოლის შემცველობა არ შეცვლილა, ხოლო არომატული ნახშირწყლები სტანდარტს პასუხობს და ერთ ლიტრ საწვავში 42 ერთეულია.

საქართველოს ნავთობპროდუქტების იმპორტის ბაზარზე მომხდარი ცვლილებების შემდეგ, დიზელის და ბენზინის კონტრაბანდის წილი საგრძნობლად შემცირდა. ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი კონტრაბანდის შემცირების ტენდენციას იმპორტიორების გამსხვილებას და ხელისუფლების მიერ სანქციების გამკაცრებას უკავშირებს. ამ სფეროში ლეგალიზაცია მაინც მოხდა, თუმცა არცთუ შორეულ წარსულში იმპორტიორები კონტრაბანდის არსებობას მაღალ სატარიფო განაკვეთებს უკავშირებდნენ. თუმცა აქციზის გადასახადი ნავთობპროდუქტებზე არ შეცვლილა. 1 ტონა ბენზინზე აქციზი 250 ლარია, დიზელზე კი - 150 ლარი.

ნავთობპროდუქტების იმპორტის დეკლარირებული სტატისტიკური მონაცემებით, 2003 წელს საქართველოში 262 200 ტონა ბენზინი და 97 700 ტონა დიზელი განბაჟდა. 2004 წელს იმპორტირებული ბენზინის მაჩვენებელმა 321 959 ტონა, ხოლო დიზელისამ - 174 812 ტონა შეადგინა. 2005 წელს საქართველოში ლეგალურად იმპორტიორებმა 338 344 ტონა ბენზინი და 251 557 ტონა დიზელი შემოიტანეს. ამ მონაცემების თანახმად მკვეთრადაა გამოხატული იმპორტის მატებისა და ლეგალიზების ტენდენცია. 2003 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 2004 წელს ბენზინის იმპორტი 59 759 ტონით (18,5 პროცენტი), ხოლო დიზელის საწვავის იმპორტი კი უფრო მეტით, 77 112 ტონით (44,1 პროცენტი) გაიზარდა. რაც შეეხება 2005 წელს, ბენზინის იმპორტი გასულ წელთან შედარებით 16 385 ტონით, 5 პროცენტითაა გაზრდილი, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტი კი, შესაბამისად - 76 745 ტონით და 30 პროცენტით.

"ჩვენი გათვლებით, ქვეყანა ყოველთვიურად, სულ მცირე, 35 000 ტონა ბენზინის საწვავს მოიხმარს, შესაბამისად, წელიწადში ეს მაჩვენებელი 420 000 ტონას შეადგენს. რაც შეეხება დიზელის საწვავს, მოხმარება თვეში მინიმუმ 25 000 ათასი ტონაა, რაც წელიწადში 300 000 ტონას უტოლდება," - განაცხადა "24 საათთან" საუბარში ვანო მთვრალაშვილმა.

ექსპერტული გათვლებით, 2005 წელს კონტრაბანდამ ბენზინზე 82 000 ტონა ანუ 20 პროცენტი, ხოლო დიზელზე - 49 000 ტონა ანუ 15 პროცენტი შეადგინა.

### ახალი ტარიფი სემეკმა, შესაძლოა, დღეს დაამტკიცოს

დღეს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) ელექტროენერგიის ახალი სამომხმარებლო ტარიფების დამტკიცების საკითხის განხილვას ხვალ 10 საათზე დაიწყებს. შეგახსენებთ, რომ კომისია ელექტროენერგიის ტარიფს თბილისისა და რეგიონული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების სატარიფო განაცხადების საფუძველზე გადახედავს. წინასწარი ინფორმაციით, ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი თბილისში 1 კილოვატსაათ ელექტროენერგიაზე 12,18 თეთრიდან 15 თეთრამდე გაიზრდება, ხოლო რეგიონებში - 8,5 თეთრიდან 14 თეთრამდე.ასევე მოსალოდნელია დიფერენცირებული ტარიფის შემოღება, რომლის ოდენობა ელექტროენერგიის მოხმარების მაჩვენებელზე იქნება დამოკიდებული.საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის დღეს არსებული ტარიფი არ შეიცვლება, რადგან ძველ და ახალ ტარიფებს შორის განსხვავება ბიუჯეტიდან დაიფარება. ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის მომატება დღის წესრიგში რუსეთიდან საქართველოში მოწოდებული გაზის საფასურის გაზრდის შემდეგ დადგა, რადგან გაზის გაძვირებამ საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ელექტროენერგიის საფასურის ზრდა გამოიწვია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ღვინის მწარმოებლებმა მომუშავე პერსონალი შეამცირეს

ქართველმა ღვინის მწარმოებლებმა რუსეთის ბაზრის ჩაკეტვის შემდეგ ქარხნებში, პროდუქციის წარმოებასთან ერთად, მომუშავე პერსონალიც შეამცირეს. როგორც "ჯი-ეიჩ-ენი"-სთვის გახდა ცნობილი, ღვინის კომპანია "თელავის ღვინის მარანმა" საწარმოში მომუშავეების 15-20 პროცენტი შეამცირა, ხოლო დანარჩენ მუშახელს 50 პროცენტით ხელფასები შეუმცირდა. ანალოგიური ცვლილებები "თბილღვინომ", "შუმმა" და ღვინის სხვა კომპანიებმა განახორციელეს. მწარმოებლები კომპანიებში მომუშავე პერსონალის შემცირებას რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ჩაკეტვით ხსნიან. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თუ რუსული ბაზრის შესაბამისი რამდენიმე ალტერნატიული ბაზარი არ მოიძებნა, შესაძლებელია, ღვინის კომპანიებს კიდევ მოუხდეთ მომუშავე პერსონალის შემცირება, რაც ასეულობით ადამიანს მძიმე სოციალურ-მატერიალურ პრობლემებს შეუქმნის. **ჯი-ეიჩ-ენი**

### პრივატიზაციიდან ბიუჯეტში 4 მილიონი ლარი შევა

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ხვალიდან კიდევ რვა ობიექტის პრივატიზაციის მიზნით იწყებს განაცხადების მიღებას. იყიდება შპს "ინფორმატიზაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი", რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 500 000 დოლარია. ობიექტი წერეთლის N130-ში მდებარეობს. შპს "ქვანტის" საწყისი გასაყიდი ფასი კი 800 000 დოლარს შეადგენს. ობიექტი თბილისში ჯავახეთის ქ.N68-ში მდებარეობს. მისი საქმიანობის სფეროა ელექტრონული ტექნიკის წარმოება, ფართო მოხმარების საგნების წარმოება, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო და კერძო პირებთან სამუშაოების შესრულებაზე და მომსახურებაზე. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქ.N48-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი და მიწის ფართობი 50 000 დოლარად იყიდება. გარდაბნის რაიონში, სოფელ კოჯორში მდებარე შს სამინისტროს კუთვნილი პირველი და მეორე კორპუსი 50 000 დოლარად არის შეფასებული. ახალციხის რაიონში, სოფელ სხვილისში განთავსებული ძაღლთსაშენი მეურნეობა 150 000 დოლარად იყიდება. ის მოიცავს 4 360 კვ.მ შენობა-ნაგებობებს და 23 000 კვ.მ მიწის ფართს. იყიდება თბილისში ჭიჭინაძისქN6-ში მდებარე სს"ქართული პურის" N9 მექანიკური საცხობი, რომლის საწყისი ფასი 50 000 დოლარია, თბილისში მინდელის ქუჩაზე განთავსებული N2, N3, N4, N5 შენობები და მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი კი 250 000 დოლარია. 35 000 დოლარად არის შეფასებული დუშეთის რაიონში ბაზალეთის ტერიტორიაზე განთავსებული ყოფილი დასასვენებელი ბაზა და მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ ობიექტებს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აუქციონზე 9 ივნისს 18 საათზე გაიტანს. აღნიშნული ობიექტების პრივატიზაციიდან სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტში 2 მილიონ დოლარამდე თანხის მობილიზებას გეგმავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ევროპა ეკონომიკური ზრდის პროგნოზებზე საუბრობს



*ხოაკიმ ალმუნია*

ევროკომისია 2006 წლის ეკონომიკური მაჩვენებელის გაზრდაზე საუბრობს. მათი პროგნოზი ევროკავშირის შემადგენლობაში მყოფ 25 წევრსახელმწიფოს უკავშირდება.

ევროკომისარმა ეკონომიკის დარგში, ხოაკიმ ალმუნიამ, ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ევროკავშირის ეკონომიკური მაჩვენებელი 2,3%-ით გაიზრდება. ხოლო იმ ქვეყნებში, რომლებიც ერთიან ევროპულ ვალუტაზე სულ ახლახანს გადავიდნენ, ეკონომიკა 2,1%-ით გაიზრდება.

ევროკომისარი პროგნოზული მაჩვენებლის ზრდას, ძირითად შემთხვევებში, ინვესტიციების ზრდასა და გერმანიაში ფინანსურ-ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებას უკავშირებს. გერმანია, ბოლო სამი წლის მანძლიზე, ეროვნული ბიუჯეტის დიდ დეფიციტს განიცდიდა.

ამის გარდა, ევროკომისარი აცხადებს, რომ 2006-2007 წლებში ევროკავშირი მოსახლეობას 3,5 მილიონი ახალი სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს. ეს გარემოება ევროკავშირის ქვეყნებში უმუშევართა რიცხვს 9%-ით შეამცირებს. უნდა აღინიშნოს, რომ 2004-2005 წლებში ევროკავშირის ქვეყნებში დაახლოებით 3 მილიონი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

ევროკომისიის თქმით, ინფლაციის საშიშროება ევროკავშირის ქვეყნებს არ ემუქრებათ. ამ მხრივ სიტუაცია სტაბილურია. "ერთადერთი, რამაც შესაძლოა, ევროკავშირის ეკონომიკურ ზრდაზე მეტ-ნაკლებად უარყოფითი გავლენა იქონიოს, ეს ნავთობის გაძვირებაა"- განაცხადა ხოაკიმ ალმუნიამ.

## ამერიკა რუსეთის წინააღმდეგ

ვიდეო და მუსიკალური პროდუქციის, პროგრამული უზრონველყოფისა და სამედიცინო პრეპარატების მწარმოებელმა ამერიკულმა ასოციაციამ ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციას რუსეთის წინააღმდეგ ზომების მიღების თხოვნით მიმართა. კომისია შეერთებული შტატების პირველი პირისგან რუსეთის საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში მიღების საკითხის შესწავლას მოითხოვს. კომისია რუსეთს ფალსიფიკაციასა და მეკობრეობაში ადანაშაულებს. ამ ბიზნეს-დაჯგუფებების წარმომადგენლები ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობისგან საერთაშორისო კანონმდებლობისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას მოითხოვენ. ამ კუთხით, ბიზნესმენთა და ამერიკელ მაღალჩინოსანთა შორის სპეციალური მოლაპარაკებები უკვე დაიწყო. რუსულმა მხარემ, პირველ რიგში იმ ქარხნების ლიკვიდაცია უნდა მოახდინოს, სადაც ფალსიფიცირებული პროდუქცია მზადდება.

ცნობილია, რომ რუსეთი, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას ათი წელია ცდილობს. ხელისუფლების გათვლებით, აღნიშნულ ორგანიზაციაში შესვლა რუსეთის ეკონომიკას მოგების სახით, 10 მილიარდ დოლარს მოუტანს. ამერიკის სავაჭრო პროგრამაში ცენტრალური ადგილი სწორედ, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვას უჭირავს, რის გამოც ამერიკა ის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც რუსეთის საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის საკითხს ასეთ სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს. აღსანიშნავია, რომ ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოებაში რუსეთთან ერთად ჩინეთიც დიდ როლს თამაშობს.

"ჩვენ რუსულ მხარეს არაერთხელ და კატეგორიულად მოვთხოვეთ, მიეღოთ გარკვეული ზომები და აღეკვეთათ მეკობრეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში ვერ შეაღწევენ" - აცხადებს შეერთებული შტატების სავაჭრო საკითხების პრესმდივანი.

# 14 მილიონი PASSAT VOLKSWAGEN-ისგან

გერმანულმა საავტომობილო კონცერნმა Volksvagen-მა 14-მემილიონე ეგზემპლარის, VWPassat-ის პრეზენტაცია მოაწყო. ახალი საიუბილეო ავტომობილი ქალაქ ემდენის VW ქარხანამ გამოუშვა. Volksvwagen-ის ახალი მოდელის წარმოების ლიცენზია, ამ ეტაპზე, მსოფლიოს მასშტაბით მხოლოდ ოთხ ქვეყანსა აქვს. ეს ქარხნები დღეში 2900 ცალ ავტომობილს გამოუშვებენ. VW Passat-ის პირველი ავტომობილი 1973 წელს გამოვიდა. ეს მოდელი vW411\412-ავტომობილის განახლებულ ვერსიას წარმოადგენდა და Audi 80-ის პლატფორმაზე იყო დაფუძნებული. Passat-ის პირველი თაობის ავტომობილები, მხოლოდ კუპე, სედანისა და უნივერსალის სახით გამოდიოდა. ამ მოდელების გარეგნულ იერსახეზე იტალიური სტუდია მუშაობდა. ამის შემდეგ, VW Passat ერთ-ერთ ბესტსელერ გერმანულ მარკად ითვლება. გაყიდვის თვალსაზრისით, ის მხოლოდ VW Golf-ს ჩამორჩება. დღესდღეობით, Volkswagen Passat-ის უკვე მეექვსე თაობაზე მუშაობენ. გასულ წელს, ამ გერმანულმა საავტომობილო კონცერნმა 600 ათასზე მეტი ავტომობილი გაყიდა.



# სიახლე ბილ გეიტსის შემოქმედებაში

კომპანია Microsoft-ის მფლობელმა კომპანიის მიერ ახალი სათამაშო ქსელის შექმნის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. სიახლე, სათამაშო ვიდეომაგნიტოფონის მფლობელებსა და პერსონალური კომპიუტერის მომხმარებლებს ქსელურ თამაშებში უპრობლემოდ ჩართვისა და თამაშის საშუალებას მისცემს.

ახალ სისტემას, რომელიც xbox360-ის და კომპიუტერებს Windows Vista-ოპერაციული სისტემის მეშვეობით გააერთიანებს Live Anywhere-ს დაარქმევენ. Windows Vista-ოპერაციული სისტემა ჯერ დამუშავების პერიოდშია. ეს სისტემა მხოლოდ Microsoft-ის მიერ წარმოებული ვიდეო-მაგნიტოფონის მფლობელებისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

კომპიუტერული კონცერნის საერთო ქსელში გაერთიანებასთან ერთად, ბილ გეიტსი კიდევ ერთი ახალი ტექნოლოგიის შემუშავებაზე საუბრობს. Microsoft OC-ის სისტემაში მომუშავე მობილური ტელეფონის მომხმარებლებს კომპიუტერის მიმხმარაბლებთან ერთად ქსელურ ბატალიებში მონაწილეობის საშუალებას მიეცემათ.




ახალი სერვისის პრეზენტაციის ჩარჩოებში, კომპანია Microsoft-ის ხელმძღვანელობამ პერსონალური კომპიუტერების მფლობელებსა და Xbox360-ის მომხმარებელთა შორის ქსელური თამაშების საჩვენებელი სეანსიც ჩაატარეს.

სერვისი Xbox Live! ონლაინ-მომსახურების პაკეტში შედის. მასზე ხელი Xbox-ისა და Xbox360-ის ვიდეო-მაგნიტოფონის მფლობელებს მიუწვდებათ. ახალი სერვისი მოთამაშეებს ახალი და განსხვავებული თამაშებში ჩართვას სთავაზობს. ასევე წარმართავს აუდიუკონფერენციებს, რატა მომხმარებელი მუსიკასა და ვიდეო-მასალაზე უპრობლემოდ "გადახტეს".

# ჩინეთი ქარის ენერგიას ათვინიერებს

ჩინეთის სწრაფად მზარდი ეკონომიკა ენერგორესურესებს გაზრდილი ოდენობით მოიხმარს. მაგრამ დღეისათვის, ქვეყანაში გამომუშავებული ელექტროენერგიის უმეტეს ნაწილს (დაახლოებით 76 პროცენტს) ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურები გამოიმუშავებს.

ახლახან ჩინეთის ენერგეტიკოსებმა შეიმუშავეს ქვეყნის განახლებადი ენერგიის პროგრამა, რომელიც მომდევნო ორი-სამი დეკადის განმავლობაში, სანაპირო ზოლის გასწვრივ, 30 მილის (დაახლოებით 48 კილომეტრი) სიღრმეში ქარის გიგანტური ელექტროსადგურების ქსელის აგებას ითვალისწინებს.

ზღვის სიღრმეში ქარის ელექტროწისქვილების აგებას რამდენიმე მხრივ აქვს უპირატესობა. ჯერ ერთი, ზღვაში ქარი უფრო მძლავრად და ხშირად უბერავს. მეორეც, ეს სადგურები არ დაიკავებს ხმელეთის ტერიტორიას, რაც ჩინეთში ძვირად ფასობს. მესამეც, ქარის ენერგია სუფთაა და ჩინეთის ისედაც დაბინძურებულ ჰაერს ზიანს არ მიაყენებს.

ჩინეთის ქარის ენერგიის ასოციაციის ვიცე-ალმასრულებელი ში პენფეი აცხადებს, რომ 20-30 წლის შემდეგ ჩინეთის ქარის ელექტროსადგურების ენერგიის დიდ ნაწილს სწორედ ზღვაში მდგარი ქარის წისქვილები გამოიმუშავებს.

ჩინეთის სახელმწიფო დაგეგმარების დეპარტამენტის შეფი მა კაი ამბობს, რომ ქვეყნის ენერგეტიკის პრიორიტეტი ბირთვული, ჰიდრო და ქარის ელექტროსადგურების მშენებლობაა. ის დასძენს, რომ აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ ქარის ელექტროსადგურების აშენებით შესაძლებელია 750 გიგავატი ელექტროენერგიის გამომუშავება. ეს კი დაახლოებით 70 პროცენტით მეტია იმ სიმძლავრეზე, რომელიც მთელმა ჩინეთმა 2004 წელს გამოიმუშავა. ამასთან, ის დაახლოებით სამჯერ მეტია იმ ენერგიაზე, რომლის გამომუშავებაც შესაძლებელია ხმელეთზე განლაგებული ქარის ელექტროსადგურებით.



ში პენფეი აცხადებს, რომ 2020 წლისთვის ქვეყანა ქარის ელექტროსადგურებით დაახლოებით 20 გიგავატი ელექტროენერგიის გამოიმუშავებას შეძლებს, ეს კი იმ დროისთვის ქვეყნის ელექტროსადგრების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის დაახლოებით ერთი პროცენტი იქნება.

ქარის ელექტროსადგურების ქსელის გაფართოებას ამ ეტაპზე ხელს უშლის ამგვარი სადგურების მიერ გამომუშავებული ენერგიის სიძვირე. მაგალითად, 100 მეგავატი სიმძლავრის მქონე სადგურის მიერ გამომუშავებული ენერგია დაახლოებით ორჯერ ძვირია ქვანახშირით მიღებულ ელექტროენერგიაზე. ამასთან, ქარის ელექტროსადგურებისთვის საჭირო მოწყობილობათა დაახლოებით 4/5 იმპორტირებულია.

ში პენფეი იმედოვნებს, რომ როცა ჩინეთის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე 3000 მეგავატს მიაღწევს, იმ დროისთვის ქარის სადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგიის ფასი ქვანახშირით გამომუშავებულისას გაუტოლდება. ამასთან, ჩინეთის გეგმებში 2010 წლისთვის 4000 მეგავატი ელექტროენერგიის გამომუშავება შედის. ქარის ელექტროენერგიის გამომუშავებაში ევროპელი ლიდერების, გერმანიისა და ესპანეთისგან განსხვავებით, ჩინეთი კიოტოს შეთანხმებით (ის ითვალისწინებს მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების მიერ ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გამოყოფის შემცირებას) არაა შეზღუდული, მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობა მაინც ზრუნავს იმაზე, რომ შემცირდეს ატმოსფეროში გამონაბოლქვი აირების გამოყოფა. ამის მიზეზია თუნდაც ის ფაქტი, რომ ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით მესამედს მჟავიანი წვიმები "ნამავს".

## აშშ-ს ბირჟაზე კლებაა

ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ამის ძირითადი მიზეზი ფედერალური სერეზერვო ფონდის მიერ ძირითადი განაკვეთის 5 პროცენტამდე გაზრდის შესახებ ექსპერტთა მიერ გამოთქმული ვარაუდი გახლდათ. გარდა ამისა, ინვესტორთა განწყობაზე გავლენა მოახდინა ნავთობის გაძვირებამაც.







საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 0,07 პროცენტით, 11.632,01 პუნქტამდე მოიკლო. 0,24 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.332,63 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-ი 0,1 პროცენტით, 1.323,78 პუნქტამდე შემცირდა.

## ნავთობი კვლავ გაძვირდა

გუშინ მსოფლიოს წამყვან, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე სანავთობე ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობის ფასმა 71,08 დოლარს მიაღწია, 1 ბარელი Light-ის მარკის ნავთობი კი 70,69 დოლარი ღირდა.

ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმად ნეჟადის მიერ აშშ-ს ლიდერის ჯორჯ ბუშისადმი გაგზავნილი წერილისაგან გამოწვეული მცირედი ოპტიმიზმი მას შემდეგ გაიფანტა, რაც ამერიკის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ წერილში "ფილოსოფიური მსჯელობის" გარდა, არანაირი კონკრეტული წინადადება არ იყო. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები აშშ-ში ბენზინის მარაგის რაოდენობის ზრდას ისევ წინასწარმეტყველებენ, ფასებმა კვლავ მოიმატა.

საუდის არაბეთის ნავთობის მინისტრმა ალი ალ ნაიმმა კი განაცხადა, რომ ნავთობის ბაზარზე ფასების სტაბილიზაციას 2010 წლამდე არ უნდა ველოდოთ. მინისტრის თქმით, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ნავთობრესურსების უკმარისობის პრობლემა ფასების განმსაზღვრელ მთავარ კრიტერიუმად დარჩება. ამასთან, ალ ნაიმმა აღნიშნა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, საუდის არაბეთი ნავთობის მოპოვებას გაზრდის.

## ძვირფასი ლითონების ფასის ახალი რეკორდი

ნიუ იორკის სავაჭრო ბირჟაზე ოქროს ფასმა ბოლო 26 წლის განმავლობაში მაქსიმალურ მაჩვენებელს მიაღწია. გუშინდელი ვაჭრობისას 1 ტროიანული უნცია (31,1035 გრამი) ოქროს ღირებულებამ 702,9 დოლარი შეადგინა. სულ, ბოლო 6 თვის განმავლობაში ოქროს ფასი 40 პროცენტით გაიზარდა.

პლატინის ღირებულებამ კი ყველა დროის აბსოლუტურ სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია. კერძოდ, 1 უნცია პლატინა 1244,5 დოლარი ღირდა. ფასთა შედარებით მცირე ზრდა დაფიქსირდა ვერცხლსა და პალადიუმზე.

ანალიტიკოსთა აზრით, ძვირფას ლითონებზე ფასების უნიკალური ზრდა ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ შექმნილ გეოპოლიტიკურ ვითარებას უკავშირდება. ინვესტორები დოლარის კურსის ვარდნის ფონზე მისი ინვესტირების ახალ წყაროს ეძებენ. ოქროს შეძენით ისინი დოლარის კურსის შემდგომი შემცირებისა და ნავთობის გაძვირებისაგან თავს იზღვევენ.

## ჩინეთის ეკონომიკა ზრდას განაგრძობს

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, მიმდინარე წლის განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკა 9,5 პროცენტით გაიზრდება. ადრე ექსპერტები 9,2-პროცენტიან ზრდას ვარაუდობდნენ, მაგრამ მაჩვენებელი წლის დასაწყისში დაფიქსირებული მძლავრი ზრდის შემდეგ შეცვალეს.

2005 წლის განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკა 9,9 პროცენტით გაიზარდა, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი 10,2-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. ჩინეთის სახელმწიფო საინფორმაციო ცენტრის ცნობით, მეორე კვარტალში ეკონომიკის ზრდა ცოტათი, 9,8 პროცენტამდე შემცირდა. ამასთან, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მეორე კვარტალში სამომხმარებლო ფასები 1,5 პროცენტით გაიზრდება.

## Toyota-ს მოგებამ 12 მილიარდს გადააჭარბა

2005-2006 ფინანსურ წელს, რომელიც 31 მარტს დასრულდა, იაპონური ავტომშენებელი კომპანია Toyota Motor Corp-ის სუფთა მოგებამ 1,37 ტრილიონ იენს (12,16 მილიარდი დოლარი) მიაღწია, რაც 2004-2005 ფინანსური წლის მაჩვენებელთან შედარებით 17,1 პროცენტით მეტია.

ამასთან, 2005-2006 ფინანსურ წელს კომპანიის გაყიდვების მოცულობა 13,4 პროცენტით, 21,04 ტრილიონ იენამდე (186,82 მილიარდი დოლარი) გაიზარდა. ხოლო საოპერაციო შემოსავალმა 1,88 ტრილიონ იენს (16,69 მილიარდი დოლარი) მიაღწია, რაც წინა ფინანსური წლის მაჩვენებელთან შედარებით 12,3 პროცენტით მეტია.

რაც შეეხება 2005-2006 ფინანსური წლის მეოთხე კვარტალს, ამ პერიოდში Toyota Motor Corp-ის სუფთა მოგება ერთი წლის წინანდელთან შედარებით 39 პროცენტით, 404 მილიარდ იენამდე (3,59 მილიარდი დოლარი) გაიზარდა, გაყიდვების მოცულობამ 17,8 პროცენტით, 5,75 ტრილიონ იენამდე (51,06 მილიარდი დოლარი) მოიმატა, საოპერაციო შემოსავალი კი 53,2 პროცენტით, 587 მილიარდ იენამდე (5,21 მილიარდი დოლარი) გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის მარტში იაპონური კორპორაციის საბაზრო ღირებულებამ 200 მილიარდ დოლარს მიაღწია. ექსპერტთა აზრით, იაპონური ავტოკონცერნით ინვესტორთა დაინტერესება განპირობებულია ახალი პროექტების გამოკვლევებსა და ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ახალი ქარხნების მშენებლობაზე გაღებული სარეკორდო თანხებით (12 მილიარდი დოლარი).

ექსპერტთა ვარაუდით, მიმდინარე წელს Toyota Motor Corp-ის გაყიდვების მოცულობა 9 პროცენტით, 8,85 მილიონ ავტომობილამდე გაიზრდება. ისინი მიიჩნევენ, რომ ამ მაჩვენებლით იაპონური ავტოკონცერნი მომავალ წელს უკან ჩამოიტოვებს მსოფლიოს ლიდერ ავტოკონცერნ General Motors-ს, რომელსაც, კარგა ხანია, ფინანსური პრობლემები აქვს. ხოლო Toyota Motor Corp-ის წარმომადგენლის განცხადებით, იაპონურ ავტოკონცერნს 2010 წელს 10,3 მილიონი ავტომობილის გაყიდვა აქვს დაგეგმილი.

## პირველი ქართულ-ესტონური ბიზნესფორუმი

საქართველოსა და ესტონეთის პირველი ბიზნესფორუმი გუშინ სასტუმრო "თბილისი მარიოტში" ესტონეთის პრეზიდენტმა არნოლდ რუუტელმა გახსნა.ფორუმს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო. ბიზნესფორუმის დასაწყისში ესტონეთის პრეზიდენტს დაბადების დღე მიულოცეს, იგი დღეს 78 წლის გახდა.როგორც ესტონეთის პრეზიდენტმა არნოლდ რუუტელმა თავის სიტყვაში აღნიშნა, ესტონეთი სერიოზულად არის დაინტერესებული საქართველოსთან თანამშრომლობით და მისი სახელმწიფოებრივი განვითარებით.

რუუტელის განცხადებით, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ კუთხით საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, რაც ინვესტორთა დაცვას და იმპორტ-ექსპორტის ორმაგი დაბეგვრისგან გათავისუფლებას ითვალისწინებს.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს შორის მჭიდრო ურთიერთობები არსებობს, ესტონეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური კავშირები მაინც უმნიშვნელოა. მისი მონაცემებით, გასულ წელს ქვეყნებს შორის ტვირთბრუნვამ 3 მილიონ ევროზე ნაკლები შეადგინა.

მისი თქმით, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით, ორ ქვეყანას შორის ხელმოსაწერად მზადდება ხელშეკრულებები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და ინვესტიციების დაცვის შესახებ. მისი თქმით, ესტონეთის ეკონომიკა და პოლიტიკაში რადიკალური რეფორმები ჯერ კიდევ 15 წლის წინ განხორციელდა, რამაც შედეგად ესტონეთს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ეკონომიკა მისცა. 2005 წელს ესტონეთში საშუალო ხელფასი 514 ევროს შეადგენდა.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტის ჯემალ ინაიშვილის განცხადებით, საქართველო დაინტერესებულია ესტონეთიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტით. მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს შეუძლია, ესტონეთს მაღალი ხარისხის ღვინო შესთავაზოს.მისივე თქმით, საქართველოში უცხოური ინვესტიციებისათვის მიმზიდველი კლიმატია შექმნილი და ხელსაყრელი საკანონმდებლო ბაზაა ჩამოყალიბებული. ფორუმზე სიტყვით გამოვიდა ასევე ეკონომიკის მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე, რომელმაც მოუწოდა ესტონელ ბიზნესმენებს, ინვესტიციები ჩადონ საქართველოში, კერძოდ, ენერგეტიკის სექტორში.მინისტრმა ესტონელ მხარეს სადისტრიბუციო და გენერაციის ობიექტების პრივატიზებაში მონაწილეობის მიღება შესთავაზა. ბიზნესფორუმში 18 ესტონელი და 30-მდე ქართველი ბიზნესმენი მონაწილეობდა. ბიზნესფორუმი უკვე დასრულდა და ამ დროისთვის ბიზნესმენების პირისპირ შეხვედრები მიმდინარეობს. **ინტერპრესნიუსი**

## რომან გოცირიძე ბანკებზე კონტროლის შესუსტებას არ დაუშვებს

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ეწინააღმდეგება. გოცირიძის თქმით, ცვლილებების განხორციელება საბანკო სისტემაზე კონტროლის შესუსტებას გამოიწვევს. "საბანკო სისტემის მარეგულირებელ კანონმდებლობაში მომზადებულ ცვლილებებს არ ვეთანხმებით. ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირება აუცილებელია, ცვლილებები კი ამ ლიცენზიების გაუქმებას ითვალისწინებს. ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში ჩვენ 90-იან წლებში დავბრუნდებით. ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს მინიმალური მოთხოვნები აქვთ და მათი შესრულება არც ისე რთულია. ძირითადად, ეს სისტემა კონტროლის სფეროშია მოქცეული. ასევე, მიუღებელია ჩვენთვის ცვლილება, რომლის მიხედვითაც აღარ იქნება საჭირო ეროვნული ბანკის თანხმობა კომერციულ ბანკში 10 პროცენტზე და მეტი წილის შესყიდვისას. ბანკის ქონის უფლება ყველას არ უნდა ჰქონდეს. სხვისი ფულის მართვის პულტთან ყველა არ უნდა მივუშვათ. ცვლილებების ეს პროექტი საერთაშორისო სტანდარტებთან წინააღმდეგობაში მოდის. თუმცა პროექტთან დაკავშირებით კომპრომისიც შესაძლებელია მოინახოს," - განაცხადა გოცირიძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქვეყნის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი 2005 წელს დადებითად აფასებს

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი 2005 წელს ეროვნული ბანკის მიერ გაწეულ მუშაობას წარმატებულად აფასებს. "2005 წელს ეროვნულმა ბანკმა თავისი საქმიანობის მთავარ ამოცანას - ფასების სტაბილურობის შენარჩუნებას წარმატებით გაართვა თავი. ინფლაციის მაჩვენებელი ნორმის ფარგლებში იყო, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი კი - მყარი," - განაცხადა გოცირიძემ. მისი თქმით, 2005 წელი წარმატებული იყო საქართველოს საბანკო სისტემისთვისაც, რაც საბანკო აქტივების უპრეცედენტო ზრდაში გამოიხატა. "2005 წელს საბანკო აქტივების მთლიანი მოცულობა 50 პროცენტით გაიზარდა. 83 პროცენტით გაიზარდა კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები. საგულისხმოა ის, რომ 2004 წელთან შედარებით, 200 პროცენტითაა გაზრდილი ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები," - განაცხადა გოცირიძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 11/05 | 12/05 | 13/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 20 | 18 | 20 |
| რიგა | 19 | 21 | 16 |
| ვილნიუსი | 18 | 18 | 18 |
| მოსკოვი | 15 | 20 | 21 |
| მინსკი | 20 | 20 | 20 |
| პარიზი | 21 | 22 | 18 |
| რომი | 21 | 25 | 23 |
| ლონდონი | 21 | 23 | 20 |
| მადრიდი | 25 | 27 | 27 |
| ბონი | 23 | 25 | 20 |
| ვარშავა | 22 | 21 | 22 |
| ათენა | 23 | 26 | 26 |
| ბერნი | 23 | 21 | 18 |
| ამსტერდამი | 20 | 22 | 19 |
| ოსლო | 20 | 17 | 16 |
| ანკარა | 27 | 22 | 22 |
| ვარნა | 21 | 22 | 25 |
| დელი | 48 | 48 | 48 |
| ტოკიო | 22 | 21 | 20 |
| კოპენჰაგენი | 18 | 15 | 18 |
| ბაქო | 26 | 28 | 30 |
| ერევანი | 31 | 31 | 32 |
| ასტანა | 19 | 20 | 18 |
| ჰელსინკი | 14 | 11 | 8 |
| დუბლინი | 14 | 15 | 11 |
| ლისაბონი | 24 | 24 | 23 |
| პრაღა | 21 | 22 | 21 |
| სოფია | 21 | 22 | 25 |
| ბუდაპეშტი | 21 | 26 | 25 |
| ბუხარესტი | 20 | 23 | 26 |

# სოფლის მეურნეობა

### რატომ ცხოვრობს ქართველი გლეხების უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე

თეიმურაზ ღოღობერიძე

დასასრული, დასაწყისი № 98, 99, 100, 101

ლიტვის სოფლის მეურნეობის პრობლემების განხილვისას აღვნიშნეთ, რომ ამ ქვეყნებში გამოკვეთილი პრობლემების უმეტესობა კიდევ უფრო აქტუალურია საქართველოსთვის: (ა) ფერმების უაღრესად მცირე ზომები პრინციპულად შეუძლებელს ხდის საქართველოში კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის განვითარებას; (ბ) შემოსავლის ალტერნატიული წყაროების არარსებობა და მიწის ბაზრის არასაკმარისი განვითარება ხელს უშლის ფერმების გამსხვილების პროცესს; (გ) აგრარული ტექნოლოგიები და ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც ჩვენს ფერმებში გამოიყენება, უმეტესად XIX საუკუნისაა, რაც ერთის მხრივ, დიდი შრომითი დანახარჯებს გამო, მოსახლეობის დასაქმებულობის ილუზიას ქმნის, ხოლო მეორეს მხრივ, პროდუქციის თვითღირებულებას ზრდის. ხშირ შემთხვევაში ქართველი გლეხები აგრარული პროდუქციის წარმოების თანამედროვე მეთოდების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ; (დ) უმუშევრობის მაღალ დონესთან ერთად, რურალურ რეგიონებში ცუდად განვითარებული ფიზიკური ინფრასტრუქტურა მოსახლეობის ურბანულ რეგიონებში მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია; (ე) ქართველი გლეხების მოუმზადებლობა თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებისთვის - ჩვენი გლეხები თანამედროვე ეკონომიკურ მექანიზმებში, როგორც წესი, ძალიან ცუდად ერკვევიან. მათ უმეტესობას არ შეუძლია საგრანტო განაცხადის ან ბიზნესგეგმის შედგენა, ან თუნდაც საკუთარი ფერმერული მეურნეობის რენტაბელობის დათვლა. ამ კონტექსტში მახსენდება გერმანელი აგრალური ექსპერტების მიერ ნასწავლები განსხვავება ფერმერსა და გლეხს შორის: ფერმერად ითვლება ის, ვინც წინასწარ ითვლის შესაძლო მოგებას ატმის, კომბოსტოს ან საზამთროს წარმოებიდან და არჩევანს ერთ-ერთის სასარგებლოდ აკეთებს, ხოლო გლეხს ეს ყველაფერი ერთად მოჰყავს და ამას კიდევ 20 ქათამს, 2 ბატს და ერთ ძროხას უმატებს. ამ კრიტერიუმით, ჩვენთან რამდენიმე ასეული ფერმერი თუ მოინახება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პრობლემების გადასაჭრელად, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ხელისუფლების და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საზოგადოების მიერ ორი თეზისის გააზრება: პირველი და ძირითადი ის არის, რომ არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა სახელმწიფოს გააზრებული, დაბალანსებული და გეგმაზომიერი მოქმედება. ამ კონტექსტში მიმზიდველი ჩანს, ლიტვის მსგავსად, რურალური და აგრარული განვითარების გრძელვადიანი და, ამასთანავე, მაქსიმალურად კონკრეტული გეგმის შემუშავება. მეორე, საჭიროა იმის გააზრება, რომ ჩვენი აგრარული პრობლემების მოგვარება შეუძლებელია "მუქთად", და როგორც ლიტვის გამოცდილება გვიჩვენებს, მნიშვნელოვანი წინსვლის მისაღწევად საჭიროა ძალიან დიდი სახსრები. შეგახსენებთ, რომ ლიტვის წლიური აგრარული ბიუჯეტი (178 მლნ ევრო) ნატო-სთან უსწრაფეს ინტეგრაციაზე ორიენტირებული საქართველოს სამხედრო ბიუჯეტის ტოლია. ვინაიდან ასეთი სახსრების მოძიება ჩვენნაირი ღარიბი ქვეყნისთვის ობიექტურად არ არის ადვილი, ამ მიმართულებით სასურველია ევროკავშირთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა.

რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარების კონკრეტულ გზებსა და მექანიზმებს, ისინი, ჩვენი აზრით, ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. **რურალურ რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება**. ამ მხრივ, მთავრობამ უკვე გადადგა რეალური ნაბიჯები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა რურალური რეგიონების ელექტროენერგიით მომარაგება. გარდა ამისა, გზების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში 2-3 წელიწადში იგეგმება შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. ეს ღონისძიებები უაღრესად მნიშვნელოვანი და მისასალმებელია, თუმცა ამ მიმართულებით კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საკმარისია აღინიშნოს, რომ რურალურ რეგიონებში 100 მოსახლეზე ტელეფონების რაოდენობით საქართველოს ევროპაში ბოლო ადგილი უკავია (4 ტელეფონი 100 მოსახლეზე) და ამ მაჩვენებლით საქართველო ლიტვას 3,5-ჯერ ჩამორჩება. ასევე საკმაოდ მძიმე პრობლემებია ტელეკომუნიკაციების სფეროში. ამ პრობლემების მოგვარებისას, შესაძლოა, აზრი ჰქონდეს შედარებით მცირემასშტაბიან პროექტებში, ლიტვის მსგავსად, თავად რურალური რეგიონების მცხოვრებთა ინიციატივის წახალისებას პატარა გრანტების სახით. სწორი ორგანიზების შემთხვევაში, ასეთმა ღონისძიებებმა, ერთის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო დანახარჯების შემცირება, ხოლო მეორეს მხრივ, ხელი შეუწყოს რურალური რეგიონების მცხოვრებთა აქტიურ ჩართვას მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში.

2. **ფერმერების ტრენინგი და საინფორმაციო უზრუნველყოფის გაუმჯობესება**. საჭიროა ჩვენი ფერმერების ტრენინგი ბიზნესის წარმოების თანამედროვე მეთოდების დაუფლების მიზნით. აქ იგულისხმება როგორც მათ მიერ აგრარული პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება, ასევე თანამედროვე ბიზნესის წარმოებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების დაუფლება, როგორიცაა ბიზნეს-გეგმისა და საგრანტო განაცხადის შედგენა, წარმოების რენტაბელობის გათვლა და ა. შ.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით პერსპექტიული ჩანს დასავლეთის ქვეყნებთან ორმხრივი პროგრამების განვითარება. მაგალითად, ლიტვაში მეთევზეობის სწრაფ განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა დანიურ-ლიტვურმა ერთობლივმა პროგრამამ, რომლის ფარგლებშიც მეთევზეობის დანიელი ექსპერტები რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდნენ ლიტვაში. ასეთი ურთიერთობებით ორივე მხარე მოგებული დარჩა: ლიტველებმა დროის მოკლე ვადებში მოახერხეს პერსპექტიული დარგის განვითარება, ხოლო დანიელებმა თავისი (მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი) მეთევზეობის პროდუქციის მწარმოებელი და გადამამუშავებელი მრეწველობისთვის შექმნეს კარგი საინვესტიციო გარემო. აქვე შესაძლოა განვიხილოთ, ლიტვის მსგავსად, რურალურ რეგიონებში ფერმერების მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ცენტრების შექმნა. ამ შემთხვევაში ძალიან კარგი მენეჯმენტი იქნება საჭირო, რადგან არსებობს დიდი რისკი, რომ საქართველოს რეალობებში ასეთი აქტივობა ფორმალურ და ზედმეტად ბიუროკრატიულ ხასიათს მიიღებს.

3. **ფერმების მოდერნიზაციის ხელშეწყობა**. საჭიროა შეღავათიანი კრედიტებისა და სუბსიდიების შემოღება როგორც ცალკეული ფერმერების, ასევე ფერმერთა ჯგუფების მიერ ახალი ტექნიკის შეძენისათვის. როგორც ცნობილია, წელს ჩვენი მთავრობა ფერმერებისთვის 700 ტრაქტორს შეიძენს. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებიდან შეიძლება დავასკვნათ, ეს ტრაქტორები უახლოეს ხანებში შემოვა საქართველოში, ხოლო მთავრობა მათი განაწილების კომერციულ სქემაზე მუშაობს. სახელმწიფო რომ აგრარული ტექნიკის განახლებაზე ზრუნავს, მისასალმებელია, მაგრამ ის, რომ ჯერაც არ არსებობს მათი განაწილების კომერციული სქემა, ნამდვილად ცუდია. ჩემი აზრით, ასეთი ღონისძიებების განხორციელებისას ფერმერების პირადი ინიციატივის წახალისება აუცილებელია. სასურველი იქნება, წინასწარ იქნას განსაზღვრული და გამოცხადებული ის შეღავათიანი პირობები, რომელსაც სახელმწიფო ფერმერებს სთავაზობს. ამის შემდეგ კი უნდა მოხდეს ფერმერების საკონკურსო განაცხადების მიღება აღნიშნული შეღავათიანი პირობების მისაღებად. ასევე სასურველია ამ პროცესებში კერძო კაპიტალის მოზიდვის სტიმულირება, და ამ მიმართულებითაც ლიტვის მაგალითს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია.

საჭიროა ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აგრარული დარგების განვითარების სპეციალური პროგრამების შემუშავება და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა. აუცილებელია სანაშენე პროგრამის შემუშავება, რომლის მეშვეობითაც მოხდება ჩვენს ფერმებში არსებული პირუტყვის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება.

4. **მცირემიწიან ფერმებში პერსპექტიული ბიზნეს-აქტივობების განვითარების ხელშეწყობა**. ვინაიდან ფერმებში მიწის სიმცირის პრობლემა რამდენიმე წელიწადში ნამდვილად ვერ გადაწყდება, საჭიროა სპეციალური პროგრამების შემუშავება ისეთი აგრარული ბიზნესების განვითარებისთვის, რომლებიც მიწის დიდ რესურსებს არ მოითხოვს. ასეთებია, მაგალითად, სასათბურე მეურნეობები, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, სოკოს, კენკრისა და ხილის ეგზოტიკური ჯიშების წარმოება, მეთევზეობა, მეფუტკრეობა და ა. შ. სახელმწიფოს მონაწილეობის მექანიზმები აქაც სასურველია იყოს შეღავათიანი კრედიტებისა და გრანტების სახით, კერძო კაპიტალის მაქსიმალური მოზიდვით. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ეს ბიზნესი ფერმერის მაღალ კვალიფიკაციას საჭიროებს და აუცილებელია ფერმერთა ტრენინგების, როგორც უცხოეთში, ასევე წარმატებულ ადგილობრივ ფერმერებთან სტაჟირებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სხვა მექანიზმების დანერგვა.

5. **გადამამუშავებელი წარმოების განვითარების ხელშეწყობა**. ეს თემა ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაწვრილებით განვიხილეთ.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები საკმაოდ ბევრია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პროგრამები, რომლებიც ევროპის სახელმწიფოებში კარგად მუშაობს, საქართველოს რეალობაში შეიძლება ან არ, ან ვერ მუშაობდეს. მაგალითად, საკრედიტო კავშირები მთელ ევროპაში მუშაობს, ჩვენთან კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ფულის დატაცების მექანიზმად ჩამოყალიბდა. გარდა ამისა, როგორც ლიტვის მაგალითი გვიჩვენებს, თითოეული აგრარული პროექტი საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა სახელმწიფო ბიუჯეტისთვის. იმის დასადგენად, თუ რომელი მექანიზმები იქნება უფრო ეფექტური საქართველოს რეალობაში, შესაძლოა აზრი ჰქონდეს პილოტური პროექტების განხორციელებას საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.



ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც ჩვენს ფერმებში გამოიყენება, უმეტესად XIX საუკუნისაა.



ჩვენი გლეხები თანამედროვე ეკონომიკურ მექანიზმებში, როგორც წესი, ძალიან ცუდად ერკვევიან.

## მობილური სიხშირეების აუქციონში იტალიის მოქალაქე მიიღებს მონაწილეობას

მესამე თაობის მობილური კავშირგაბმულობის სიხშირეების შესყიდვაზე სატენდერო განაცხადი კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (სკმეკ) იტალიის მოქალაქემ ანჯიოლო ბელინიმ შეიტანა. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს სემეკ-იდან აცნობეს, საქართველოს კანონმდებლობა რადიოსიხშირეების ტენდერში კერძო პირის ან უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობას არ კრძალავს, თუმცა მსგავსი შემთხვევა ჯერ არ დაფიქსირებულა. ანჯიოლო ბელინის სიხშირეების აუქციონზე კონკურენცია მოუწევს უმსხვილეს კომპანიებთან - "ჯეოსელთან" და "ტელეკომინვესტთან". "ტელეკომინვესტი" რუსული უმსხვილესი კომპანია "მეგაფონის" მფლობელია. აღნიშნული კომპანია თებერვალში 800 მეგაჰერც დიაპაზონში არსებული სიხშირეების აუქციონში დამარცხდა. მისმა კონკურენტმა "ბლიმ ფინ ლიმითედმა", რომლის გენერალური დირექტორი ქიბარ ხალვაში ტელეკომპანიების "მზისა" და "რუსთავი 2"-ის აქციების 70 პროცენტის მფლობელია, სიხშირეები 72 მილიონ ლარად შეისყიდა. კომისიის ცნობით, გასაყიდი სიხშირეების საწყისი ფასი 8 491 392 ლარია. 1950-1965 მგჰც, 2140-2155 მგჰც, 2010-2015 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი UMTS ტექნოლოგიით იმუშავებს. ეს სიხშირული დიაპაზონი ვიდეოგამოსახულების გადაცემის და ინტერნეტის მაღალ სიჩქარეს უზრუნველყოფს. ამ დროისათვის, მე-3 თაობის მობილური სიხშირეებით სარგებლობის ლიცენზია "მაგთიკომსა" და "არგოტექსს" გააჩნიათ. "მაგთიმ" სიხშირეები გასულ წელს 20 მილიონ ლარად შეისყიდა და რადიოსიგნალს ზაფხულში გაუშვებს. "სელფორდის" მონათესავე კომპანია "არგოტექსმა" ამავე დიაპაზონში სიხშირეები 19 954 782 ლარად შეიძინა ორი კვირის წინ გამართულ აუქციონზე, რომელშიც "ჯეოსელიც" მონაწილეობდა. კომისიაში მე-3 თაობის მობილური სიხშირეების აუქციონი მაისის ბოლოს გაიმართება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## თბილწყალკანალმა" 600 ათას ლარად ღირებული ტექნიკა შეიძინა

კანალიზაციის ქსელების გასაწმენდად, შპს "თბილწყალკანალმა" 600 ათას ლარად ღირებული კომბინირებული საკანალიზაციო ტექნიკა შეიძინა. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს "თბილწყალკანალიდან" აცნობეს, აღნიშნული მანქანა რეცხავს და მთლიანად ასუფთავებს ქალაქის კანალიზაციის ქსელს. ასევე, გამოაქვს არსებული ნალექი, წმენდს მილებს შეზრდილი ფესვებისგან და დაგროვილი ხრეშისგან. კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, ახალი მანქანის საშუალებით გაწმენდილი ქსელი გამოცვლას აღარ საჭიროებს. ქსელის შეცვლა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მილი ზედმეტად ხანდაზმული ან არასწორად დამონტაჟებული იქნება. ახალი მანქანა "თბილწყალკანალის" წარმომადგენლებმა, იტალიელ სპეციალისტებთან ერთად, ოთხშაბათს ვარაზის ხევში გამოსცადეს. მათი ინფორმაციით, მიმდინარე წელს ამ მანქანით სარგებლობა 2-3 მლნ ლარს დაზოგავს. მანქანა "თბილწყალკანალის" სპეციალური დაკვეთით, ამორტიზებული მანქანისგან იტალიაში, ქარხანა "კაპელოტო"-ში ააწყვეს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## თბილისის მერიამ მზიურის" რეკონსტრუქცია დაიწყო

თბილისის მერიამ ნოდარ დუმბაძის სახელობის დასვენების პარკის - "მზიურის" სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო. მიმდინარე სამუშაო პროცესი ოთხშაბათს თბილისის მერმა გიგი უგულავამ და ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა კობა სუბელიანმა მოინახულეს. როგორც უგულავამ ჟურნალისტებს განუცხადა, ამჟერად "მზიურში" წყლის კოლექტორისა და საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რაც რამდენიმე დღეში დასრულდება. ასევე, მთლიანად შეიცვლება გარეგანათების სისტემა. მერის ინფორმაციით, სარეკონსტრუქციო სამუშაოები "მზიურში" დაახლოებით თვე ნახევარში დასრულდება, რის შემდეგაც პარკი თბილისელებისთვის დასვენების ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად იქცევა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური


ჰაინც ტოპმიოლერი: „აუტსაიდერობას არ ვაპირებთ"



C2

თბილისში მაქს მოსლია. ღვედები შეიკარით!



C3

ლებრონი „კლივლენდს" ვერ შველის



C4



## სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:** 21 33 67

**სარეკლამო სამსახური:** 21 33 54, 33 23 11

**სპორტული რედაქცია:** 33 17 15




# „სევილია" უეფას თასის მფლობელია!

„სევილია" (ესპანეთი) - „მიდლსბრო" (ინგლისი) 4:0 (1:0)



**„სევილია":** პალოპი, დანიელი, ხავი ნავარო, ესკუდე, დავიდი, ხესუს ნავასი, მარესკა, მარტი, ადრიანო (პუერტა, 86), ლუის ფაბიანო (კეპა, 72), სავიოლა (კანუტი, 46).
**„მიდლსბრო":** შვარცერი, პარნაბი, რიგოტი, საუთგეიტი, კვედრიუ (აიეგბენი, 70), მარისონი (მაკარონე, 46), ბოატენგი, როშემბაკი, დაუნინგი, ვიდუკა (კეტერმოული, 86), ჰასელბაინკი.
**გოლები:** 1:0 - ლუის ფაბიანო (27`), 2:0, 3:0 - მარესკა (78`, 84`), 4:0 - კანუტი (89`).
**გაფრთხილება:** დანიელი, ესკუდე, როშემბაკი.
**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი.

ესპანეთის „სევილიამ" უეფას თასი მოიგო. სიმართლე ითქვას, ესპანელთათვის ეს ლოგიკური იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ სევილიელები წელს უაღრესად სტაბილურად თამაშობენ, როგორც ესპანეთის პრიმერადივიზიონში, ისე უეფას თასზეც. სევილიელებს ევროპულ ტურნირში არ ჰქონიათ შემთხვევა, რომ თამაში ჩაეგდოთ და შემდეგ დიდი ძალისხმევის შედეგად შეებრუნებინათ ორრაუნდიანი დაპირისპირების მსვლელობა თავის სასარგებლოდ. „მიდლსბროს" კი ასეთი შემთხვევა ორჯერ ჰქონდა - მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში, როცა ინგლისელებმა ჯერ მიხეილ ყაველაშვილის შვეიცარიულ „ბაზელს", შემდეგ კი რუმინეთის „სტიაუას" აღმოუფხვრა სამბურთიანი ფორა.

ასეა თუ ისე, ორივე გუნდისთვის უეფას თასის ფინალში გასვლა თავისთავად დიდი მიღწევა იყო. გუნდები მინდორზე შემტევი შემადგენლობით გამოვიდნენ. სტივ მაკლარენმა ვიდუკას, ბოატენგსა და ჰასელბაინკს მიანდო შეტევითი ოპერაციების წარმოება, რამოსმა კი სავიოლას, ლუის ფაბიანოსა და ადრიანოს. უნდა ითქვას, რომ სამივე სევილიელი ფორვარდი მონდომებული იყო მატჩის პირველივე წუთებიდან და ესპანელების უპირატესობაც გამოიკვეთა, რასაც ლუის ფაბიანოს თავით გატანილი პირველი გოლი მოჰყვა.

მეორე ტაიმში მატჩის სურათი შეიცვალა. მაკლარენმა მორისონის ნაცვლად იტალიელი ფორვარდი მაკარონე გამოიყვანა მინდორზე. რამოსმა კი არგენტინელი ხავიერ სავიოლა კანუტით შესცვალა, რომელმაც გაიტანა კიდეც მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე თავისი გოლი. იტალიელმა მაკარონემ გაამწვავა თამაში და ერთ-ერთ ეპიზოდში მარკ ვიდუკას 4 მეტრიდან დარტყმული ბურთი რომ გაეტანა, თამაში შესაძლოა აბსოლუტურად სხვაგვარად წარმართულიყო, მაგრამ პალოპმა ითამაშა ჩვეულად დამაჯერებლად და სევილიელებმაც გადაიტანეს ინგლისელთა მოძალებული იერიშები. ვიდუკასა და ჰასელბაინკს ამის შემდეგ კიდევ ორჯერ შეეძლოთ პალოპის კარის აღება, მაგრამ ვერც ამჯერად გადალახეს სევილიური ზღუდე და თამაშის ბოლო, 11-წუთიან მონაკვეთში სამი გოლი მიიღეს საკუთარ კარში.

„სევილიამ" - 4:0 გაანადგურა მეტოქე და ღირსეულად დაეუფლა უეფას თასს. ინგლისელები კი მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში ჩადენილი სასწაულებისთვის საკუთარი ფანების თვალში გმირებად დარჩნენ. „ჩვენ ყოველთვის გვემახსოვრებით" - გაისმოდა ინგლისელთა შეძახილები ეინდჰოვენის სტადიონზე, სადაც უეფას თასის ფინალი 1978 წლის შემდეგ პირველად დაბრუნდა.

## აგირე „ოსასუნას" დატოვებს

პამპლონური „ოსასუნას" მთავარმა მწვრთნელმა ხავიერ აგირემ კლუბის ხელმძღვანელებს აცნობა, რომ არ აპირებს კონტრაქტის გაგრძელებას. შეგახსენებთ, რომ სწორედ აგირეს წყალობით მოახერხა პროვინციულმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება და მის გაშვებას „ოსასუნას" ხელმძღვანელები არც კი ფიქრობდნენ, მაგრამ კლუბსა და მწვრთნელს შორის არსებული კონტრაქტი თვის ბოლოს ამოიწურება, აგირემ კი ახლის გაფორმება არ ისურვა. გამორიცხული არ არის, რომ გამოცდილ სპეციალისტს რომელიმე უფრო სოლიდური გუნდი ეპატიჟებოდეს.

## კირიაკოსი გააგდეს

შოტლანდიური „რეინჯერსის" ხელმძღვანელებმა გუნდიდან დაითხოვეს ბერძენი ცენტრალური მცველი სოტირიოს კირიაკოსი. ამ ფეხბურთელმა გლაზგოურ კლუბში ორი სეზონი გაატარა. შეგახსენებთ, რომ ზურაბ ხიზანიშვილის „რეინჯერსიდან" წასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კირიაკოსი იყო. ახლა კი შოტლანდიელებმა ბერძენის სამსახურზეც თქვეს უარი. მიზეზებზე ჯერჯერობით არაფერს ამბობენ. „რეინჯერსის" პრესსამსახურის ცნობით, გუნდმა შეიძინა „ჩელსის" 17 წლის ნახევარმცველი დინ ფერმენი.

## კანი სანაკრებო კარიერას ამთავრებს

მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე აცხადებს, რომ ოლივერ კანი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შემდეგ დაასრულებს სანაკრებო კარიერას.

აღსანიშნავია, რომ კლინსმანის გადაწყვეტილებით, კანი ბუნდესნაკრების პირველი მეკარე არ იქნება. იყო ვარაუდი, რომ განაწყენებული ოლივერი ახლავე დასრულებდა სანაკრებო კარიერას, მაგრამ „ბაიერნის" კიპერმა მეორეობა არ ითაკილა და კლინსმანის გუნდს მსოფლიო ჩემპიონატზე შეძლებისდაგვარად დაეხმარება. „კლინსმანის გადაწყვეტილებამ ოლივერს გული ატკინა, მაგრამ ის ნამდვილი პროფესიონალია და მსოფლიო ჩემპიონატზე მაინც ითამაშებს. მუნდიალის შემდეგ კი დაასრულებს სანაკრებო კარიერას და მთლიანად „ბაიერნზე" იქნება კონცენტრირებული", - აცხადებს რუმენიგე.

## რიგაში რუსებს ერჩიან

რიგაში მიმდინარეობს ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. 9 მაისს გულშემატკივართა შორის მოხდა შეტაკება, რის შედეგადაც მხოლოდ რუსეთის ნაკრების ფანები დაზარალდნენ. ჩხუბის დროს ერთ-ერთი ქომაგი მძიმედ დაშავდა. ის საავადმყოფოში გატეხილი ცხვირითა და თავის დაზიანებით მიიყვანეს. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ნაკრების დაზარალებული ფანი ლატვიის მოქალაქეა.

## მეჯიკის პრიზი ჰილმა დაისაკუთრა

საკალათბურთო გუნდ „ორლანდოს" ლიდერმა გრანტ ჰილმა ამ სეზონში მეჯიკ ჯონსონის პრიზი დაისაკუთრა. ამ პრიზს ჟურნალისტების რჩეულს აძლევენ. კრიტერიუმი მარტივია. მეჯიკ ჯონსონის სახელობის პრიზს იგებს ის კალათბურთელი, რომელიც მოედანზე კარგ თამაშს და ჟურნალისტებთან თავისუფალ ურთიერთობას ერთმანეთს უხამებს.

## „ნიუკასლმა" როიდერი დაიბევა

პრემიერლიგის ხელმძღვანელებმა უფლება მისცეს „ნიუკასლის" მესვეურებს, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშნონ გლენ როიდერი, რომელსაც პრემიერლიგაში მუშაობისთვის საჭირო სამწვრთნელო ლიცენზია არ გააჩნია.

50 წლის სპეციალისტი შუა სეზონში, გრემ სუნესის გადადგომის შემდეგ დაინიშნა „ნიუკასლში". აქამდე როიდერი მხოლოდ დროებითი მწვრთნელის სტატუსით სარგებლობდა, ამიერიდან კი „ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელი იქნება.

## ჰიდინკმა შემადგენლობა დაასახელა

ავსტრალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუუს ჰიდინკმა დაასახელა იმ ფეხბურთელთა გვარები, რომლებიც გაემგზავრებიან გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატზე.

**მეკარეები:** მარკ შვარცერი, ჟელკო კალაჩი, ანტე კოვაჩი

**მცველები:** მიხაელ ბიჩემპი, კრეიგ მური, ლუკას ნეილი, ტონი პოპოვიჩი, ჯოშ კენედი, მარკ მილიგანი

**ნახევარმცველები:** მარკო ბრეშიანო, ტიმ კეჰილი, სკოტ ჩიპერფილდი, ჯეისონ კულინგა, ბრეტ ემერტონი, ვინს გრელა, სტენ ლიზარიდისი, იოსიფ სკოკო

**თავდამსხმელები:** მარკ ვიდუკა, ჰარი კიუელი, არჩი ტომპსონი, ჯონ ალოიზი, ლიუკ ულკშირი, მაილ სტერევსკი.




# ჰაინც ტოპმიოლერი: „აუტსაიდერობას არ ვაპირებთ"

მიხეილ აბაიშვილი


ქართველები სლოვაკეთში საბრძოლველად მიდიან.

საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრები 19 მაისიდან ჩაებმება ევროპის ჩემპიონატის ბოლო საკვალიფიკაციო ტურნირში, ეგრეთ წოდებულ „ელიტრაუნდში" და ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებას შეეცდება. ამისთვის ჩვენს 19 წლამდელებს 4-გუნდიან ქვეჯგუფში პირველი ადგილის დაკავება ესაჭიროებათ. ტურნირი გაიმართება სლოვაკეთში, სადაც მასპინძელთა და ჩვენს გარდა თურქეთისა და ირლანდიის გუნდებიც ითამაშებენ. შეგახსენებთ, რომ ეს მეორე საკვალიფიკაციო რაუნდია. პირველში, რომელიც ესტონეთში გაიმართა, საქართველოს ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა და „ელიტრაუნდში" თამაშის უფლება მოიპოვა.

გუშინ საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰაინც ტოპმიოლერმა 18-კაციანი შემადგენლობა დაასახელა და პრესკონფერენცია გამართა. ჯერ შემადგენლობას გაგაცნობთ:

**მეკარეები -** რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), თევდორაძე (თბილისი);

**მცველები -** თომაშვილი (დინამო), ხიდეშელი (ზესტაფონი), მჭედლიშვილი (ამერი), გვაძაბია (ამერი), კვანტალიანი (დინამო), ხოხონიშვილი (თბილისი);

**ნახევარმცველები -** ბენაშვილი (ზესტაფონი), განუგრავა (ზესტაფონი), კობახიძე (დინამო), ბჟალავა (ზესტაფონი), ჩირიკაშვილი (დინამო), კახელიშვილი (ლოკომოტივი), მაილაშვილი (გურჯაანი);

**თავდამსხმელები -** გოცირიძე (ზესტაფონი), წინამძღვრიშვილი (ამერი), კვარაცხელია (თბილისი).

**აქვე გაგაცნობთ საქართველოს ნაკრების თამაშების კალენდარს:**

**19 მაისი საქართველო - თურქეთი**

**21 მაისი საქართველო - სლოვაკეთი**

**23 მაისი საქართველო - ირლანდია**

„საკმაოდ ძლიერ ჯგუფში მოგვიწევს ასპარეზობა. აპრილში თურქეთში ვიყავი და დავესწარი ამ ქვეყნისა და იტალიელ 19 წლამდელთა მატჩს. თურქებმა კარგად ითამაშეს და ახალგაზრდული „სკუადრა აძურა" 5:1 გაანადგურეს. შემდეგ მაკედონიის 19 წლამდელებსაც 5:0 მოუგეს. ასევე კარგი ნაკრები ეყოლებნათ მასპინძლებს, რომლებმაც პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 7 ქულა დააგროვეს. ირლანდიელებმა კი სამივე თამაში მოიგეს და 8 ქულით პირველ ადგილზე გავიდნენ. ამის მიუხედავად, სლოვაკეთში სტატისტის როლის შესასრულებლად არ მივდივართ. მეტიც: მიგვაჩნია, რომ ძალიან კარგი გუნდი გვყავს და არც ერთ მატჩში აუტსაიდერობას ან დაცვითი სტილით თამაშს არ ვაპირებთ. ყველა თამაშში მოგებაზე ორიენტირებულ შემადგენლობას და ტაქტიკას ავირჩევთ. იმედი მაქვს, ელიტრაუნდსაც წარმატებით დავძლევთ", - აღნიშნა ჰაინც ტოპმიოლერმა.

გერმანელი სპეციალისტის გააღიზიანა იმან, რომ ბრატისლავაში მხოლოდ 18 ფეხბურთელის წაყვანის უფლება აქვს.

„თუ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე დასაშვებია განაცხადში 23 ფეხბურთელის შეყვანა, 19 წლამდელთა ტურნირი რატომ არის გამონაკლისი? ძალიან მინდოდა, მეტი ფეხბურთელი წამეყვანა სლოვაკეთში, რაც მე მატჩიდან მატჩამდე შემადგენლობის როტაციის მეტ საშუალებას მომცემდა, ახალგაზრდა ფეხბურთელებს კი საშუალება მიეცემოდათ სერიოზულ ტურნირში მონაწილეობით გამოცდილება დაეგროვებინათ. სამწუხაროდ, უეფამ სხვაგვარად განსაჯა და მხოლოდ 18 ფეხბურთელი მიგვყავს. ამიტომ შევეცადეთ, ამ წუთისთვის საუკეთესოები შეგვერჩია. ჩვენი თვალთახედვის არეში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელია. ისინი ვერ გამოვიძახეთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათთვის ნაკრების კარი დაკეტილია. უბრალოდ, ლიმიტმა არ მოგვცა მათი წაყვანის საშუალება. მომავალში მათ კიდევ მიეცემათ ნაკრებში მოხვედრის შანსი", - აღნიშნა ტოპმიოლერმა.

შეკრებას ახალგაზრდული ნაკრები 13 მაისს დაიწყებს.

„13-ში შემოგვიერთდებიან ის ფეხბურთელები, რომლებსაც საქართველოს თასის ფინალში და საპლეიოფო მატჩებში მონაწილეობა არ უწევთ. სლოვაკეთში 15 მაისს გავემგზავრებით. 16-ში შემოგვიერთდება ერთადერთი ლეგიონერი ნუკრი რევიშვილი. უახლოეს მატჩამდე მოსამზადებლად სამი დღე გვექნება. სლოვაკეთშივე შემოგვიერთდებიან საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელები კლაუს ტოპმიოლერი და რალფ მინგე", - გვითხრა 19 წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა.




## ინფოთეკა

### მსოფლიო ჩემპიონატზე ლიტრზე მეტი ლუდის დალევა აიკრძალა

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას გერმანიის სტადიონებზე გულშემატკივარს ალკოჰოლის შემცველი ლუდის 1 ლიტრზე მეტის დალევა კატეგორიულად აეკრძალა.

საფეხბურთო მოედანზე გამოვარდნილი შიშველი ქომაგი კი 100 ათასი ევროთი დაჯარიმდება, - ნათქვამია მუნდიალის ორგანიზატორთა ოფიციალურ განაცხადში.

ჯერჯერობით გაურკვეველია, იმოქმედებს თუ არა უფრო მკაცრი წესები იმ მატჩებზე, სადაც სკანდალების უფრო დიდი რისკია.

გერმანიაში გაფიცვების მოლოდინში არიან, რადგან შესაძლოა, ორგანიზატორთა ამ განცხადებას ალკოჰოლური ლუდის გამომშვები კომპანიის უკმაყოფილება მოჰყვეს.

ორგანიზატორთა ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, მათ ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციასთან შეთანხმებით გადაწყვიტეს რა რაოდენობის ჯარიმას გადაიხდიან ეგრეთ წოდებული „ფლიტცერები" - ადამიანები, რომლებსაც უყვართ საფეხბურთო მოედანზე შიშვლები გამოვარდნენ. სწორედ ამ შეთანხმების შედეგად გადაწყდა, რომ ჯარიმა 100 ათასი ევროთი განისაზღვრება. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში 9 ივნისიდან 9 ივლისამდე გაგრძელდება.

### როი კინი ვერც მიდის და ვერც რჩება

„სქაი სპორტის" ცნობით, 34 წლის ირლანდიელმა ფეხბურთელმა როი კინმა შესაძლოა სეზონის დასრულებისთანავე დაამთავროს კარიერა.

როი კინმა რამდენიმე დღის წინ მანჩესტერში, „ოლდ ტრაფორდზე" გამართულ საქველმოქმედო მატჩში („სელტიკსა" და „მანჩესტერს" შორის) მიიღო მონაწილეობა. ირლანდიელმა ნახევარმცველმა თითო ტაიმი ორივე გუნდის შემადგენლობაში ითამაშა. მატჩის შემდეგ, რომელსაც 67 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა, როი კინმა ჟურნალისტებს მომავალი გეგმები გააცნო:

„თავს ცუდად არ ვგრძნობ, მაგრამ იმასაც კარგად ვაანალიზებ, რომ „სელტიკისთვის" მომავალ სეზონში ისეთი საჭირო აღარ ვიქნები, როგორც წლეულს. მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტულად არ გადამიწყვეტია, სად და როგორ გავაგრძელებ კარიერას. მოკლედ, გული ერთს მკარნახობს, სხეული - მეორეს. არ ვიცი, საბოლოოდ რომელს მივენდობი".

### ვინ შეცვლის კაპელოს?

იტალიურ პრესაში უკვე სახელდება იმ სამი სავარაუდო კანდიდატის ვინაობა, ვინც ტურინის „იუვენტუსს" ფაბიო კაპელოს წასვლის შემდეგ ჩაუდგება სათავეში. შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად მუსირებს ხმები სეზონის ბოლოს კაპელოს „იუვენტუსიდან" მილანის „ინტერში" გადაბარგების თაობაზე. თავის დროზე, როდესაც კაპელომ „ბიანკონერისთან" გააფორმა ხელშეკრულება, კონტრაქტში ჩაიდო პუნქტი, რომლის თანახმად, მწვრთნელი იმ შემთხვევაშიც დატოვებდა კლუბს, თუ ადმინისტრატორი ანტონიო ჯირაუდო მის გათავისუფლებას მოისურვებდა.

„იუვენტუსის" მფლობელმა კი სულ ცოტა ხნის წინ მიანიშნა კლუბის ხელმძღვანელობის თითქმის ყველა წევრის გათავისუფლებაზე. მათ შორის მთავარი მწვრთნელიც სახელდებოდა. ფაბიო კაპელოს სავარაუდო შემცვლელებად ჯანლუკა ვიალი, დიდიე დეშამი და რობერტო დონადონი სახელდებიან.

### კალუ ჰოლანდიის ნაკრებში ვერ ითამაშებს

კოტ დ`ივუარის მოქალაქე, „ფეიენოორდის" თავდამსხმელი სალომონ კალუ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს იმ მიზეზით, რომ ჰოლანდიის ხელისუფლებამ უარი უთხრა ქვეყნის მოქალაქეობის მინიჭებაზე. ჰოლანდიის ნაკრებში აყვანას თავდამსხმელს მთავარი მწვრთნელი მარკო ვან ბასტენი დაპირდა იმ შემთხვევაში, თუ კალუ წარმატებით გაივლიდა ქვეყანაში ადაპტირების პროცესს.

როტერდამის სამოქალაქო სასამართლომ კი ფეხბურთელს უარი განუცხადა ქვეყნის მოქალაქეობაზე, ვინაიდან სალომონ კალუმ ვერც ჰოლანდიური ენის გამოცდა ჩააბარა და ვერც ისტორიისა. „ახლა მას ისღა დარჩენია, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მოემზადოს", - განაცხადა ჰოლანდიის ნაკრების თავკაცმა მარკო ვან ბასტენმა.

ცნობისთვის: სალომონ კალუს ძმა ბონევენტურა კალუ კოტ დ`ივუარის ეროვნული ნაკრების კაპიტანი გახლავთ. მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ჰოლანდიის ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე სწორედ კოტ დ`ივუარის გუნდი გახლავთ.

# თბილისში მაქს მოსლია. ღვედები შეიკარით!

გიგა გურასაშვილი

*მაქს მოსლი ფორმულა 1-ის სამყაროსთვის კარგად ნაცნობი სახელია. და აი, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) პრეზიდენტი თბილისშია. ამ მხრივ დიდად განებივრებულნი არ ვართ - ასეთი რანგის გავლენიანი სტუმარი სულ რამდენჯერმე თუ გვწვევია. ერთხელ, როცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ვმასპინძლობდით, მეორედ კი მაშინ, როდესაც საქართველოში ფიფას ხელმძღვანელი ჩამოვიდა. ინგლისელმა მაქს მოსლიმ სამდღიანი ვიზიტის ერთ-ერთი შეხვედრა გუშინ ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მოაწყო.*




*ფორმულა 1-ის ბოსი თბილისშია.*

სტუმარს სამი საათისთვის ველოდით, თუმცა, 15 წუთი შეაგვიანდა. დროის მოკვლაში საქართველოში დიდი ბრიტანეთის სრულუფლებიანი ელჩი დონალდ მაკლარენი დაგვეხმარა, თუმცა, მანაც დააგვიანა.

„გავითვალისწინე ქართული ხასიათი და ცოტა დაგვიანებით მოვედი. მაგრამ მოსლის მაინც მოვასწარი. თუ ვინაა მაქს მოსლი, ვფიქრობ, უჩემოდაც კარგად იცით. ის ცნობილია ფორმულა 1-ში", - გვითხრა მაკლარენმა და მოსლის მოსვლამდე აუდიტორიასთან დისკუსიის გამართვა სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა - სტუდენტები ვერ აიყოლა.

„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დღევანდელი სტუმარი ბევრისთვის ფორმულა 1-თან ასოცირდება, ვფიქრობ, არც ის უნდა იყოს უინტერესო, რასაც ჩვენი ყოველდღიური უსაფრთხო მოგზაურობა ჰქვია (დონალდ მაკლარენი ავტომობილით გადაადგილებას გულისხმობდა). საქართველოში ასეა: შესაძლო ავარიისგან თავს არ იზღვევთ. დაზღვევის ინსტიტუტსა და სამართლებრივ მხარეს ნაკლებ ყურადღებას აქცევთ. თქვენთან უფრო ადამიანური ფაქტორებია. მძღოლები ერთმანეთთან ურთიერთობას არკვევენ არა სასამართლოს გზით, არამედ უშუალოდ, პირადად.

საქართველოსთვის ძალიან დამახასიათებელი სურათია: მძღოლი საჭესთან ზის და პარალელურად მობილური ტელეფონით ლაპარაკობს. მიგაჩნიათ, რომ ასე უნდა იყოს?"

ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, კითხვები უპასუხოდ რჩებოდა. ამასობაში მაქს მოსლიც გამოჩნდა, რომელსაც თან ახლდა საგზაო უსაფრთხოების ფონდის დირექტორი დევიდ უორდი. საპატიო სტუმრებთან ერთად იყვნენ საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი შალვა ოგბაიძე და თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსი გიორგი გრიგალაშვილი.

„ჩვენ მსოფლიოს 120 ფედერაციას ვაერთიანებთ. მათ შორისაა საქართველო. საქმე გვაქვს როგორც პროფესიონალ, ისე მოყვარულ მძღოლებთან. ჩვენთან შემოდის ასევე ფორმულა 1, რალი, რომელიც თქვენთანაც პოპულარულია, - ფია-ს საქმიანობაზე ერთგვარი ექსკურსით დაიწყო მაქს მოსლიმ, - და მაინც, რა არის ჩვენი ძირითადი მიზანი? ყოველდღიურად ავტოავარიების შედეგად იღუპება 3 ათასი ადამიანი. ჩვენი მიზანია ამ სტატისტიკის შემცირება მსოფლიო მასშტაბით. მრავალმა ქვეყანამ კანონმდებლობა გაამკაცრა იმისთვის, რომ მსხვერპლთა რიცხვი შეემცირებინა".

მთავარი სტუმრის შემდეგ საუბარი გააგრძელა დევიდ უორდმა, რომელიც ძირითადად უსაფრთხოებაზე ამახვილებდა ყურადღებას. ამასთან, საქართველოსა და ინგლისს შორის პარალელებიც გაავლო.

„ჩემი ხანმოკლე ვიზიტისას შევნიშნე, რომ საქართველოში ღვედებს არავინ ხმარობს, რაც 40-50 წლის წინანდელ ინგლისს მაგონებს. მაშინ საამისოდ კანონი არ გვქონდა. კანონი 80-იანი წლების დასაწყისში მივიღეთ. ღვედების კამპანია ჩვენი აქ ყოფნის ერთ-ერთი მიზანია.

როდესაც საქართველოში მოვდიოდით, გვინდოდა საქართველოს საავტომობილო ფედერაციის, ავტოსპორტის მდგომარეობის გაცნობა რეგიონში და კონკრეტულად საქართველოში. თქვენს ქვეყანაში საერთაშორისო საავტომობილო სპორტის განვითარებაზეც ვიმსჯელეთ.

ალბათ იკითხავთ, რა კავშირია უსაფრთხოდ გადაადგილებასა და ავტოსპორტს შორისო. ახალგაზრდების უმეტესობას სისწრაფე უყვარს, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ საამისოდ არსებობს ავტოდრომები, სადაც ჟინის დაკმაყოფილება შეუძლიათ. შეჯიბრებები უნდა ეწყობოდეს ავტოდრომებზე, კლუბებში და არა ქალაქის ქუჩებში".

# იენს ლემანს „ბარსელონასი" არ ეშინია

მარი ჯავახიშვილი

ვინც ინგლისის პრემიერლიგის ბოლო ტურში „არსენალი"-"უიგანის" მატჩი (4:2) ნახა, „მეთოფეთა" გოლკიპერის, გერმანელი იენს ლემანის მიერ გაშვებულ გოლებზე, განსაკუთრებით კი მეორეზე, ალბათ გულიანად იცინებდა.

ბუნდესნაკრების ნომერ პირველმა მეკარემ ორივე გოლი ძალიან კომიკურ სიტუაციაში გაუშვა და სპეციალისტებსა თუ გულშემატკივრებში ერთი ლოგიკური კითხვა წარმოშვა - ცოტა ნაადრევი ხომ არ იყო გერმანელთა თავკაცის იურგენ კლინსმანის არჩევანი. მოგეხსენებათ, ამ უკანაასკნელმა გვარიანი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, როგორც იქნა, ოლივერ კანსა და იენს ლემანს შორის არჩევანი გააკეთა და მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრების კარის დაცვა „არსენალის" მეკარეს მიანდო.

ალილო და ხვალეო - კლინსმანის არჩევანის ჭეშმარიტებაში მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას დავრწმუნდებით. ამიტომ წინასწარი კომენტარისგან ახლა თავს შევიკავებთ.

რაც შეეხება იენს ლემანს, მას ლონდონში ჩააკითხა ერთ-ერთი გერმანული გამოცემის ჟურნალისტმა:

**- კარიერის დასრულების შემდეგ თქვენმა სახელოვანმა კოლეგამ ტონი შუმახერმა გამოსცა მემუარები სახელწოდებით „სასტვენი". წაკითხული გაქვთ?**

- ამ წიგნის წაუკითხაობა არ შეიძლება. შესანიშნავი ნაშრომია. განსაკუთრებით ფეხბურთის ნამდვილი გულშემატკივრებისთვის. როცა ამ წიგნზე მუშაობდა, ცხადია, ავტორმა კარგად იცოდა, რაოდენ საინტერესო იქნებოდა ის მკითხველისთვის.

**- არ აპირებთ შუმახერს მიბაძოთ და მკითხველს საკუთარი მოგონებები გაუზიაროთ?**

- ასეთი აზრი ჯერ არ მომსვლია. მაგრამ თუ ოდესმე ჩემი მემუარები დღის სინათლეს იხილავს, შუმახერის გამოცემას კონკურენციას ვერ გაუწევს. ისე, რაღა დაგიმალოთ და, არც მინდა რაღაც სენსაციური განცხადებებით სახელი მოვიხვეჭო და ტოქშოუებში დავიწყო სიარული. თუ ოდესმე წიგნის დაწერას გადავწყვეტ, ის გათვლილი იქნება ახალგაზრდებზე, რომლებსაც კარგი ფეხბურთელობა უნდათ. ასეთებს ახლავე შემიძლია მივცე პატარა რჩევა: ბეჯითად უნდა იშრომონ და იცოდნენ, რომ ნამდვილი გმირი თავად ქმნის საკუთარ ბედს. პირადად მე კმაყოფილი ვარ ჩემი ბედის - წარმატებული კარიერა მაქვს, მყავს მშვენიერი მეუღლე და კარგი ოჯახი, ვთამაშობ ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში, არც ნაკრებით ვარ უკმაყოფილო.



*მოედანს მიღმა ლემანი და კანი მეგობრები არიან.*

**- არ გეწყინოთ, მაგრამ კანზე მაინც უნდა გკითხოთ. შეუძლებელია, რომ თქვენს წიგნში რამდენიმე ფრაზა ძველ მეგობარს არ მიუძღვნათ...**

- ოოო, უკვე დაიწყო. გამიკვირდა, კანზე თავიდანვე რომ არ მკითხეთ. როგორც წესი, ჟურნალისტები ეგრევე მეკითხებიან ხოლმე: რა ხდება ჩემსა და კანს შორის. ელოდებიან, რომ ოლივერის ბოლო მატჩის განხილვას და მის კრიტიკას დავიწყებ. ჰგონიათ, რომ „ბაიერნის" არც ერთ მატჩს არ ვტოვებ.

**- მეგობრობთ კანთან?**

- ყოველ შემთხვევაში, არც მტრები ვართ. ჩვეულებრივი, ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. ყველაფერი დანარჩენი ჟურნალისტების გამოგონილია.

**- „კიკერის" ჟურნალისტებს გულისხმობთ, არა? პირველად ხომ მათ დაბეჭდეს, თითქოს ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდით, რომ სამი რამ არ გიყვართ ცხოვრებაში: წაგება, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა და ოლივერ კანი...**

- ჰმ... მსგავსი არაფერი მითქვამს. თუმცა, ხანდახან ხუმრობა საჭიროა. იუმორის გარეშე ცხოვრება მოსაწყენი და უინტერესო იქნებოდა. ხალხს შოუ სჭირდება და მე და ოლივერს ეს კარგად გვესმის. ოღონდ უბედურება ისაა, რომ ყველას სხვადასხვანაირი იუმორის გრძნობა აქვს. ზოგი კარგად იგებს ჩვენს ხუმრობას, ზოგი კი სერიოზულად აღიქვამს.

**- იმასაც ამბობენ, რომ ლემანს მარტო ხუმრობა კი არა, ჩხუბიც უყვარს. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ მოედნიდან ხშირად გაძევებენ...**

- ალბათ, მასიო ამოროზოსთან მომხდარ ინციდენტს გულისხმობთ, როცა დორტმუნდის „ბორუსია" „შალკეს" ხვდებოდა. პრესაში რა აღარ დაწერეს, სინამდვილეში კი მხოლოდ მე დავზარალდი. არადა, ამოროზოს მარტო ის ვუთხარი, ჩქარა ირბინე-მეთქი, მან კი ხელი მკრა. მსაჯმა რატომღაც პირიქით ჩათვალა და ყვითელი ბარათი მიჩვენა. მერე მეორე ყვითელი მომაყოლა... ერთი სიტყვით, მოედანი დამატოვებინა. საერთო ჯამში, „ბორუსიაში" თამაშისას ხუთჯერ მიჩვენეს წითელი ბარათი.

**- შთამბეჭდავი ციფრია...**

- მეკარე არ არის ვალდებული იყოს მშვიდი, მით უმეტეს, დაცვაში მოთამაშე თანაგუნდელების მიმართ. ისინი ვალდებული არიან უსიტყვოდ შეასრულონ გოლკიპერის მითითებები. კარიდან მე უფრო კარგად ვხედავ, ვინ სად და როგორ უნდა დადგეს.

**- როგორც წესი, გერმანიის ნაკრებს კარგად აწყობილ, ტექნიკურად გამართულ მანქანას ადარებენ ხოლმე. საიდან გაქვთ ასეთი საბრძოლო ხასიათი?**

- ღმერთმა იცის, საიდან. ალბათ, მენტალურად ან გენეტიკურად მოგვყვება. ყოველ შემთხვევაში, მე არ შემიძლია ამის ახსნა. გერმანელს რომ გაუგო, გერმანელი უნდა იყო. პირველობისკენ სწრაფვა სისხლში გვაქვს.

**- გერმანიის გაერთიანებამ გამარჯვებულის მენტალიტეტი კიდევ უფრო გაგიმყარათ?**

- სპორტისთვის ამან დიდი როლი ითამაშა. გერმანიის ყოფილ სოციალისტურ რესპუბლიკაში არაერთი სახელოვანი და ძლიერი ფეხბურთელი აღიზარდა. მაგალითად, მათიას ზამერი, მიხაელ ბალაკი, ტომი შნაიდერი. საერთოდ, ძალიან კარგია, როცა ორად გაყოფილი ქვეყანა ერთიანდება.

**- ერთხელ ერთმა გამოჩენილმა მწვრთნელმა თქვა, რომ, როგორც წესი, მეკარეები კარგი მწვრთნელები ვერ გამოდიან, რადგან მოედანზე სირბილი და კარის დაცვა ორი სხვადასხვა სფეროაო...**

- არ ვიცი, ეს ვისი მოსაზრებაა, მაგრამ ვერ დავეთანხმები. რადგან არა მგონია, რომ მეკარეები ასეთი უსარგებლონი იყვნენ. მწვრთნელის ტალანტი ნაკლებადაა დამოკიდებული მის სათამაშო ამპლუაზე. შემიძლია ბევრი გამოჩენილი თავდამსხმელის მაგალითი მოგიყვანოთ, რომელთაგან კარგი მწვრთნელი არ შედგა. არსენ ვენგერისა და ჟოზე მოურინიოს მაგალითი კი საპირისპიროზე მეტყველებს - სულაც არ არის საჭირო ფეხბურთელობისას იყო ვარსკვლავი, რათა ასეთი დონის მწვრთნელი გახდე. ცოდვა გამხელილი სჯობს და, ახლა არც ერთი მეკარე არ მახსენდება, ვინც კარიერის შემდეგ მწვრთნელის რანგში რაიმე ღირებულს მიაღწია.

**- ამ სტერეოტიპის დანგრევას კარიერის დასრულების შემდეგ თავად ხომ არ შეეცდებით?**

- ჯერჯერობით მარტო ის ვიცი ზუსტად, რომ კარიერის დასრულების შემდეგ კარგა ხანს დავისვენებ, მერე მწვრთნელის ლიცენზიის აღებაზე ვიზრუნებ. ისე, ყოველი შემთხვევისთვის...

**- ღმერთი გწამთ?**

- რა თქმა უნდა. ღმერთის რწმენის გარეშე ცხოვრება რთულია.

**- ათ მცნებასაც არასოდეს არღვევთ?**

- ჩემი აზრით, ბიბლია ინტერპრეტირებული შემოქმედებაა. არა მგონია, ვინმემ ზუსტად იცოდეს, რა იყო ორი ათასი წლის წინ. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ყველა მცნებას და ბიბლიაში წაკითხულ ყველა წინადადებას ვეთანხმები. უბრალოდ, ვცდილობ, ჩემს ოჯახსა და ახლობლებს ცხოვრება გავუადვილო ისე, რომ სხვას ზიანი არ მივაყენო. ამაში კი ღმერთის რწმენა მეხმარება.

**- ისევ ფეხბურთს დავუბრუნდეთ. თავდამსხმელთაგან ყველაზე მეტ პრობლემას ვინ გიქმნით?**

- ალან შირერი, ადრიანო. ადრე შაპუიზაც არ მაძლევდა გასაქანს. სამწუხაროდ, კიდევ ბევრი ფორვარდია, რომელიც ხშირად მიქმნის პრობლემებს.

**- ხომ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ყველაზე მეტად „მილანი" არ გიყვართ?**

- „მილანი" კარგი გუნდია, მაგრამ იქიდან ძალიან მალე წამოვედი. მწვრთნელმა სხვა მეკარე მამჯობინა, მიუხედავად იმისა, რომ მე უკეთესი ვიყავი. ნაღდმა ფეხბურთელმა არ უნდა დაუშვას, რომ ხშირად იჯდეს სათადარიგოთა სკამზე, თუნდაც ისეთ სახელოვან კლუბში, როგორიც „მილანია". ეს ნაკრებში მოხვედრის შანსს თითქმის არ გიტოვებს.

**- თქვენს სამშობლოში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე ფავორიტად ვის მიიჩნევთ?**

- პირველ რიგში, ბრაზილიას. ისინი ყოველთვის კარგ ფორმაში არიან და ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობენ. კიდევ არგენტინას, იტალიას, საფრანგეთს და, რა თქმა უნდა, გერმანიას. მოკლედ, ამერიკა არ აღმომიჩენია, არა?

**- დაბოლოს, ნაკრებში გასამართ მნიშვნელოვან ტურნირამდე საკლუბო დონეზე გელით ერთ-ერთი, ალბათ ყველაზე დაძაბული და პრინციპული მატჩი. ალბათ მიმიხვდით, ჩემპიონთა ლიგას ვგულისხმობ. ნერვიულობთ „ბარსელონასთან" შეხვედრის წინ?**

- ნერვიულობა ცოტა ცუდი ნათქვამია. მატჩის პრინციპულობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, დაძაბული ვარ. მაგრამ „ბარსელონასი" არ მეშინია, მე მზად ვარ ჩემი კარის დასაცავად.

## რა ღირს ბოლიდით გასეირნება

ფორმულა 1-ის ბოლიდით გასეირნებაზე ალბათ არაერთ ადამიანს უოცნებია. წელს მსურველებს ამის საშუალება ექნებათ, თანაც არც ისე დიდი თანხის საფასურად. აქამდე ბოლიდებით სეირნობის პრივილეგია მხოლოდ VIP სტუმრებს ჰქონდათ, ახლა კი ნებისმიერი მსურველი, რომელიც 2000 ევროს გაიღებს, შეძლებს „მინარდის" ბოლიდით ტრასაზე ერთი წრის შემოვლას. ეს ნოვაცია „მინარდის" გუნდმა ევროპის გრან-პრის წინ დანერგა. იგივე გამეორდება ესპანეთშიც.

## რეკორდსმენი ინდოეთიდან

4 წლის ინდოელმა ბიჭუნამ 65-კილომეტრიანი მარათონი 7 საათში გაირბინა. ექიმების განცხადებით, ბიჭუნამ შესაძლოა ვეღარასდროს შეძლოს სირბილი. მარათონული გარბენის შემდეგ ბავშვი შოკირებული იყო, წნევა აეწია და თირკმელების მუშაობა გაურთულდა. მართალია, გარბენის შემდეგ ბავშვი საკმაოდ ცნობილი გახდა და მის მიერ ნაჩვენებ შედეგს გინესის რეკორდების წიგნშიც შეიტანენ, მაგრამ 40-გრადუსიან სიცხეში 65 კილომეტრის სირბილი შესაძლოა ზრდასრულმა ადამიანმაც ვერ გადაიტანოს, რეკორდსმენ ბავშვს კი, როგორც ჩანს, საბოლოოდ შეერყა ჯანმრთელობა.

აღსანიშნავია, რომ ოთხი წლის განმავლობაში ეს ბიჭუნა უკვე ორჯერ გაყიდეს. ჯერ დედამისმა მიჰყიდა ფოსტალიონს 20 დოლარად, შემდეგ კი ასეთივე საფასურად - მისმა ახლანდელმა მწვრთნელმა.

## „აიაქსი" მწვრთნელის გარეშე დარჩა

ამსტერდამის „აიაქსის" მესვეურებმა თანამდებობიდან დაითხოვეს გუნდის მთავარი მწვრთნელი დენი ბლინდი. შეგახსენებთ, რომ ბლინდმა ამ პოსტზე სულ რაღაც 13 თვე დაჰყო. გასაკვირი ის გახლავთ, რომ სეზონის ბოლოს ბლინდმა „აიაქსს" ჯერ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოაპოვებინა, შემდეგ კი ამსტერდამელებმა ჰოლანდიის თასის ფინალურ მატჩში პსვ დაამარცხეს. სწორედ ამის შემდეგ გაათავისუფლეს მწვრთნელი.

## „პარმა" ახალ მფლობელს ელის

ამ ზაფხულს იტალიური „პარმა" ალბათ ახალ პატრონს იშოვის. ერთ დროს სახელოვანი გუნდის შეძენის სურვილი იტალიელმა ბიზნესმენმა ტომასო ჩირადიმ გამოთქვა. „ჩემს თანაშემწეებს ვთხოვე შეეფასებინათ „პარმაში" შექმნილი მდგომარეობა და ახლა მზად ვარ შევისყიდო ეს გუნდი", - განაცხადა ბიზნესმენმა იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში.

31 ტომასო ჩირადი მეტალურგიული კომპანია La Leonessa-ს მფლობელია და მხოლოდ ახლა გადაწყვიტა ფულის ჩადება საფეხბურთო ბიზნესში.

## დომენეკი შემადგენლობას კვირას დაასახელებს

საფრანგეთის ნაკრების თავკაცი რეიმონ დომენეკი სამფეროვანთა ნაკრების 23-კაციან შემადგენლობას კვირას დაასახელებს. მართალია, ფრანგების მწვრთნელს თითქმის გადაწყვეტილი აქვს, ვის წაიყვანს მუნდიალზე, მაგრამ რამდენიმე დეტალი მაინც გასარკვევია. კერძოდ, გამორიცხული არაა, რომ სიაში აღმოჩნდეს ლუდოვიკ ჟილუიც, რომელსაც უკვე დიდი ხანია დომენეკი იგნორირებას უკეთებს.

## ბერგერი წასვლაზე დაფიქრდა

„ასტონ ვილას" ჩეხმა ნახევარმცველმა პატრიკ ბერგერმა განაცხადა, რომ მომავალი სეზონის შემდეგ შესაძლოა ფეხბურთიდან წავიდეს. „თუ მომავალი წელიც ისეთივე წარუმატებელი გამოდგა, როგორც წლევანდელი, სეზონის დასრულებისთანავე დავამთავრებ კარიერას. სამშობლოში დავბრუნდები და ცხოვრებით დავტკბები. უკვე 33 წლის ვარ. გაუთავებულმა ტრავმებმა გამაწამეს. რა აზრი აქვს ფეხბურთში დარჩენას, თუ მინდორზე ვერ გავალ", - აცხადებს ჩეხი ვეტერანი.

## „რეალში" დბრუნება სწადია

მადრიდის „რეალის" ყოფილი პრეზიდენტი ლორენცო სანსი „სამეფო გუნდში" დაბრუნებას ლამობს და კვლავაც პრეზიდენტობა უნდა, თუმცა სანსს ჯერ არ გადაუწყვეტია იყრის თუ არა კენჭს საპრეზიდენტო არჩევნებში. „ჯერ უნდა გავიგო, მაქვს თუ არა მხარდაჭერა კლუბის დირექტორატის წევრებს შორის და მხოლოდ ამის შემდეგ წამოვაყენებ საკუთარ კანდიდატურას საპრეზიდენტო არჩევნებში. მინდა ყველას ვკითხო, სურთ თუ არა მათ იმ გზის გაგრძელება, რომელმაც „რეალი" ჩიხში მოამწყვდია", - განაცხადა ლორენცო სანსმა გაზეთ „ასის" ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში.

## დაუმს ნოვოტნის გადაბირება სურს

თურქული „ფენერბახჩეს" მთავარი მწვრთნელი კრისტოფ დაუმი აღიარებს, რომ დაინტერესებულია ლევერკუზენის „ბაიერის" მცველის იენს ნოვოტნის შეძენით. აღსანიშნავია, რომ 32 წლის მცველმა არ ისურვა „ასპირინელებთან" კონტრაქტის გაგრძელება და ახლა ნოვოტნი თავისუფალი აგენტია. თუ „ფენერბახჩეს" ხელმძღვანელებმა ნოვოტნის აგენტთან შეთანხმებას მიაღწიეს, ფეხბურთელი შესაძლოა ამ ზაფხულს ჩაირიცხოს თურქულ კლუბში.

## „რომაში" მომავალ სეზონზე საუბრობენ

გუშინ „რომას" მთავარი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი კლუბის პრეზიდენტ ფრანკო სენსის შეხვდა და გუნდის სატრანსფერო პოლიტიკაზე ესაუბრა. პრეზიდენტთან თათბირის შემდეგ სპალეტი კმაყოფილი ჩანდა, სანსმა პირობა მისცა თავისი გუნდის მთავარ მწვრთნელს, რომ ზაფხულში კლუბის არც ერთი წამყვანი ფეხბურთელი არ გაიყიდება. კერძოდ, უნდა გაფორმდეს ახალი კონტრაქტები სიმონე პეროტას, კრისტიან კივუსა და მანჩინისთან. რაც შეეხება გუნდის გაძლიერებას, სპალეტის განცხადებით, სენსიმ ამისთვისაც გამოყო გარკვეული თანხა.

## გერმანიამ ფიფას არჩევანი გააკრიტიკა

გერმანული ფეხბურთის მესვეურებმა მკაცრად გააკრიტიკეს ფიფას არჩევანი მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯების შერჩევასთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ ფიფამ მუნდიალის სამსაჯოდ არ დაუშვა ცნობლი გერმანელი არბიტრი ჰერბერტ ფანდელი, რამაც გერმანული ფეხბურთის მამების გულისწყრომა გამოიწვია. „საოცარი რამ ხდება. დასახელებული არბიტრებიდან ერთ-ერთს მხოლოდ სტუდენტურ ლიგაში მსაჯობის გამოცდილება აქვს. ის სინგაპურში სამოყვარულო სტუდენტური ლიგის მატჩებს მსაჯობს და მსოფლიო ჩემპიონატზეც იმუშავებს. ჰერბერტ ფანდელი კი ფიფას რატომღაც გამორჩა,“ - აცხადებს გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე მანფრედ ამერელი. მისი თქმით, სიაში ფანდელთან ერთად აუცილებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი ნორვეგიელი მსაჯი ტერი ჰაუგეც.

„ასე არ შეიძლება. მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ საუკეთესოები უნდა მუშაობდნენ. მაღალი დონის რამდენიმე ევროპელი არბიტრი კი რატომღაც მუნდიალს მიღმა დატოვეს“, - ამბობს ამერელი.

## რონალდინიოს სამიზნე

„ბარსელონას“ ბრაზილიელმა ვარსკვლავმა რონალდინიომ განაცხადა, რომ სამი წლის წინ კატალონიურ კლუბს ჩემპიონთა ლიგის მოგების მიზნით შეუერთდა. „როდესაც ბარსელონაში ჩამოვედი, ჩემი მიზანი ტიტულების მოგება იყო. ესპანეთის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგის მოგება მინდოდა. პირველი მიზანი უკვე მიღწეულია - აგერ უკვე მეორე სეზონია ესპანეთის ჩემპიონი ვხდები. ახლა უფრო მეტი მინდა. პარიზული ფინალიც მოვიგეთ, ვიტყვი, რომ ოცნება ამიხდა,“ - აცხადებს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი.

## ბრიგელი ალბანეთს ტოვებს

ალბანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჰანს-პეტერ ბრიგელი ახალი სამუშაოს ძიებაშია. ბრიგელმა სამი წელი გაატარა ალბანეთის ნაკრების სათავეში, ახლა კი გარემოს შეცვლა სურს. გამოცდილმა მწვრთნელმა არ ისურვა ალბანელებთან კონტრაქტის გაგრძელება და უახლოეს დღეებში დატოვებს ამ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს. საინტერესოა, რომ ალბანელებთან ურთიერთობის გაწყვეტის მთავარი მიზეზი ახალი კონტრაქტის პირობები იყო. „ასეთი კონტრაქტი ცხოვრებაში არ მინახავს. როდესაც კონტრაქტის პირობები წავიკითხე, ძალიან გამიკვირდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ალბანელებს თავადაც არ სურდათ, რომ დავრჩენილიყავი. ამიტომ შემომთავაზეს აბსურდული პირობები“, - აცხადებს ბრიგელი.

## დავიდსი მზადაა „აიაქსში“ დაბრუნდეს

ედგარ დავიდსი მზადაა ამ ზაფხულს „ტოტენჰემ ჰოთსფურზი“ დატოვოს და მშობლიურ ამსტერდამის „აიაქსს“ დაუბრუნდეს. ინგლისური გამოცემა „მირორის“ თანახმად, დავიდსმა ეს გადაწყვეტილება „ვესტ ჰემთან“ მარცხის შემდეგ მიიღო. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ უკანასკნელთან წაგების შემდეგ „ტოტენჰემმა“ მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრის რეალური შანსი დაკარგა. გავრცელებული ხმების თანახმად, დავიდსის ამ გადაწყვეტილებას არც „ჰოთსფურზის“ მთავარი მწვრთნელი მარტინ იოლი ეწინააღმდეგება.

ედგარ დავიდსი ტურინის „იუვენტუსიდან“ სწორედ იოლის პირადი მიწვევის შემდეგ აღმოჩნდა „ტოტენჰემში“.

## „ინტერი“ „პალერმოს“ ფეხბურთელებით ძლიერდება

იტალიური პრესის ცნობით, მილანის „ინტერმა“ ფაბიო გროსოს ტრანსფერთან დაკავშირებული თითქმის ყველა დეტალი შეათანხმა „პალერმოსთან“. კლუბის ხელმძღვანელებმა მასიმო მორატიმ და მაურიციო ძამპარინიმ ამის თაობაზე წუხელ საღამოს გამართეს მოლაპარაკებები.

სავარაუდოდ, ტრანსფერი 2,5 მილიონი ფუნტით განისაზღვრება, თუმცა „ინტერი“ მზადაა დასახელებულ თანხას თავის მფლობელობაში მყოფი ერთი ფეხბურთელიც დაამატოს. გავრცელებული ხმების თანახმად, ასეთ შემთხვევაში „პალერმოს“ პრეზიდენტი დავიდ პიზაროსა და ნიკოლა ბურდისოს შორის გააკეთებს არჩევანს. გროსოს გარდა, მილანური კლუბის ხელმძღვანელობა „პალერმოს“ კიდევ ერთი მოთამაშით, ცენტრალური ნახევარმცველით სიმონე ბარონეტითაა დაინტერესებული.

## „იუვენტუსმა“ გრაფიტე დაიმატა

ფრანგული „ლე მანის“ ბრაზილიელი თავდამსხმელი გრაფიტე ზაფხულის სატრანსფერო სეზონში ტურინის „იუვენტუსში“ გადავა. გრაფიტე ოფიციალურად ბრაზილიური „სან პაულოს“ კუთვნილებაა, თუმცა ფეხბურთელი ფრანგულ კლუბში იჯარის წესით გამოდიოდა. იტალიელი ჟურნალისტების ვარაუდით, გრაფიტე, მარსელო ძალაიეტასთან ერთად, „იუვენტუსის“ დუბლშემადგენლობაში ითამაშებს.

სავარაუდოდ, ტურინული კლუბისთვის ეს იქნება ბოლო ტრანსფერი, რომელიც გენერალური მენეჯერის ლუჩანო მოჯის თაოსნობით განხორციელდება.

ლუჩანო მოჯი, რომელიც მსაჯებთან ფარულ გარიგებაში ამხილეს, დღეს დატოვებს დაკავებულ თანამდებობას.

## „არსენალი“ „ტოტენჰემს“ ბერბატოვს ეცილება

ლონდონის „არსენალი“ „ტოტენჰემ ჰოთსფურზს“ გერმანულ „კაიზერსლაუტერნში“ მოთამაშე თავდამსხმელს დიმიტარ ბერბატოვს ეცილება.

როგორც ინგლისური „ტელეგრაფი“ იტყობინება, „ტოტენჰემის“ სპორტულმა დირექტორმა „კაიზერსლაუტერნის“ ხელმძღვანელობას ბერბატოვის სანაცვლოდ 7 მილიონი ფუნტი სტერლინგი შესთავაზა. თავად ბულგარელი ფეხბურთელი ლონდონელთა წინადადებაზე თანახმა იყო. თუმცა, თავდამსხმელის სანაცვლოდ გერმანელებმა იმაზე მეტი თანხა მოითხოვეს, ვიდრე „ტოტენჰემს“ შეეძლო გადაეხადა.

სამაგიეროდ, გერმანელთა მიერ დასახელებული თანხის გადახდაზე თანახმაა ლონდონის „არსენალი“, რომლის ხელმძღვანელობა სპეციალურად ჩავიდა გერმანიაში, რათა დიმიტარ ბერბატოვი საქმეში ენახა.

# ლებრონი „კლივლენდს“ ვერ შველის

NBA-ს დასავლეთ კონფერენციაში გაიმართა ფლეიოფების ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩები. „დეტროიტმა“ მეორე შეხვედრაც მოუგო „კლივლენდს“ და სერიაში ანგარიშით 2:0 დაწინაურდა. „დალასმა“ კი „სან ანტონიოს“ გასვლით შეხვედრაში სძლია და სერიაში ანგარიში გაათანაბრა - 1:1.

ორივე მატჩი დაძაბული გამოდგა. დავიწყოთ „დეტორიტისა“ და „კლივლენდის“ დაპირისპირებით. მასპინძლებმა საკმაოდ კარგად დაიწყეს თამაში და პირველი სამი მეოთხედის მოგებით მიაღწიეს საბოლოო გამარჯვებას - 97:91.

აღსანიშნავია დეტროიტელთა სასტარტო ხუთეულის ბრწყინვალე თამაში. ტაიშონ პრინცმა მატჩი 20 ქულით დაასრულა, რაშიდ უოლასმა - 29-ით, ბენ უოლასმა - 10-ით, რიჩარდ ჰამილტონმა - 17-ით, ხოლო ჩონსი ბილაპსმა - 15-ით.

სწორედ ამ ხუთეულის კარგმა თამაშმა განაპირობა მასპინძელთა გამარჯვება, „კლივლენდმა“ კი მეტოქეს მხოლოდ ლებრონ ჯეიმსის ბრწყინვალე თამაში დაუპირისპირა. ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა თავის გუნდს 30 ქულა შესძინა და 14-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. თუმცა, გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ახლა გუნდები კლივლენდში გადაინაცვლებენ და ლებრონი თანაგუნდელებთან ერთად შეეცდება ინტრიგა შესძინოს ნახევარფინალურ სერიას, რადგან თუ „დეტროიტმა“ სერიის მესამე მატჩიც მოიგო, ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილი იქნება.



მარტო ლებრონი თამაშებს ვეღარ იგებს.

რაც შეეხება მეორე მატჩს, „დალასმა“ „სან ანტონიო“ 113:91 დაამარცხა. სერიაში ანგარიში გათანაბრდა და მთელი ბრძოლა წინაა. ალბათ ამ წყვილში გამარჯვებულის გამოვლენას შვიდივე შეხვედრის გამართვა დასჭირდება, თუმცა სტუმრად მოპოვებული გამარჯვების წყალობით ახლა უპირატესობას დალასელები ფლობენ.

მატჩის ბედი გადაწყდა მეორე მოთხედში, რომელიც „დალასმა“ ანგარიშით 32:16 მოიგო. ამის შემდეგ ნოვიცკიმ და კომპანიამ უპირატესობა ხელიდან არ გაუშვეს და შეხვედრა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს.

# დავიდარაბა

### ნისტელროის მანჩესტერში აღარ დაედგომება

*ინგლისში ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. ლონდონის „ჩელსი“ ელოდება ანდრეი შევჩენკოს პასუხს, რუუდ ვან ნისტელროოი კინაღამ ეჩხუბა კრიშტიან რონალდუს, ხოლო უეინ ბრიჯმა დანა მიიღო სახეში. ასეთია ბოლო ინფორმაციები ნისლიანი ალბიონიდან.*

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა ორშაბათს კრება მოაწყო გუნდის გენერალურ მენეჯერ დევიდ გილთან ერთად და განიხილა ჰოლანდიელი ფორვარდის რუუდ ვან ნისტელროის ტრანსფერის საკითხი. ფეხბურთელის სატრანსფერო თანხამ დაახლოებით 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი უნდა შეადგინოს. არსებობს მეორე ვარიანტიც, რომლის თანახმად, ნისტელროი შეიძლება შეთანხმების ნაწილი გამოდგეს. ამ შემთხვევაში „მანჩესტერის“ ფორმას მადრიდის „ატლეტიკოს“ თავდამსხმელი ფერნანდო ტორესი მოირგებს.

შეგახსენებთ, რომ რუუდ ვან ნისტელროიმ გასაგებად თქვა: მას არ სურს „მანჩესტერში“ დარჩენა. ამის მიზეზი გახდა დაპირისპირება ფერგიუსონთან, რომელიც ჰოლანდიელ თავდამსხმელს ბოლო დროს სასტარტო შემადგენლობაში არ ათამაშებდა. ამას გარდა, ნისტელროიმ საბოლოოდ გაიფუჭა ურთიერთობა თანაგუნდელებთან.

გუნდის ერთ-ერთ უკანასკნელ ვარჯიშზე ჰოლანდიელმა კინაღამ იჩხუბა კრიშტიანუ რონალდუსთან, რომელსაც ირონიულად ალექს ფერგიუსონის თანაშემწის კარლუშ კეიროშის „ლაწირაკი“ უწოდა.

არც ლონდონის „ჩელსის“ მცველი უეინ ბრიჯია მოწყენილი. ფეხბურთელი, რომელმაც სეზონის დასკვნითი ნაწილი იჯარით „ფულჰემში“ გაატარა, ლონდონის ერთ-ერთ კლუბში ჩხუბში გაეხვია. ცემატყეპის დროს ბრიჯი სახეში დანით დაჭრეს. თუმცა სასწრაფო დახმარებაზე ფეხბურთელმა უარი განაცხადა. შეგახსენებთ, რომ ბრიჯი სვენ-გორან ერიქსონმა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა წინასწარ ნუსხაში შეიყვანა.

გენუის „სამპდორიას“ მცველი აიმო დიანა მსოფლიო ჩემპიონატზე ნამდვილად ვერ გაემგზავრება. გერმანიის სტადიონებზე არ ითამაშებს ფრანგული „მონაკოს“ იტალიელი ფორვარდი კრისტიან ვიერიც. ამის შესახებ „სკუადრა აძურას“ მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ განაცხადა. ვიერის მარცხენა მუხლზე ოპერაციას გაუკეთებენ, დიანას კი საზარდულის ტრავმა აწუხებს. იმ 23 ფეხბურთელს, რომელიც გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება, ლიპი 15 მაისს დაასახელებს.

ზინედინ ზიდანს კი, რომელმაც ახლახან უკანასკნელი მატჩი ჩაატარა მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში, შესთავაზეს მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დაბრუნდეს მადრიდში და სათავეში ჩაუდგეს „რეალის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლას. მოგეხსენებათ, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ „ზიზუ“ საფეხბურთო კარიერას დაასრულებს და 10 წლის ბავშვებს გაწვრთნის.

ამასთან, „რეალის“ ხელმძღვანელობამ „მილანის“ მწვრთნელს კარლო ანჩელოტის სთხოვა დროზე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება თავისი მომავალი სამსახურის შესახებ. მადრიდელებს სურთ იტალიელ სპეციალისტთან კონტრაქტი უახლოეს ერთ კვირაში გააფორმონ. ამასობაში ესპანური „ას“ აცხადებს, რომ ანჩელოტიმ უკვე მოაწერა ხელი წინასწარ შეთანხმებას „რეალთან“. თანაც ორი თვის წინათ.

რაც შეეხება „როსონიერის“, კლუბის ხელმძღვანელობა ჯერჯერობით ფეხბურთელებთან მოლაპარაკებებით არის დაკავებული. ამას წინათ „მილანმა“ კონტრაქტი შესთავაზა „ჩელსის“ ფრანგ მცველს უილიამ გალასს. ფრანგული პრესის ცნობით, იტალიელები იაპ სტამის „აიაქსში“ გადასვლის შემდეგ ცდილობენ გააახალგაზრდაონ შემადგენლობა. „მილანის“ დაცვას ხომ ისეთი „ბაბუები“ თამაშობენ, როგორებიც არიან კოსტაკურტა, კაფუ და მალდინი.

ამას გარდა, შავ-წითლების ბოსები იძულებულნი არიან გადახედონ მოქმედ კონტრაქტს ანდრეი შევჩენკოსთან და მას გასამრჯელო მოუმატონ. უკრაინელი აპირებს „მილანში“ ხელფასის სახით კვირაში 115 ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღოს. თუ მილანელებს მოეჩვენებათ, რომ შევჩენკოს მადა გაეზარდა, მაშინ უკრაინელი ჩინოვნიკებს სთხოვს „ჩელსიში“ გაყიდონ, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში შევჩენკოსადმი აშკარა ინტერესს იჩენდა. ინგლისელთათვის სერიოზული კოზირია ისიც, რომ შევჩენკოს მეუღლე ამერიკელი მოდელი კრისტენ პაზიკი სიზმარში ხედავს, თუ როგორ ცხოვრობს ლონდონში.



## ინფოთეკა

## კოკაის მორიგი მარცხი

სამწუხაროდ, კოკაიმ მაისის ბაშოზე მეორე ბრძოლაც წააგო. ახლა ქართველს ორი მოგება და ორი წაგება აქვს.

გუშინ კოკაი მესამე მაიგეშირა კოტოშიგოკუს ერკინებოდა. ქართველი სუმოისტის მეტოქემ იორიტაოშის ილეთი გამოიყენა და ასე დაამარცხა კოკაი. დღეს ლევან ცაგურია მორიგ ბრძოლას გამართავს. კოკაის კვლავ სერიოზული მეტოქე ეყოლება - მეორე მაიგეშირა ასაშერიკუ.

## ლაბაძემ დრეზდენში იმარჯვა

საჩოგბურთო სამყარო „როლან გაროს“ დაწყების მოლოდინშია. მანამდე კი სხვადასხვა ტურნირები მიმდინარეობს. ირაკლი ლაბაძე გერმანულ ქალაქ დრეზდენში ასპარეზობს, სადაც პირველ წრეში გიკველი დაამარცხა. წამყვანი ჩოგბურთელები კი რომასა და ბერლინში ცდიან ძალებს. გთავაზობთ გუშინ გამართული მატჩების შედეგებს:

**ბერლინი, ქალები**

გრონფელდი - კასტანო .........3:6, 6:2 3:6
პეშკე - საფინა ..............................3:6, 1:6
პუს ტიო - ბამერი..................4:6, 6:4, 5:7
ვიერინი - ლი..................................1:6, 2:6
ვაკულენკო - დემენტიევა............2:6, 0:2
(ვაკულენკომ თამაში შეწყვიტა)
ჩაკვეტაძე - მედინა......................6:3, 6:4
ზენგი - კრემერი...........................7:6, 6:3
კუკალოვა - კირილენკო..............4:6, 3:6
მიულერი - კუზნეცოვა .........3:6, 6:3, 0:6
ზვონარევა - პეტროვა..................1:6, 6:7
ჰინგისი - შრუფი ..........................6:4, 6:3
მორესმო - დუშევინა ....................6:2, 6:1

**პრაღა, ქალები**

კანპეი - ფორეტცი.................7:5, 1:6, 7:6
მორიგამი - სტრუჩოვა ................6:3, 6:1
გჟინკი - ბონდარენკო ...........6:2, 0:6, 2:6

**რომი, მამაკაცები**

მარტინი - კიფერი........................6:3, 7:6
ნალბანდიანი - მატეუ...................6:2, 6:4
სანტორო - ჰრბატი.......................7:6, 6:3
გავილანი - რუსეცკი ....................6:7, 4:6
როდიკი - ბაგდატისი............3:6, 6:1, 6:2
მალისე - ბერდიჩი ........................2:6, 1:6

## ჰოკეი

## 12 უძლიერესი

ლატვიაში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. გუშინ დასრულდა პირველი ჯგუფური ეტაპი. რომელმაც გამოავლინა 12 უძლიერესი გუნდი. ეს გუნდები მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ. მანამდე კი ორ 6-გუნდიან ჯგუფს შექმნიან, საიდანაც მეოთხედფინალურ ეტაპზე, პლეი-ოფში ჯგუფების 4-4 მოწინავე გააგრძელებს თამაშს.

E ჯგუფში A და D ჯგუფების სამ-სამი საუკეთესო გაერთიანდება. F ჯგუფს კი წარმოადგენს B და C ქვეჯგუფის სამ-სამი მოწინავე გუნდი.

**A ჯგუფი:**

ლატვია - სლოვენია .................... 5:1
ჩეხეთი - ფინეთი......................... 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 13:6 | 5 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 9:8 | 4 |
| ლატვია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | 3 |
| სლოვენია | 3 | 0 | 0 | 3 | 8:15 | 0 |

**B ჯგუფი:**

კანადა - აშშ.................................2:1
ნორვეგია - დანია ........................6:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 3 | 3 | 0 | 0 | 14:5 | 6 |
| აშშ | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 0 | 2 | 8:13 | 2 |
| დანია | 3 | 0 | 0 | 3 | 6:14 | 0 |

**C ჯგუფი:**

რუსეთი - სლოვაკეთი..................4:3
ბელორუსი - ყაზახეთი ................7:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 17:6 | 6 |
| ბელორუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 11:5 | 4 |
| სლოვაკეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 10:6 | 2 |
| ყაზახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:23 | 0 |

**D ჯგუფი:**

შვედეთი - შვეიცარია ..................4:4
უკრაინა - იტალია .......................4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 12:6 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 2 | 1 | 0 | 9:6 | 5 |
| უკრაინა | 3 | 1 | 0 | 2 | 7:8 | 2 |
| იტალია | 3 | 0 | 0 | 3 | 3:11 | 0 |

*მეოთხედფინალები 17 და 18 მაისს გაიმართება. ნახევარფინალები 20 მაისს, ხოლო ფინალი 21 მაისს გაიმართება.*

# განცხადება

ს.ს.ი.პ - საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სა-აკრედიტაციო სამსახური საქართველოს განათლების დეცენტრალიზაციისა და აკ-რედიტაციის პროექტთან (Georgia Education Decentralization and Accreditation - GEDA) თანამშრომლობით აცხადებს 2006 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა კანდი-დატების შესარჩევ კონკურსს საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებ-ის ინსტიტუციური აკრედიტაციის მიზნით.

კანდიდატთა განაცხადები მიიღება მიმდინარე წლის 10-დან 20 მაისის ჩათვლ-ით, ხოლო კანდიდატებთან გასაუბრება ჩატარდება 22-დან 26 მაისამდე. აკრედი-ტაციის ექსპერტთა შერჩევის წესი იხილეთ დანართში: "აკრედიტაციის ექსპერტ-თაA შერჩევის წესის შესახებ".

აღნიშნული ინფორმაცია აგრეთვე შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს განათ-ლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე - **www.mes.gov.ge**

გთხოვთ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: საქა-რთველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო საავრედიტაციო სამსახური - თბილისი, 0102, უზნაძის ქ. N68, მე-3 სართული.

**საქართველოს საგანმანათლებლო
დაწესებულებების სახელმწიფო
საავრედიტაციო სამსახურის დირექტორი ნინო ჩუბინიძე**

*დანართი*

**აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის წესის დამტკიცების მიზანია აკრე-დიტაციის კვალიფიციური ექსპერტების მოძიება და ამ გზით უმაღლესი საგანმა-ნათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური აკრედიტაციის სრულფასოვნად გან-ხორციელების უზრუნველყოფა.
2. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევა ხორციელდება ძირითადი და დამა-ტებითი კრიტერიუმების შესაბამისად.

**მუხლი 2. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევაში მონაწილეობის უფლება-მოსილების მქონე პირები**

1. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს მოქალაქეს, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს, აგრეთვე საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო და-წესებულების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი კურსის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს.
2. აკრედიტაციის ექსპერტთა კანდიდატების წარდგენა შეუძლიათ საგანმა-ნათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, საზოგადოებრივ გაერ-თიანებებს, პროფესიულ ასოციაციებს, საერთაშორისო და უცხო ქვეყნის ორგანი-ზაციებს.

**მუხლი 3. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები**

1. ძირითადი კრიტერიუმებია:
ა) უმაღლესი განათლება;
ბ) კვალიფიკაციით მუშაობის გამოცდილება.
2. აკრედიტაციის ექსპერტის კანდიდატს კვალიფიკაციის მიხედვით უნდა შეე-ძლოს აკრედიტაციის მაძიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირობების შესაბამისობის დადგენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N223 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლეს საგა-ნმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის დებულებით განსაზღვრულ ინს-ტიტუციური აკრედიტაციის ერთ-ერთ ძირითად ან/და დამატებით კრიტერიუმთან მაინც.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება აკრედიტაციის ექ-სპერტის იმ კანდიდატზე, რომელიც არის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათ-ლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დამამ-თავრებელი კურსის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის სტუდენტი.

**მუხლი 4. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის დამატებითი კრიტერიუმები**

აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის დამატებითი კრიტერიუმებია:

a) ზოგადი ცოდნა უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შესახებ;
b) პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
g) ანალიტიკური აზროვნების, კომუნიკაბელურობის, ჯგუფში მუშაობის უნ-არ - ჩვევები;
d) დაძაბულ სიტუაციაში თავის მართვის უნარი;
e) გარემოსა და სიტუაციის აღქმის, ობიექტურად შეფასებისა და მიუკერძო-ებლად განსჯის უნარი;
v) ქართულ ენაზე აზრის წერილობით დახვეწილად გადმოცემის უნარი და წერის მაღალი კულტურა.

**მუხლი 5. აკრედიტაციის ექსპერტის კანდიდატის მიერ წარსადგენი ინფორ-მაცია**

აკრედიტაციის ექსპერტის კანდიდატმა ს.ს.ი.პ - საქართველოს საგანმანათლე-ბლო დაწესებულებების სახელმწიფო საავრედიტაციო სამსახურში (შემდგომში - სამსახური) დადგენილ ვადაში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

a) წერილობითი განცხადება, სადაც აღინიშნება კანდიდატის ორი რეკომენ-დატორი მათი ვინაობის და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით;
b) პირადი მონაცემები (CV);
გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომის) დადგე-ნილი წესით დამოწმებული ასლი.

**მუხლი 6. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის წესი**

1. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევა ხორციელდება ორ ეტაპად.
2. პირველი ეტაპის დროს დგინდება კანდიდატის მონაცემების შესაბამისო-ბა აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის ძირითად კრიტერიუმებთან.
3. მეორე ეტაპის დროს დგინდება კანდიდატის მონაცემების შესაბამისობა აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის დამატებით კრიტერიუმებთან, აგრეთვე კან-დიდატის გამოცდილების შესაბამისობა აკრედიტაციის მიზნებთან.
4. კანდიდატი უფლებამოსილია გავიდეს მეორე ეტაპზე იმ შემთხვევაში თუ ის წარმატებით გადალახავს პირველ ეტაპს.
5. შერჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს აკრედიტა-ციის ექსპერტთა შერჩევის ძირითად და დამატებით კრიტერიუმებს.
6. ამ მუხლით დადგენილ პროცედურას ახორციელებს სამსახურის დირექ-ტორის მიერ შექმნილი ჯგუფი, რომელიც შედგება სამსახურის თანამშრომელთა და მოწვეული ექსპერტებისაგან.

**მუხლი 7. აკრედიტაციის შერჩეულ ექსპერტთა დამტკიცება**

შერჩევის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღისა დირექტორს წარედგინება აკ-რედიტაციის ექპერტთა კანდიდატების შერჩევის შედეგები, რომლის დამტკიცებ-ის შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტი ითვლება შერჩეულად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ღია ტენ-დერს "2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნე-ბის ფარგლებში კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად და იწვევს ტენდერში მონაწილე-ობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. ა

| ლოტი № | | შესყიდვის ობიექტი | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | 1.1 | კომპიუტერი | 21 ცალი |
| | 1.2 | მონიტორი | 22ცალი |
| | 1.3 | უწყვეტი კვების წყარო | 26 ცალი |
| 2 | 2.1 | ლაზერული პრინტერი | 17ცალი |
| | 2.2 | ფერადი პრინტერი | 1 ცალი |
| 3 | 3.1 | სკანერი | 1 ცალი |
| | 3.2 | ასლგადამღები მოწყობილობა | 4 ცალი |
| 4 | | მონაცემთა პროექტორი | 3 ცალი |
| 5 | 5.1 | პორტატული კომპიუტერი | 4 ცალი |
| | 5.2 | iPAQ bluetooth Foldable Keyboard | 1 ცალი |
| 6 | | სერვერი | 3 ცალი |

ბ) ტექნიკა მიწოდებული უნდა იყოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, დანიშ-ნულების ადგილზე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დ. უზნა-ძის ქ. N52, ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად (1 - დედანი, 2 - ასლი), 2006 წლის 7ივნისის 1500 საათა-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ.№52, ოთახი №222. წარმოდგენილი პა-კეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 7 ივნისს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთა-ვრებისთანავე, ქ. თბილისის, დ. უზნაძის ქ.N52 მე-2 სართულზე ოთახი N214.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
4.1 იურიდიული პირისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობები, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია(ცნობა საგა-დასახადო სამსახურიდან);
გ) ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
დ) ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული და-ნაშაულისათვის; (ცნობა წარმოადგინონ შს ს.).
ე) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს ლიკვიდაციის, გაკოტრების ან სანაციის საქმე; (ცნობა სასამართლოდან);
ვ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;
4.2 ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონო-მიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის, (ცნობა შსს).
4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფო-ნი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს.
- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითი-თებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. გარანტიის პირობების შესახებ დეტალური ინ-ფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.
5. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაი-ხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:
**მიმღები:**
**ერთიანი ანგარიში (არასაგადასახადო შემოსავლები)**
სახაზინო კოდი: **302003000**
ეროვნული ბანკი: **ანგ N 200122900**
ბანკის კოდი: **220101107**
**დამატებით ინფორმაციაში** უნდა იყოს მითითებული შემდეგი ინფორმაცია: **საქართ-ველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ორგ. კოდი 2211, სატენდერო მო-საკრებელი კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად.**
ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცე-მებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენ-ტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
8. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინ-ტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე: დ. ბარაბაძე, მ. ფალიაშვილი , ქ.თბილისი, დ.უზნაძის ქ. №52 ტ. 95-65-91, ოთახი №222 სა-ქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარა-ტი.

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

შპს "სანდასუფთავების" მიერ 2006 წლის 03 მარტს სპეცტან-საცმელის და სპეცინვენტარის შესყიდვის მიზნით გამოცხადებ-ულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება დაიდო ინდივიდუალურ საწა-რმო "გელა ღაღანიძესთან".

**შპს "სანდასუფთავების" სატენდერო კომისია**

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

შპს "სანდასუფთავების" მიერ 2006 წლის 04 მარტს პროგრა-მული უზრუნველყოფისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში გაიმარჯვა შპს "ალფა ტე-ქნოლოჯი სოლუშენს" - მა.

**შპს "სანდასუფთავების" სატენდერო კომისია**

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

შპს "სანდასუფთავების" მიერ 2006 წლის 04 მარტს საკონსუ-ლტაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ორე-ტაპიან ტენდერში გაიმარჯვა შპს "რეალ ქონსალტინგმა".

**შპს "სანდასუფთავების" სატენდერო კომისია**

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

შპს "სანდასუფთავების" მიერ 2006 წლის 03 მარტს ავტომან-ქანების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯ-ვებულად გამოვლინდა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელ-შეკრულება დაიდო ინდივიდუალურ საწარმო "გენადი დიასამიძე-სთან".

**შპს "სანდასუფთავების" სატენდერო კომისია**

TV5MONDE

## 11 მაისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფ-რიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამო-შვებები. **06.30** ერტა'ალე - მთა, რომელიც ბოლავს. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ეკატერინე. სე-რიალი. **11.30** ჟულის მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო. დოკ.ფილმი. **12.20** შველის დაბრუნება. დოკ. ფი-ლმი. **14.05** TV5-ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** მიტოვებული ადგილი. მიწის რომანი. ტელესერიალი. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** არტ-რეპორტაჟი. **20.30** ჩე-მი უცხოელი შვილი. მხ ფილმი. რეჟისორი ვილიამ კრეპენი. 2005. **23.00** კვაზიმოდო დელპარიდან. მხ ფი-ლმი. რეჟისორი პატრიკ ტიმსიტი. 1999. **01.20** გადაცემა: კულტურები და დამოკიდებულებები. **04.40** არტ-რეპორტაჟი.



www.interes.ge

**სიახლე ინტერნეტის მომხმარებლებისათვის!!!**
**გაიხსნა ახალი ქართულენოვანი საძიებო სისტემა.**
**გვესტუმრეთ და მიიღეთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია**
ვებ კატალოგი, ახალი ამბები, ინტერნეტ რადიო, ინტერნეტ TV, გურმანი, sms-ების უფასო გაგზავნა, ონლაინ თამაშები, Chat, უფასო პროგრამები, მისალოცი ბარათების გაგზავნა და სხვ.

Call Center
ჩვენი დახმარებით თქვენი ბიზნესი იქნება წარმატებული



tel: (955 32) 50 66 55
www.cc.ge

# განცხადება ტენდერის შესახებ

**ქ. რუსთავი 11 მაისი 2006 წ.**

1. ქალაქ რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობა აცხადებს ღია ტენდერს ქალაქ რუსთავში გზის საფარის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებზე. გზების ჩამონათვალი თავის დაახლოებითი საერთო ფართის ჩვენებით:
- გურამიშვილის ქუჩა - 2858 მ²;
- ლერმონტოვის ქუჩა - 4512 მ²;
- მესხიშვილის II და III გასასვლელებს შორის (21 სკოლასთან მისასვლელი) - 3218 მ²;
- XII მკ-ნის შიდა კვარტალური ქუჩა - 4678 მ²;
- კიროვაკანის ქუჩა - 7418 მ²;

2. ვიწვევთ ტენდერში ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელმაც ბანკში უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით, (ეროვნული ბანკის ერთიან ანგარიშზე N200122900, რუსთავის ხაზინის შიფრი N300064040) თუ სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში.

3. ნებისმიერი პრეტენდენტი, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის აპარატში (მის: ქ. რუსთავი კოსტავა N20 ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა 4-ე სართული სახელმწიფო შესყიდვების სამსახური) სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამდასტურებელ ქვითარს, დაუყოვნებლივ მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციას.

4. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 30 მაისის 18.00 სთ-მდე..

5. მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში 2006 წლის 31 მაისს 10.00 - 18.00 სთ-მდე.

6. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ვერ წარმოადგენს 5-ე პუნქტში აღნიშნულ ვადაში 7-ე ან 8-ე პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებს:

7. **საკვალიფიკაციო მონაცემები იურიდიული პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**
- მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან).
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).
- არ უნდა ხორციელდებოდეს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან).
- მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან).

8. **საკვალიფიკაციო მონაცემები ფიზიკური პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**
- ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი არის ქმედუნარიანი;
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან)
- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

9. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სრულად უნდა შეესაბამებოდეს განცხადებაში მოთხოვნილ ცნობებს, რომლის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაშიც ან თუ რომელიმე ცნობა ყალბი აღმოჩნდება ტენდერში მონაწილე პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას.

10. საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების განხილვის ვადას დაადგენს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადის დასრულებისთანავე გამართულ კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება 2006 წლის 31 მაისს 18.00 სთ-ზე.

11. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურეს დროს წარმოქმნილი მხარეთა პრეტენზიები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: რუსთავი, კოსტავას გამზ. N20 4-ე სართული სახელმწიფო შესყიდვების სამსახური

ტელ: 824 12 36 35.

**სატენდერო კომისია**

# ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია

**1.** ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N43-ში მდებარე შენობის (პროფგაერთიანების ადმინისტრაციული კორპუსები) მესამე სართულისა და სახურავის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2**. სარემონტო სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 29 მაისის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი)

ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300034040

**5.** პრეტენდენტებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 30 მაისის 10:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1** იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**6.2** ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნინო დოლიძე და ეკა ბასილაშვილი, ტელ: (995-32) 98-82-14, (995-32) 93-37-90, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია, ოთახი N014.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია

**თანახმად "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2006 წლის 21 თებერვალს, 16,17 მარტს ფეხსაცმლის, პირადი ჰიგიენის საგნების, საპოხი მასალების, რბილი ინვენტარის, სხვადასხვა სანივთე საქონლის და პოლიგრაფიული მასალების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:**

ფეხსაცმელი

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი მომსახურების დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| ინდ. მეწარმე "მაია კეკელაშვილი" | სპორტული ფეხსაცმელი | წყ. | 2000 | 21.00 | 42000 |
| ინდ. საწარმო "დავით ქვრივიშვილი" | ფეხსაცმელი მაღალყელიანი | წყ. | 7700 | 50.00 | 385000 |
| | | | | სულ ტენდერი | **427,000.00** |

პირადი ჰიგიენის საგნები

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი მომსახურების დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| ინდ. საწარმო "მამუკა ღუდუშაური" | საოჯახო საპონი | კგ | 7000 | 1.65 | 11550 |
| ინდ. საწარმო "დავით ქვრივიშვილი" | ხელის საპონი | კგ | 2000 | 4.00 | 8000 |
| | | | | სულ ტენდერი | **19,550.00** |

საპოხი მასალები

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| შპს "თეგეტა მოტორსი" | სპეციალური ზეთი -"TSV" | კგ | 1000 | 11.5 | 11500.00 |
| | ძრავის ზეთი - SAE 15W40 | კგ | 25000 | 3.25 | 81250.00 |
| | სამუხრუჭე სითხე - DOT-4 | ლიტ. | 3500 | 7.6 | 26600.00 |
| | ჰიდრავლიკური ზეთი - მარკა "რ" | კგ | 3500 | 2.75 | 9625.00 |
| შპს "ავიასაწვავსერვისი" | ტრანსმისიის ზეთი | კგ | 1,000 | 4.36 | 4,360.00 |
| შპს "მეგი და კომპანია" | გამაგრილებელი სითხე | ლიტ. | 30,000 | 2.78 | 83,400.00 |
| | | | | სულ ტენდერი | 216,735.00 |

რბილი ინვენტარი

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი მომსახურების დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| ინდ. მეწარმე "მამუკა ლომიძე" | ზეწარი | ც | 44000 | 3.85 | 169400 |
| | ბალიშის პირი | ც | 22000 | 0.95 | 20900 |
| | | | | სულ ტენდერი | **190,300.00** |

სხვადასხვა სანივთე საქონელი

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| ინდ. საწარმო "დავით ქვრივიშვილი" | მათარა შალითით | ც | 5000 | 6.95 | 34750 |
| | ზურგჩანთა | ც | 5000 | 76 | 380000 |
| | განტვირთვის ჟილეტი | ც | 3000 | 38 | 114000 |
| შპს "მერკური" | საძილე ტომარა ქვეშსაგებით | ც | 5000 | 68 | 340000 |
| | | | | სულ ტენდერი | **868,750.00** |

პოლიგრაფიული მასალები

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი მომსახურების დასახელება | საერთო ღირებულება |
|---|---|---|
| შპს "აი პი ჯგუფი" | პოლიგრაფიული მასალები | 116771 |
| | სულ ტენდერი | **116,771.00** |

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი კახეთის მხარეში, მისამართი ქ. თელავი 2200, ერეკლე II-ის გამზ. N16. აცხადებს ტენდერს ქ. საგარეჯოში საცურაო აუზის მშენებლობაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციას.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ 2006 წლის 11 მაისიდან ზემოაღნიშნულ მისამართზე ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18-სთ-მდე.

საკონტაქტო პირი: ზურაბ ბუცხრიკიძე - ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი.

საკონკურსო დოკუმენტაციის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი.

თანხის გადახდა წარმოებს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:

ს.ს. "ბაზისბანკი" ანგ. 1133586 ბ/კ 220101956 ს/კ 231171692

დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტით, ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზ. N16, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი კახეთის მხარეში.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა)ცნობები სასამართდოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცა ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანსაკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე.

ფიზიკური პირისათვის დამატებით მოითხოვება ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:
- საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

საკონკურსო წინადადებების წარმოდეგნის ვადაა 2006 წლის 31 მაისი, 12 00 სთ.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეთა მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს 2006 წლის 31 მაისს 12 00 სთ-ზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს ასლგადამღები აპარატურის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზონო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. ასლგადამღები აპარატურა 25 ერთეული, ფერადი ლაზერული პრინტერი 2 ერთეული.

მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, გ.გულას ქ. N10.

მიწოდების სასურველი ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე.

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2 ივნისის 10.00 საათიდან 12.30 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# განცხადება (ტენდერის ჩატარების შესახებ)

**1.** შპს "ქუთაისის რეგიონული ონკოცენტრი" "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს ოთხ ლოტად, საავადმყოფოს საჭიროებისათვის მედიკამენტების შესყიდვაზე.

**2.** შესასყიდი საქონლის შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტებით:

a) სამკურნალწამლო საშუალებები - წლის ბოლომდე.

b) ქიმიოთერაპიული მედიკამენტები -- წლის ბოლომდე.

გ) ფსიქოტროპული საშუალებები - წლის ბოლომდე.

დ) რეაქტივები და რენტგენის ფირები - წლის ბოლომდე.

**3.** ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მიწოდება შპს "ქუთაისის რეგიონული ონკოცენტრი"-სათვის განცხადების საფუძველზე.

**4.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 30 მაისის 11.00 საათიდან 31 მაისის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: შპს "ქუთაისის რეგიონული ონკოცენტრი", ქ. ქუთაისი, პაოლო იაშვილის ქუჩა N11.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 1 ივნისს 17.00 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ)იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია, ან ლიკვიდაცია.

**5.2. ფიზიკურ პირთათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა.

**5.3. როგორც ფიზიკური,ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან სანაციის საქმე.

ბ) ინფორმაცია საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი ანგარიშსწორების შესახებ;

გ) სატენდერო წინადადებების ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

**6.** ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორისათვის.

**7.**საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იყოს სამ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის, ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლის სახით).

**8.**იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოცნდება.

**9.** დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან პრეტენდენტებს.

**10**. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200(ორასი)ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: გაერთიანებული ქართული ბანკის ქუთაისის ფილიალი , ა/ა 993602; კოდი 220101605; საიდენტიფიკაციო კოდი 212674729.

**11.** ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა, რომელსაც მიენიჭება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება;

**12.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ რამდენიმე სატენდერო წინადადება;

**13.** დამატებითი ინფირმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: შპს "ქუთაისის რეგიონული ონკოცენტრი", ქ. ქუთაისი, პაოლო იაშვილის ქუჩა N11. ტელ.: 8(231)42733 ; 8(99)264750; 8(93)312131.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ცვლილება

2006 წლის 6 მაისს გაზეთ "24 საათ"-ში N98-ში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ "ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებათა პრევენციის და ეპიდკონტროლის" 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის "ინფორმაციული სისტემების უზრუნველყოფის, ეპიდზედამხედველობისა და ეპიდსიტუაციის მართვის პროგრამა" პროგრამის ფარგლებში საქონლის შესყიდვაზე გამოქვეყნებული იქნა განცხადება, სადაც ლოტი N2 უნდა იყოს შემდეგნაირად ჩამოყალიბებული: ლოტი N2 რეაქტივები და რეაგენტები.

**საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სატენდერო კომისია**

## შპს "სანაპირო" აცხადებს შემდეგი ჩარხებისა და დანადგარების შესყიდვას:

1) ფურცლოვანი თუნუქის მაკრატელი - 10-12 მმ - 1 ც.

2) კომბინირებული მაკრატელი სახვრეტით - 1 ც.

3) შტამპი მექანიკური 63-ტონიანი - 1 ც.

4) საბურღი დაზგა ორმხრივი - 1 ც.

5) სალუგტ ჟახშა - 1 ც.

6) ბეტონის შემრევი 1,5 კუბ.მ. - 1 ც.

7) ვიბრომაგიდა - 1 ც.

8) ელექტრო ტალი 3-5-ტონიანი - 1 ც.

9) ვერტიკალური სალარავი დაზგა თავისი აღჭურვილობით - 1 ც.

10) წერტილოვანი შედუღების აპარატი.

**ტელ: 877 41 41 61, 45 06 01. დავით დურგლიშვილი**

**პროექტი**

დირექტორთა საბჭოს

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

N---- 2006 წლის --- მაისი ქ. თბილისი

შპს "საქართველოს რკინიგზის" შენობა-ნაგებობებსა და მოძრავ შემადგენლობებზე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლების მინიჭების შესახებ

საზოგადოებისათვის დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვის უზრუნველსაყოფად:

1. მოწონებულ იქნეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წინადადება შპს "საქართველოს რკინიგზის" შენობა-ნაგებობებსა და მოძრავ შემადგენლობებზე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლების მინიჭების მიზნით კონკურსის გამოცხადების თაობაზე.
2. დამტკიცდეს წარმოდგენილი საკონკურსო პირობები (თან ერთვის).
3. დაევალოს შპს "საქართველოს რკინიგზის" ბალანსზე რიცხული ქონების რეალიზებისა და დროებით სარგებლობაში გადაცემის მუდმივმოქმედი სააუქციონო-საკონკურსო კომისიას უზრუნველყოს კონკურსის ჩატარება.
4. კონკურსის შედეგების ოქმი დასამტკიცებლად წარმოედგინოს საზოგადოების გენერალურ დირექტორს.
5. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს კორპორაციულმა მართვის დირექტორმა.

დირექტორთა საბჭოს

თავმჯდომარე ი. ეზუგბაია

***I. შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურს სარეკლამო საქმიანობის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლების მინიჭების მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.***

სარეკლამო საქმიანობა ითვალისწინებს:

ა) რეკლამის განთავსებას საზოგადოების შენობა-ნაგებობებსა და მოძრავ შემადგენლობებზე;

ბ) სარეკლამო ბეჭდური მასალის (ბუკლეტები, ლიფლეტები, ფლაერები და ა.შ) განთავსება და ბეჭდური მედიის გავრცელება სამგზავრო მატარებლებში.

კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში დაიწყოს სარეკლამო საქმიანობა.

რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლების მინიჭების საფასურის მინიმალური ოდენობა შეადგენს კონკურსში გამარჯვებული პირის მიერ შპს "საქართველოს რკინიგზის" შენობა-ნაგებობებსა და მოძრავ შემადგენლობებზე რეკლამის განთავსების შედეგად მიღებული შემოსავლის 15 %-ს. აღნიშნულ პროცენტს გამარჯვებული პირი უხდის შპს "საქართველოს რკინიგზას". პროცენტის გადახდა ხორციელდება ყოველკვარტალურად. შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს მის მიერვე არჩეული დამოუკიდებელი აუდიტორის მეშვეობით გადაამოწმოს ექსკლუზიური უფლების მფლობელის მიერ ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა.

რეკლამის განთავსებაზე ექსკლუზიური უფლების მინიჭების ვადაა 3 წელი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი "ბე"-ს თანხა შეადგენს 500 ლარს.

კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია სარეკლამო საქმიანობა განახორციელოს "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის და მოქმედი სარკინიგზო საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნათა სრული დაცვით.

კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია საზოგადოების შენობა-ნაგებობებსა და მოძრავ შემადგენლობებზე რეკლამის განთავსება (თითოეულ შემთხვევაში) მოახდინოს შპს "საქართველოს რკინიგზის" წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია ისე განათავსოს რეკლამა, რომ შეფერხება არ შეუქმნას რკინიგზის ნორმალურ ფუნქციონირებას. პასუხისმგებლობა რეკლამის არასწორი (კანონშეუსაბამო) განთავსებისათვის და ამის შედეგად დამდგარი ზიანისათვის ეკისრება კონკურსში გამარჯვებულ პირს.

სარეკლამო საქმიანობის ექსკლუზიური უფლების მინიჭებაზე ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს იხდის კონკურსში გამარჯვებული პირი.

II. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შპს "საქართველოს რკინიგზას" უნდა წარმოედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსში მონაწილე პირის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.
- კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადება შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" ყოველკვარტალურად გადასახდელი თანხის შესახებ, რომელიც არ შეიძლება იყოს შპს "საქართველოს რკინიგზის" შენობა-ნაგებობებსა და მოძრავ შემადგენლობებზე რეკლამის განთავსების შედეგად მიღებული შემოსავლის 15 %-ზე ნაკლები. შემოთავაზებული პროცენტი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე პირობაზე. დაუშვებელია აპელირება სხვა კონკურსანტის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).
- "ბე"-ს გადახდის ქვითარი ("ბე" გადაიხდება შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე: "ბანკი რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, ა/ა N3407003205, ბანკის კოდი N220101757, საიდენთიფიკაციო კოდი N202886010.
- კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.
- კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.
- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს სარეკლამო საქმიანობის განხორციელების უფლება.
- განმცხადებელმა განაცხადში უნდა მიუთითოს, თუ რა ვადით სურს რეკლამის განთავსების უფლების მოპოვება.
- კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს "შპს "საქართველოს რკინიგზა" იხილავს მათი დასწრების გარეშე.
- გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება კონვერტების გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
- კონკურსის შედეგების ოქმი მტკიცდება კონკურსის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში.
- ოქმის დამტკიცებიდან 20 დღის ვადაში გამარჯვებული ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგები უქმნდება და "ბე" გამარჯვებულს არ დაუბრუნდება.
- კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

III. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმებია შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" სარეკლამო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მაქსიმალური პროცენტის შემოთავაზება და სხვა საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება.

IV. სხვა პირობები

**- განაცხადების მიღების ადგილი -** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, პირველი სართული, ტელ.: 56-34-60, 56-42-27.

**- განაცხადების მიღების ვადა -** 2006 წლის 11 მაისიდან 2006 წლის 24 მაისის ჩათვლით, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

**კონკურსი ჩატარდება -** 2006 წლის 25 მაისს დღის 12 სთ-ზე, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა.

**საიჯარო ქონებისა და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს "საქართველოს რკინიგზის" საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურში. ტელ.: 56-34-60, 56-42-27.**

*შპს "საქართველოს რკინიგზა"*

# სატენდერო განცხადება ქალაქ ხაშურის თვითმმართველობის მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისათვის გამოცხადებული ტენდერის შესახებ

ქალაქ ხაშურის თვითმმართველობა აცხადებს ტენდერს ქალაქის შიდასარგებლობის გზების სარემონტო სამუშაოების მიზნით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე.

ტენდერის პირობები:

1. ქალაქის შიდასარგებლობის გზების სარემონტო სამუშაოები შესასრულებელია შემდეგ ქუჩებზე:

ა) რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედნის ასფალტობეტონის საფარის ორმოული შეკეთება. -14მ2

ბ)რუსთაველის ქუჩის ასფალტობეტონის საფარის ორმოული შეკეთება.-135მ2

გ) ტელმანის ქუჩის შესასვლელის, რუსთაველის ქუჩიდან, ასფალტობეტონის საფარის ორმოული შეკეთება. -15მ2

დ) მინისტარის დასახლების გზის ასფალტობეტონის საფარის ორმოული შეკეთება. - 99მ2.

სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 3 თვის პერიოდი.

2. გთხოვთ ყველა დაინტერესებულმა პირმა წარმოადგინოთ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები:

**იურიდიულ პირთათვის**

ა) საწარმოს ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა. (წარმოადგინეთ ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან.)

ბ) მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. (წარმოადგინეთ ცნობა სასამართლოდან ან/და საგადასახადოდან);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

**ფიზიკურ პირთათვის**

ა) მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

ბ) ცნობა სასამართლოდან ან/და საგადასახადოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

გ) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

3. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილე მსურველის სრულ რეკვიზიტებს: დასახელება, მისამართი, დამფუძნებელი, დირექტორის სახელი გვარი. ტელეფონი/ფაქსი. ანგარიშსწორების რეკვიზიტები. (წარმოადგინეთ წესდების ასლი)

4. საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე დახურული კონვერტით. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის იურიდიული და საფოსტო მისამართის, დასახელების და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით. შემდეგ მისამართზე: ქ. ხაშური ტაბიძის ქ. N2 ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული, მარჯვენა ფლიგელი 2006 წლის 19 მაისამდე 16:00 საათამდე.

5. სატენდერო კომისიის აპარატი ახორციელებს შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების პაკეტების რეგისტრაციას. რეგისტრაციისას ფიქსირდება მათი შემოსვლის თარიღი და დრო.

6. დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს. სატენდერო კომისიის აპარატი აფიქსირებს დაგვიანებული საკვალიფიკაციო მონაცემების შემოსვლის თარიღსა და დროს და ასახავს ამ ინფორმაციას შესაბამის სარეგისტრაციო დოკუმენტში.

7. საკვალიფიკაციო შერჩევა დასრულდება 2006 წლის 24 მაისს 16:00 საათამდე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენის გზით.

8. საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად სატენდერო კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელშიც აისახება ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ან პირების დისკვალიფიკაციის მიზეზები და მტკიცდება პრეტენდენტთა სია.

9. საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება 2006 წლის 29 მაისამდე ეცნობება ყველა პირს, რომელმაც დადგენილ ვადაში წარმოადგინა საკვალიფიკაციო მონაცემები. დისკვალიფიკაციის შემთხვევაში მათ აგრეთვე ეცნობებათ დისკვალიფიკაციის საფუძვლები. სატენდერო კომისიამ უნდა შეარჩიოს გადაწყვეტილების შეტყობინების ისეთი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი პირებისათვის გადაწყვეტილების უმოკლეს ვადაში მიწოდებას.

10. პრეტენდენტებად არ დაიშვებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები: ა) არ შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან ყალბი აღმოჩნდება; ბ) არაზუსტი ან არასრული აღმოჩნდება, ან ამ მონაცემებში მექანიკური შეცდომაა დაშვებული და მათი წარმომდგენი პირი უარს აცხადებს დაშვებული შეცდომის (უზუსტობის) გასწორებაზე ან მონაცემების საჭირო ინფორმაციით შევსებაზე ან/და არ შეუძლია მისი გასწორება.

11. სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს შესყიდვაში მონაწილე პირებს საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე.

12. პრეტენდენტს უფლება არ აქვს წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადებები.

13. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადა განისაზღვროს 2006 წლის 15 ივნისის 16:00 საათამდე. ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

14. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობაა 200 ლარი. გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტზე: ქალაქ ხაშურის თვითმმართველობა:

ბანკის დასახელება: საქართველოს სახალხო ბანკის ხაშურის ფილიალი

(ბანკის კოდი: 220101435)

საიდენტიფიკაციო კოდი: N243863994

ანგარისწორების ანგრიში: N33030238

(ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი. კოდი: 4040)

15. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი პირებისაგან: გამგებლის I მოადგილე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ინგა ციცქიშვილი ტელ: 4-30-90. გამგებლის მოადგილე კომუნალურ საკითხებში - ზვიად გოგოლაძე- სატენდერო კომისიის წევრი. ტელ: 4-22-369 აპარატის უფროსი - მარინა ქათამაძე - სატენდერო კომისიის აპარატის პასუხისმგებელი მდივანი ტელ: 4-22-858 მისამართი: ქ. ხაშური; ტაბიძის ქ. N2 ადმინისტარციული შენობა მე-2 სართული, მარჯვენა ფლიგელი.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: თემურ რუხაძე**

## ჯექსონი - რეპში



რამდენიმეწლიანი ტრადიცია დაირღვა - მაიკლ ჯექსონი მსოფლიო ახალ ამბებში მუსიკალური ამბით გამოჩნდა და არა რეპორტაჟით სასამართლოდან. პოპის ყოფილი მეფე რეპერ 50 ცენტთან დუეტის ჩაწერას აპირებს. ჟურნალ "ბილბორდის" ცნობით, 50 ცენტი ბაჰრეინში გამგზავრებას აპირებს, რათა თვალი გადაავლოს ჯექსონის იმ ჩანაწერებს, რომლებზეც მომღერალი საკუთარ სტუდიაში ბოლო დროს მუშაობდა.

თუმცა, როგორც რეპერის წარმომადგენელი აცხადებს, 50 ცენტი არ აპირებს ამ დუეტით გამოჩნდეს ჯექსონის მომდევნო სტუდიურ ალბომში ან დიჯეის კომპილაციურ დისკში.

ჯექსონის ახალი ალბომიდან პირველი სინგლი კი გამოვა 21 ნოემბერს სათაურით Now That I Found Love. სიმღერაზე ჯექსონი თავის ერთგულ ბრიუს სვიდენთან ერთად მუშაობდა. მათ ერთად დაამუშავეს სიმღერა "თრილერი" და ალბომი Dangerous.

## ნიკოლ კიდმანი ყოფილ ქმარზე ისევ შეყვარებულია

განშორების მიუხედავად, ოსკაროსანი მსახიობი ნიკოლ კიდმანი გულწრფელად აღიარებს, რომ ტომ კრუზი კვლავ მისი გულის მპყრობელია. ამის შესახებ კიდმანმა ქალთა ჟურნალთან ინტერვიუში განაცხადა. "მე ის მიყვარდა და ისევ მიყვარს", - აცხადებს 38 წლის მსახიობი. მისივე თქმით, ქორწინებიდან 10 წლის შემდეგ განშორება მისთვის შოკის მომგვრელი იყო. "ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ვიღაც გამომაცლიდა ხალიჩას ფეხქვეშ, მაგრამ ამ ფორმით თუ მოხდებოდა ეს, არ მეგონა", - აღნიშნა კიდმანმა. ნიკოლ კიდმანსა და ტომ კრუზს ორი ნაშვილები შვილი - 13 წლის იზაბელა და 11 წლის კონორი ჰყავთ. ახლახან ტომ კრუზი გოგონას მამა გახდა. მისი შვილის დედა 27 წლის ქეით ჰოლმსია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ჯაზი "კატრინას" ნაცვლად

ახალი ორლეანის თავიდანვე ორ ეტაპად გაყოფილმა ჯაზფესტივალმა მსმენელი უკვე ასიამოვნა. სანამ შემსრულებლები გახურდებოდნენ, პუბლიკამ სიამოვნებით შეასრულა თხოვნა სცენიდან - ხალხი ფეხზე წამოდგა და მადლობა გადაუხადა ქარიშხალ "კატრინას" იმისთვის, რაც ახალორლეანელებს სტიქიამ შეარჩინა და არ მოუსპო - პირველ რიგში კი - ქალაქის სული და მომავლის იმედი.



სწორედ ამ "კატრინას" მიერ დაუმარცხებელი სულის გამო იყო, რომ ერთი წლის წინ მიწასთან გასწორებულ ქალაქში მთელი სამი დღის განმავლობაში დიდი მუსიკოსების მიერ შესრულებული მუსიკა ჟღერდა და ძველ ახალ ორლეანელებს იმედს აძლევდა, რომ ყველაფერი, პირველ რიგში კი, კულტურული ცხოვრება, მალე თავის კალაპოტს დაუბრუნდება.

კონცერტი ბობ დილანის, დოქტორ ჯონის და ანი დი ფრანკოს გამოსვლებით დაიწყო. მათ იმავე დღეს უამრავი ადგილობრივი ჯგუფი შეუერთდა. მეორე დღეს - მართალია, მთელი დღის განმავლობაში ქროდა მექსიკის ყურიდან მონაბერი ძლიერი ქარი - კონცერტზე მაინც უამრავი ხალხი შეიკრიბა. იმ დღეს დიდ ვარსკვლავებს შორის იყვნენ დეივ მეთიუსის ბენდი, ეთა ჯეიმსი და ჰერბი ჰენკოკი. ახალ ორლეანურ ჯგუფს New Birth Brass Band-ს კი შუა გამოსვლის დროს სცენაზე U2-ს გიტარისტი ეჯიც შეუერთდა. New Birth-ი U2-ს სრულიად შემთხვევით შეხვდა ახალი ორლეანის ქუჩებში. ეჯი მათ დაპირდა, რომ ფესტივალზე აუცილებლად შეუვლიდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მისი სცენაზე გამოჩენა მაინც სასიამოვნო სიურპრიზად მიიღეს: ჯგუფის ლიდერი კაეტანო ჰინგლი ჰყვება: "გავიხედე სცენის მეორე მხარეს და დავიშოკე - იქ ეჯი იდგა". ჰინგლმა თავის ჯგუფთან და ეჯთან ერთად მარადმწვანე ჰიტი Stand By Me შეასრულა და სიმღერა თავის მშობლიურ ქალაქს მიუძღვნა. ბოლოს კი დასძინა: "შეუდარებელი განცდაა, როცა საკუთარი ოჯახისა და მეგობრებისთვის უკრავ".

ახალ ორლეანს ბრიუს სპრინგსტინმა და ელვის კოსტელომაც უმღერეს. შემდეგ შაბათ-კვირას კი ცნობილი სახეების ნუსხას პოლ საიმონი, ფეთს დომინო, ლაიონელ რიჩი, სემ მური, ელი მარსალისი, პიტ ფაუნტინი, "ოჰაიო ფლეიერზი", ბონერამა და სხვები შეავსებენ.

თუმცა, მუსიკალური ცხოვრება 7 მაისის შემდეგაც გაგრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის 60 პროცენტს არ მიეწოდება ელექტროენერგია, სახლები კი მიტოვებულია, ადგილობრივი მუსიკოსები მაინც აპირებენ ქალაქში დაბრუნებას და ახალი ორლეანის მუსიკალური საძირკვლის ჩაყრას.

"მუსიკოსების სოფელი" - ასე ერქმევა ახალ დასახლებას, რომელიც ხუთი ქუჩისგან შედგება. ადგილობრივ მუსიკოსებს პირველად მიეცემათ შანსი საკუთარ სახლებში იცხოვრონ. იქ წესით უნდა აღდგეს ის განწყობა და ურთიერთობები, რითაც ახალი ორლეანი იყო ცნობილი. "მუსიკოსების სოფლის" შუაგულში ელი მარსალისის სამუსიკო ცენტრი განთავსდება - ეს იქნება საშემსრულებლო, საგანმანათლებლო და ხმის ჩამწერი სტუდიების კომპლექსი, სადაც ადგილობრივი ჯგუფები გამართავენ კონცერტებს, ექნებათ რეპეტიციების ჩატარების საშუალება, სტუდენტები მოისმენენ ლექციებს, ცნობისმოყვარე მეზობლები კი მივლენ და გაერთობიან. ასე აპირებენ მუსიკოსები ახალ ორლეანში თავის ხელახლა დამკვიდრებას. რადგან სხვანაირად არ შეიძლება - ახალი ორლეანი - მრავალთა აზრით, ჯაზის სამშობლო, რაღაც გაგებით როკ-ნ-როლის სამშობლოცაა. პიონერები ლოიდ პრაისი, ლითლ რიჩარდი და დანარჩენები ხომ ამ ქალაქის მუსიკის გავლენით იყვნენ სავსე, შემდეგ კი მათი გავლენები უკვე მთელ მსოფლიოზე გავრცელდა.

ასე რომ, ახალი ორლეანის - როგორც დიდი კულტურული ცენტრის - დაბრუნება რაც შეიძლება მალე უნდა შედგეს. ჯაზფესტივალი ამ მიმართულებით გადადგმული მთავარი ნაბიჯია.

## "ქალაქური სიმღერის საღამო"

12 მაისს რესტორან "მეიდანში" გაიმართება "ქალაქური სიმღერის საღამო".

საღამოს ორგანიზატორია "F ჯგუფი", რომლის ხელმძღვანელის ბექა გულიაშვილის განცხადებით, კონცერტი ქართული ღვინის მხარდასაჭერად ეწყობა.

"ქალაქური სიმღერის საღამოს" საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთათვის - ელჩებისა და მათი მეუღლეებისთვის ვმართავთ", - განუცხადა "ინტერპრესნიუსს" გულიაშვილმა.

მისი თქმით, კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ "ქართული ხმები", გიო ხუციშვილი, დათო გომართელი, გიო ღოღობერიძე, თეატრალური უნივერსიტეტის კვარტეტი, ქეთი გაბისიანი, ნუცა ქირია და ლელა ლომიძე.

საღამოს მასპინძელია ღვინო "თელიანი ველი".

## თეატრი გასტროლებზე

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი მოსკოვში გასტროლებზე მიემგზავრება. თეატრის დირექტორის მაია ჯორჯაძის განცხადებით, კინომსახიობთა თეატრი მოსკოვის მერიისა და ქალაქის კულტურის კომიტეტის მიწვევით მიდის.

"მოსსოვეტის თეატრის დიდ სცენაზე წარმოდგენილი იქნება ჩეხოვის "ალუბლის ბაღი" გიორგი მარგველაშვილის რეჟისურით. ამავე თეატრის მცირე სცენა "თავისუფალ წყვილს" უმასპინძლებს (რეჟ. ქეთი დოლიძე), ხოლო ვასილევის თეატრში მიხეილ მარმარინოსის "ეროვნულ ჰიმნს" შევთავაზებთ მოსკოველ მაყურებელს", - განაცხადა მაია ჯორჯაძემ.

კინომსახიობთა თეატრი გასტროლებზე იქნება 5-დან 11 ივნისამდე.

*ინტერპრესნიუსი*



საინფორმაციო სააგენტო Black Sea Press-ი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სააგენტოს გენერალური დირექტორი

### დავით (დევი) შალვას ძე იმედაშვილი

დავით იმედაშვილი 65 წლის იყო. მისი ცხოვრების 45 წელი ჟურნალისტიკას უკავშირდებოდა. ჟურნალისტური საქმიანობა დავით იმედაშვილმა გაზეთებში "Вечерний Тбилиси" და " Молодежь Грузии " დაიწყო. 30 წელზე მეტი იყო აონ - "რია ნოვოსტის" წარმომადგენელი საქართველოში. 1993 წელს დააფუძნა საქართველოს დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტო Black Sea Press -ი, რომელსაც ბოლო დრომდე ხელმძღვანელობდა.

ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დევი იმედაშვილი ღირსების ორდენით დააჯილდოვეს.

ბოლო ორი წლის მანძილზე ის აქტიურად მონაწილეობდა საინფორმაციო პორტალ "ახალი ამბები-საქართველოს" ჩამოყალიბებაში, რომლის დამფუძნებელი სააგენტო Black Sea Press - ია.

დავით იმედაშვილმა გადაიტანა გულის რთული ოპერაცია, მაგრამ ბოლო დღემდე არ ტოვებდა სამუშაოს. ცხოვრება ჟურნალისტიკის, სააგენტოს გარეშე ვერ წარმოედგინა. ჩვენ ყველანი მისთვის შვილები ვიყავით, ხოლო ის ჩვენთვის - მეგობარი და წინამძღოლი, რომელიც ყოველთვის მზად იყო მხარში დაგვდგომოდა.

პანაშვიდი - 11 და 12 მაისს 17.00 საათზე

დაკრძალვა - 13 მაისს 15.00 საათზე

მისამართი: საბურთალოს ქუჩა, 40, ბინა 3.

